



საქართველოს პარლამენტი

„საქართველოს 2024 წლის  
სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“  
კანონის პროექტის მიმოხილვა  
(III წარდგენა)

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

2023  
დეკემბერი

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან (III წარდგენა) დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დოკუმენტებია:

1. „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიმოხილვა (III წარდგენა);
2. მაკროეკონომიკური პროგნოზები – „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტი (III წარდგენა);
3. ფისკალური შეფასების ანგარიში 2024 – „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ფისკალური წესების მონიტორინგის ანგარიში;
4. ინტერაქტიული ინფოგრაფიკები „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (III წარდგენა) თაობაზე.



საქართველოს პარლამენტი

„საქართველოს 2024 წლის  
სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“  
კანონის პროექტის მიმოხილვა  
(III წარდგენა)

2023

ნარმოდგენილ დოკუმენტში 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი გულისხმობს 2023 წლის 3 ნოემბერს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტს (II წარდგენა), 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტი გულისხმობს 2023 წლის 29 ნოემბერს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტს (III წარდგენა), ხოლო 2023 წლის ბიუჯეტი/გეგმა გულისხმობს 2023 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებით განსაზღვრულ ბიუჯეტს/გეგმას.

**საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი**  
**ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება**

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)

<b>ძირითადი მაჩვენებლები</b>	<b>6</b>
სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა	7
„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები	10
<b>სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები</b>	<b>14</b>
შემოსავლები	15
არაფინანსური აქტივების კლება	20
ფინანსური აქტივების კლება	20
ვალდებულებების ზრდა	21
<b>სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები</b>	<b>24</b>
ხარჯები	30
არაფინანსური აქტივების ზრდა	35
ფინანსური აქტივების ზრდა	37
ვალდებულებების კლება	38
ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია	38
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	40
<b>სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო</b>	<b>45</b>
ნაშთის ცვლილება	45
საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო	45
<b>დანართები</b>	<b>47</b>
დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)	47
დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)	48
დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)	49
დანართი 4: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები და მომუშავეთა რიცხოვნობა (მლნ ლარი, ერთეული)	66


- **2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით შემოსულობების გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარით**, რაც 2023 წლის დამტკიცებულ მოცულობაზე 2,398.6 მლნ ლარით (10.8%-ით) მეტია, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის მაჩვენებელს 166.6 მლნ ლარით (0.7%-ით) აღემატება (ძირითადად შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის 0.8%-იანი მატების გავლენით). 2023 წლის გეგმის მაჩვენებელთან შედარებით, ზრდა, ძირითადად, მოდის შემოსავლების კომპონენტზე (2,491.1 მლნ ლარის ოდენობით, 13.7%-ით), აგრეთვე, ვალდებულებების ზრდით შემოსულობებზე (57.5 მლნ ლარის ოდენობით, 1.8%-ით). 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 2023 წლის გეგმასთან შედარებით, გათვალისწინებულია ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების შემცირება (150.0 მლნ ლარით), ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები უცვლელია და შეადგენს 200.0 მლნ ლარს;
- **2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, გადასახდელების გეგმა განსაზღვრულია 25,030.4 მლნ ლარით**, რაც 165.0 მლნ ლარით (0.7%-ით) აღემატება აღნიშნული გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მოცულობას, ხოლო 2,719.1 მლნ ლარით (12.2%-ით) აღემატება 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების გეგმას. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, აღნიშნული მატება, ძირითადად, მოდის ხარჯების კომპონენტზე – იზრდება 148.5 მლნ ლარით (0.8%-ით), ასევე, ზრდა შეეხო არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტებს, შესაბამისად – 11.5 მლნ ლარით და 5.0 მლნ ლარით, ხოლო ვალდებულებების კლების კომპონენტი უცვლელია.
- **ნაშთის ცვლილება (გამოყენება) განსაზღვრულია -460.9 მლნ ლარის ოდენობით;**
- 2024 წელს სახელმწიფოს **ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი** (უარყოფითი მთლიანი სალდო) განისაზღვრება 2,177.0 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%);
- 2024 წლის ბოლოსთვის საქართველოს **მთავრობის ვალის** ზღვრული მოცულობა განისაზღვრა მთლიანი შიდა პროდუქტის 38.0%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების შეფასება (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 0.1%-ით – ჯამი: **მშპ-ის 38.1%** (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%);
- საგადასახადო შემოსავლების განახლებული მაჩვენებლის და დივიდენდის ზრდის შედეგად, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები იზრდება 160.0 მლნ ლარზე მეტით და **ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი** 28.7 მლრდ ლარს მიაღწევს.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის (III წარდგენა) მიხედვით, **შემოსულობების** წლიური გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარის ოდენობით, რაც აღნიშნული კანონის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, გაზრდილია 166.6 მლნ ლარით (0.7%-ით), ხოლო „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მონაცემს (22,170.9 მლნ ლარი) აღემატება 2,398.6 მლნ ლარით (10.8%-ით). რაც შეეხება გადასახდელებს, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, **გადასახდელების** წლიური გეგმა 25,030.4 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს (24,865.5 მლნ ლარი) 165.0 მლნ ლარით (0.7%-ით) აღემატება, ხოლო 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების გეგმაზე (22,311.3 მლნ ლარი) 2,719.1 მლნ ლარით (12.2%-ით) მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2015-2024 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2015-2024 წლებში



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2015-2024 წლებში (მლრდ ლარი).

რაც შეეხება შემოსულობებს კომპონენტების მიხედვით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით შემოსავლების გეგმა 20,731.0 მლნ ლარით არის განსაზღვრული, აღნიშნული მაჩვენებელი გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, გაზრდილია 161.6 მლნ ლარით (0.8%-ით), ხოლო 2023 წლის გეგმასთან შედარებით – 2,491.1 მლნ ლარით (13.7%-ით). 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით, გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, არ არის შეცვლილი არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მაჩვენებლები (შესაბამისად შეადგენს 200.0 მლნ ლარს და 300.0 მლნ ლარს). 2023 წლის გეგმასთან შედარებით არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი უცვლელია, თუმცა 150.0 მლნ ლარით შემცირებულია ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი. რაც შეეხება შემოსულობების მეოთხე კომპონენტს, ვალდებულებების ზრდას, აღნიშნული კომპონენტის მაჩვენებელი განსაზღვრულია 3,338.5 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, 5.0 მლნ ლარით გაზრდილია, ხოლო 2023 წლის გეგმასთან შედარებით – 57.5 მლნ ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტი, ხარჯები, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, განსაზღვრულია 19,120.9 მლნ ლარით, რაც როგორც გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მოცულობას, ასევე, 2023 წლის გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს აღემატება – შესაბამისად 148.5 მლნ ლარით და 2,221.0 მლნ ლარით. მსგავსად ხარჯებისა, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტიც აღემატება როგორც გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მოცულობას, ასევე, 2023 წლის გეგმით გათვალისწინებულ სიდიდეს, შესაბამისად 11.5 მლნ ლარით და 225.0 მლნ ლარით. ფინანსური


აქტივების ზრდის კომპონენტის მაჩვენებელი შემცირებულია 2023 წლის გეგმით გათვალისწინებულ სიდიდესთან შედარებით 31.7 მლნ ლარით, ხოლო გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მოცულობასთან შედარებით, გაზრდილია 5.0 მლნ ლარით. რაც შეეხება ვალდებულებების კლებას, აღნიშნული კომპონენტის მაჩვენებელი არ არის შეცვლილი გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, ხოლო 2023 წლის გეგმასთან მიმართებით გაზრდილია 304.8 მლნ ლარით.

	2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 II ნარდგენა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2024 II ნარდგენა		2024 III ნარდგენა / 2023 გეგმა	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>შემოსულობები</b>	<b>20,529.2</b>	<b>22,170.9</b>	<b>24,402.9</b>	<b>24,569.5</b>	<b>166.6</b>	<b>0.7%</b>	<b>2,398.6</b>	<b>10.8%</b>
შემოსავლები	16,450.2	18,239.9	20,569.4	20,731.0	161.6	0.8%	2,491.1	13.7%
არაფინანსური აქტივების კლება	202.8	200.0	200.0	200.0	0.0	0.0%	0.0	0.0%
ფინანსური აქტივების კლება	144.2	450.0	300.0	300.0	0.0	0.0%	-150.0	-33.3%
ვალდებულებების ზრდა	3,731.9	3,281.0	3,333.5	3,338.5	5.0	0.1%	57.5	1.8%
<b>გადასახდელები</b>	<b>20,163.0</b>	<b>22,311.3</b>	<b>24,865.5</b>	<b>25,030.4</b>	<b>165.0</b>	<b>0.7%</b>	<b>2,719.1</b>	<b>12.2%</b>
ხარჯები	15,350.2	16,899.9	18,972.4	19,120.9	148.5	0.8%	2,221.0	13.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,304.4	3,955.7	4,169.1	4,180.6	11.5	0.3%	225.0	5.7%
ფინანსური აქტივების ზრდა	489.4	337.2	300.6	305.6	5.0	1.7%	-31.7	-9.4%
ვალდებულებების კლება	1,019.0	1,118.5	1,423.4	1,423.4	0.0	0.0%	304.8	27.3%
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>366.2</b>	<b>-140.4</b>	<b>-462.6</b>	<b>-460.9</b>				

ცხრილი 1: 2022-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგადასახადო შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მიმოხილვა. საგადასახადო შემოსავლებზე, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, შემოსავლების 92.2%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 77.8% მოდის. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 19,115.0 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ მოცულობასთან შედარებით, 2,404.7 მლნ ლარით არის გაზრდილი, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მოცულობას 106.6 მლნ ლარით აღემატება.

2023-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები



დიაგრამა 2: 2023-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი, %).

როგორც დიაგრამაზე ნარმოდგენილი, 2023 წლის გეგმასთან შედარებით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით საგადასახადო შემოსავლების ზრდა გადასახადის ყველა სახეს შეეხო (გარდა იმპორტის გადასახადისა, რომელიც დარჩა უცვლელი), მ.შ. იზრდება საშემოსავლო გადასახადი (858.7 მლნ ლარით), მოგების გადასახადი (690.0 მლნ ლარით) და დღგ (584.3 მლნ ლარით). გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, მოგების გადასახადი გაზრდილია 107.0 მლნ ლარით, მცირედით გაიზარდა აქციზი და საშემოსავლო გადასახადი, შესაბამისად 9.9 მლნ ლარით და 10.6 მლნ ლარით. იმპორტის გადასახადისა და სხვა გადასახადების მაჩვენებლები

შემცირებულია შესაბამისად, 11.2 მლნ ლარით და 9.7 მლნ ლარით, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) უცვლელია.

რაც შეეხება ვალდებულებების ზრდის კომპონენტს, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, ვალდებულებების ზრდა შემოსულობების 13.6%-ს შეადგენს, 2023 წლის ბიუჯეტის მიხედვით კი აღნიშნული კომპონენტის წილი შემოსულობებში 14.8%-ია. ვალდებულებების ზრდა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით 3,338.5 მლნ ლარით არის განსაზღვრული, რაც 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებელს 57.5 მლნ ლარით (1.8%-ით) აღემატება, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მაჩვენებელზე 5.0 მლნ ლარით (0.1%-ით) მეტია.


2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, საგარეო ვალდებულებების ზრდა განსაზღვრულია 1,838.5 მლნ ლარის ოდენობით, საიდანაც 450.0 მლნ ლარი ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტზე მოდის, ხოლო 1,388.5 მლნ ლარი – საინვესტიციო კრედიტზე. საშინაო ვალდებულებები (ფასიანი ქაღალდების შესყიდვებისა და დაფარვის ოპერაციების შედეგად ვალდებულებების წმინდა ზრდა) კი 1,500.0 მლნ ლარს შეადგენს.

	2023 გეგმა	2024 II ნარდგენა	2024 III ნარდგენა
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>3,281.0</b>	<b>3,333.5</b>	<b>3,338.5</b>
საგარეო	1,881.0	1,833.5	1,838.5
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი	290.0	450.0	450.0
საინვესტიციო კრედიტი	1,591.0	1,383.5	1,388.5
საშინაო	1,400.0	1,500.0	1,500.0
ფასიანი ქაღალდების გამოშვება	1,400.0	1,500.0	1,500.0

ცხრილი 2: ვალდებულებების ზრდის კომპონენტი 2023-2024 წლებში (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით განსაზღვრულია 19,120.9 მლნ ლარის ოდენობით, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 76.4%-ს შეადგენს. 2023 წლის გეგმასთან შედარებით, ხარჯები იზრდება 2,221.0 მლნ ლარის (13.1%-ით) ოდენობით, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მოცულობას 148.5 მლნ ლარით (0.8%-ით) აღემატება.

2023-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები



დიაგრამა 3: 2023-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები (მლნ ლარი, %).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში ყველაზე დიდი ზრდა ფიქსირდება გრანტების მუხლის შემთხვევაში (120.1 მლნ ლარი). 2023 წლის გეგმასთან შედარებით, ზრდა შეეხო ხარჯების ყველა მუხლს, მ.შ. ნომინალურ გამოხატულებაში ყველაზე დიდი მოცულობით იზრდება სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დაფინანსება – 707.5 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით **საოპერაციო სალდო** განსაზღვრულია 1,610.1 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო **მთლიანი სალდო** – -2,370.5 მლნ ლარის ოდენობით.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით განსაზღვრული შემოსულობებისა (24,569.5 მლნ ლარი) და გადასახდელების (25,030.4 მლნ ლარი) გათვალისწინებით **ნაშთის ცვლილება** (გამოყენება) შეადგენს -460.9 მლნ ლარს.

## **„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები**

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის თანდართული ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტის (საბაზო სცენარი) მიხედვით, **საქართველოს მთავრობის (შემდგომში – მთავრობა) პროგნოზით, 2024 წელს მშპ-ის ზრდა 5.2%-ს შეადგენს**, თუმცა საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, მშპ-ის რეალური ზრდა 0.4 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება მთავრობის პროგნოზს და **მშპ-ის ზრდა 5.6%-ით განისაზღვრება**. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, გადაამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, არ არის შეცვლილი 2024 წლის მშპ-ის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი.

საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებას, რომ მიმდინარე წელს და საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნდება გასული ორი წლის განმავლობაში დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური ზრდის ტენდენციები, უფრო მეტად გაიზრდება ტურიზმის მაჩვენებლები, მნიშვნელოვან დონეზე შენარჩუნდება საგარეო ვაჭრობის და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები. დაშვებისას ასევე მხედველობაშია მიღებული როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკური აქტივობა, ასევე – საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების<sup>1</sup> ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებები და პროგნოზი<sup>2</sup>.

**მთავრობის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2024-2027 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 5.1%-ს შეადგენს. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით კი საშუალოვადიან პერიოდში (2024-2027 წლებისთვის) მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 5.2% შეადგინოს.** 2024 წელს ეკონომიკური აქტივობის ზრდაში ყველაზე დიდ წვლილს რეალური მოხმარება და ინვესტიციები შეიტანს და რეალური მშპ-ის ზრდას შესაბამისად 2.7 პპ და 2.0 პპ-ით განაპირობებს.

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ის შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი<sup>3</sup>.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, დადებითი გაპია მოსალოდნელი საშუალოვადიან პერიოდში, თუმცა ქვეყნის ეკონომიკა თანდათან დაუახლოვდება პოტენციურ დონეს და, შესაბამისად, საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს, 2026-2027 წლებში, რეალური მშპ პოტენციურს უმნიშვნელოდ გადააჭარბებს.

**მთავრობის პროგნოზის მიხედვით, 2024 წელს ნომინალური მშპ 85,980.9 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო საბიუჯეტო ოფისის შეფასებით – 86,369 მლნ ლარს. საშუალოვადიან პერიოდშიც, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი ყოველწლიურად აღემატება მთავრობის პროგნოზს. კერძოდ, მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2027 წლისთვის აღნიშნული 108,763.1 მლნ ლარით განისაზღვრება, ხოლო საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით – 109,358 მლნ ლარით.**

რაც შეეხება **ნომინალურ მშპ-ს ერთ სულზე**, მისი საპროგნოზო მოცულობა 2024 წლისთვის მთავრობის პროგნოზის მიხედვით 23,159.8 ლარს შეადგენს, ხოლო საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით – 23,264 ლარს. აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდშიც, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით, მცირედით აღემატება მთავრობის პროგნოზებს. კერძოდ, მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2027 წლისთვის აღნიშნული 29,296.5 ლარით განისაზღვრება, ხოლო საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით – 29,457 ლარით.

**„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით<sup>4</sup> დადგენილია მაკროეკონომიკური პარამეტრების შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:**

<sup>1</sup> ევროკავშირი, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩინეთი, უკრაინა და აშშ.

<sup>2</sup> წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“ ოქტომბერი, 2023“ (WEO October 2023) <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2023/10/10/world-economic-outlook-october-2023>

<sup>3</sup> დამატებით, მშპ-ს გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>

<sup>4</sup> მუხლი 2. მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დადგენა

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის<sup>5</sup> დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება – არაუმეტეს 3 პროცენტისა; (ე.წ. ბიუჯეტის ბალანსის/დეფიციტის წესი)
- საქართველოს მთავრობის ვალის<sup>6</sup> მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება – არაუმეტეს 60 პროცენტისა (ე.წ. ვალის წესი).


ე.წ. ბიუჯეტის ბალანსის/დეფიციტის წესი – „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის მე-14 მუხლის<sup>7</sup> მიხედვით, 2024 წელს მთავრობის პროგნოზით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სადღო (დეფიციტი) განისაზღვრება 2,177.0 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%).

**საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის პროცენტული შეფარდება მშპ-თან 2.2%-ს შეადგენს, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით განსხვავდება მთავრობის პროგნოზთან შედარებით.**

ბემაღნიშნული ორგანული კანონით დადგენილი ე.წ. ბიუჯეტის ბალანსის/დეფიციტის წესი, არსებული რედაქციით, მოქმედებს 2019 წლიდან, ხოლო 2019 წლამდე დეფიციტის წესი განისაზღვრებოდა, როგორც ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის ფარდობა მშპ-თან.

ყოველივე ბემაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2024 წლებში საქართველოს ერთიანი ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.

სახელმწიფოს ერთიანი და ნაერთი ბიუჯეტების დეფიციტები და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში



დიაგრამა 4: სახელმწიფოს ერთიანი და ნაერთი ბიუჯეტების დეფიციტები და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით, შემცირებულია ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-თან. მთავრობის პროგნოზის მიხედვით, შემცირების ტენდენცია გაგრძელდება საშუალოვადიან

<sup>5</sup> საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი არის ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

<sup>6</sup> აღნიშნული მიზნებისთვის საქართველოს მთავრობის ვალი მოიცავს: ა) „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა; ბ) საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა. აღნიშნული ზღვარი ითვალისწინებს აგრეთვე „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპებისა და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას.

<sup>7</sup> „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული პარამეტრების პროგნოზი.

პერიოდშიც და 2027 წლისთვის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 2.2%-ის ოდენობით განისაზღვრება. **საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვითაც** გაგრძელდება შემცირების ტენდენცია და 2027 წლისთვის მოსალოდნელია ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან განისაზღვროს 1.9%-ის ოდენობით.

**ე.წ. ვალის წესი** – რაც შეეხება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების მეორე მაქსიმალურ ზღვარს, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის მე-14 მუხლის მიხედვით, **მთავრობის პროგნოზით**, 2024 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა – მშპ-ის 38.0%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების შეფასება (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) – მშპ-ის 0.1%-ით არის განსაზღვრული, ჯამი: მშპ-ის 38.1% (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

**საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით**, 2024 წლისთვის მთავრობის ვალის (საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების გარდა) პროცენტული შეფარდება მშპ-თან 37.6%-ს შეადგენს, რაც 0.4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია მთავრობის პროგნოზთან შედარებით.


მთავრობის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 32,713.9 მლნ ლარით განისაზღვრა<sup>8</sup>, საიდანაც მთავრობის საგარეო ვალის საპროგნოზო მოცულობა 22,763.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო მთავრობის საშინაო ვალის საპროგნოზო მოცულობა 9,950.0 მლნ ლარის ოდენობით არის განსაზღვრული. რაც შეეხება სახელმწიფო ვალს, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, გათვალისწინებულია, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალის ნაშთის საპროგნოზო მოცულობა 33,664.7 მლნ ლარის ოდენობით (მ.შ. საგარეო – 23,736.7 მლნ ლარი, საშინაო – 9,928.0 მლნ ლარი),

შესაბამისად, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით საქართველოს მთავრობის პროგნოზირებული ვალის მშპ-თან პროცენტულ ფარდობაში, რომელიც 38.0%-ს შეადგენს, 26.5% მოდის მთავრობის საგარეო ვალზე, ხოლო 11.6% მოდის მთავრობის საშინაო ვალზე. სახელმწიფო ვალი კი 2024 წლისთვის პროგნოზირებული მშპ-ის 39.2%-ია.

გემოაღნიშნული ორგანული კანონით დადგენილი ე.წ. ვალის წესი არსებული რედაქციით, მოქმედებს 2019 წლიდან, ხოლო 2019 წლამდე ის განისაზღვრებოდა, როგორც სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ვალისა და მთავრობის ვალის მოცულობა და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში.

მთავრობის ვალი, სახელმწიფო ვალი და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში



დიაგრამა 5: მთავრობის ვალი, სახელმწიფო ვალი და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში (%).

<sup>8</sup> „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის მთავრობის ვალის დანართის მიხედვით.

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით, მცირედით შემცირებულია მთავრობის ვალის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-თან. მთავრობის პროგნოზის მიხედვით, მსგავსი ტენდენცია გაგრძელდება საშუალოვადიან პერიოდშიც და მთავრობის ვალის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-თან 2027 წლისთვის 37.1%-ით განისაზღვრება. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით კი 2027 წლისთვის მოსალოდნელია მთავრობის ვალის შეფარდება მშპ-თან განისაზღვროს 37.7%-ის ოდენობით.

## სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის (III ნარდგენა) მიხედვით, შემოსულობების გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით დამტკიცებულ მოცულობაზე 2,398.6 მლნ ლარით (10.8%-ით) მეტია, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის მაჩვენებელს 166.6 მლნ ლარით (0.7%-ით) აღემატება (ძირითადად შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის 0.8%-იანი მატების გავლენით).


2023 წლის გეგმის მაჩვენებელთან შედარებით აღნიშნული (10.8%-იანი) ზრდა ძირითადად მოდის შემოსავლების კომპონენტზე (2,491.1 მლნ ლარის ოდენობით, 13.7%-ით), აგრეთვე, ვალდებულებების ზრდით შემოსულობებზე (57.5 მლნ ლარის ოდენობით, 1.8%-ით). რაც შეეხება შემოსულობების დანარჩენ კომპონენტებს, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, გათვალისწინებულია ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების შემცირება (150.0 მლნ ლარით), ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები უცვლელია და განსაზღვრულია მიმდინარე წლის გეგმის მაჩვენებლის დონეზე.

	2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 II ნარდგენა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2024 II ნარდგენა		2024 III ნარდგენა / 2023 გეგმა	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>სულ შემოსულობები</b>	<b>20,529.2</b>	<b>22,170.9</b>	<b>24,402.9</b>	<b>24,569.5</b>	<b>166.6</b>	<b>0.7%</b>	<b>2,398.6</b>	<b>10.8%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>16,450.2</b>	<b>18,239.9</b>	<b>20,569.4</b>	<b>20,731.0</b>	<b>161.6</b>	<b>0.8%</b>	<b>2,491.1</b>	<b>13.7%</b>
გადასახადები	14,976.7	16,710.4	19,008.4	19,115.0	106.6	0.6%	2,404.7	14.4%
გრანტები	359.1	279.6	261.0	266.0	5.0	1.9%	-13.6	-4.8%
სხვა შემოსავლები	1,114.5	1,250.0	1,300.0	1,350.0	50.0	3.8%	100.0	8.0%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>202.8</b>	<b>200.0</b>	<b>200.0</b>	<b>200.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>
<b>ფინანსური აქტივების კლება</b>	<b>144.2</b>	<b>450.0</b>	<b>300.0</b>	<b>300.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>-150.0</b>	<b>-33.3%</b>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>3,731.9</b>	<b>3,281.0</b>	<b>3,333.5</b>	<b>3,338.5</b>	<b>5.0</b>	<b>0.1%</b>	<b>57.5</b>	<b>1.8%</b>
საგარეო	2,385.5	1,881.0	1,833.5	1,838.5	5.0	0.3%	-42.5	-2.3%
საშინაო	1,346.3	1,400.0	1,500.0	1,500.0	0.0	0.0%	100.0	7.1%

ცხრილი 3: 2022-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა 2015-2024 წლებში




დიაგრამა 6: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, 2015-2024 წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება შემოსულობების 2 ძირითადი კომპონენტის – შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მატების გავლენით. ამასთან, თუ განვიხილავთ მათ წილს შემოსულობებში, 2017-2020 წლებში შემოსავლების წილი კლების, ხოლო ვალდებულებების ზრდის წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2021 წლიდან აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა (შემოსავლების კომპონენტის მნიშვნელოვანი მატების გავლენით): შემოსავლების წილი გაიზარდა, ხოლო ვალდებულებების ზრდის წილი შემცირდა. რაც შეეხება 2024 წლის წარმოდგენილი პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, შემოსულობებში აღნიშნული კომპონენტების წილებს, 2023 წლის გეგმასთან შედარებით, შემოსავლების წილი გაზრდილია – 82.3%-დან 84.4%-მდე, ხოლო ვალდებულებების ზრდის წილი შემცირებულია 14.8%-დან 13.6%-მდე.

შემოსულობებში 4 ძირითადი კომპონენტის პროცენტული განაწილების საჩვენებლად, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2024 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების კომპონენტების პროცენტული განაწილება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურის დინამიკა 2015-2024 წლებში



დიაგრამა 7: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურის დინამიკა 2015-2024 წლებში (%).

## შემოსავლები

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით, შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განსაზღვრულია 20,731.0 მლნ ლარით, გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით 161.6 მლნ ლარით (0.8%-ით) მეტი ოდენობით. ზრდა გათვალისწინებულია ძირითადად გადასახადების (2024 წლისთვის ფისკალური რესურსის წყაროების ზრდის გათვალისწინების საფუძველზე<sup>9</sup>), აგრეთვე, სხვა შემოსავლებისა და გრანტების მატების ხარჯზე.

2023 წლის გეგმის მაჩვენებელთან შედარებით შემოსავლები იზრდება 2,491.1 მლნ ლარით (13.7%-ით), რაც ძირითადად უკავშირდება საგადასახადო შემოსავლებს, რომელიც მაკროეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით<sup>10</sup> მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, და აგრეთვე, სხვა შემოსავლებს. რაც შეეხება გრანტებს, აღნიშნული მიმართულებით გათვალისწინებულია შემოსავლების კლება.

- წარმოდგენილი კანონპროექტით, 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 19,115.0 მლნ ლარის დონეზე, 106.6 მლნ ლარით (0.6%-ით) მეტი ოდენობით, ვიდრე გადამუშავებული ვარიანტით იყო განსაზღვრული. აღნიშნულ ზრდას ძირითადად განაპირობებს მოგების გადასახადის 107.0 მლნ ლარით (4.1%-იანი) მატება, რაც (მთავრობის განმარტებით) უკავშირდება საფინანსო სექტორის მიერ (აღნიშნულ სექტორში მიმდინარე წლის მოგების საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდის საფუძველზე) 2024 წელს დამატებით

<sup>9</sup> მთავრობის განმარტებით, საფინანსო სექტორის მონაცემების დამატებით განალიზებისა და გადაანგარიშების შედეგად, განისაზღვრა საფინანსო სექტორის 2023 წლის მოგების საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდა.

<sup>10</sup> მთავრობის განმარტებით, ამ ეტაპისთვის არსებული პროგნოზების მიხედვით, 2024 წელს რეალური ეკონომიკური ზრდა 5.2%-ს შეადგენს (მშპ-ის დეფლატორი – 3%-ს).

თანხის გადახდას (100 მლნ ლარის ოდენობით). გარდა ამისა, მიმდინარე წლის საგადასახადო შემოსავლების შესრულების გაანალიზების საფუძველზე, ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში საგადასახადო შემოსავლების სახეებში განხორციელდა მცირე კორექტირებები: კერძოდ, სამშენსაშენო გადასახადი გაიზარდა 0.2%-ით (10.6 მლნ ლარით), აქციზი 0.4%-ით (9.9 მლნ ლარით), ხოლო იმპორტის გადასახადი და სხვა გადასახადები შემცირდა, შესაბამისად, 11.2 მლნ ლარით და 9.7 მლნ ლარით. რაც შეეხება დღგ-ს, მისი საპროგნოზო მოცულობა უცვლელია და შეადგენს 7,388.3 მლნ ლარს.


	2022 ფაქტი	2023 მემზა	2024 II ნარდგენა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2024 II ნარდგენა		2024 III ნარდგენა / 2023 მემზა	
					სხმაობა	%-ული ცვლილება	სხმაობა	%-ული ცვლილება
<b>საბადასახადო შემოსავლები</b>	<b>14,976.7</b>	<b>16,710.4</b>	<b>19,008.4</b>	<b>19,115.0</b>	<b>106.6</b>	<b>0.6%</b>	<b>2,404.7</b>	<b>14.4%</b>
სამშენსაშენო გადასახადი	4,644.4	5,486.4	6,334.5	6,345.1	10.6	0.2%	858.7	15.7%
მოგების გადასახადი	1,930.2	2,000.0	2,583.0	2,690.0	107.0	4.1%	690.0	34.5%
დღგ	6,036.8	6,804.0	7,388.3	7,388.3	0.0	0.0%	584.3	8.6%
აქციზი	2,010.2	2,220.0	2,365.1	2,375.0	9.9	0.4%	155.0	7.0%
იმპორტის გადასახადი	126.0	150.0	161.2	150.0	-11.2	-6.9%	0.0	0.0%
სხვა გადასახადები	229.1	50.0	176.3	166.6	-9.7	-5.5%	116.6	233.2%

ცხრილი 4: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2022-2024 წლებში (მლნ ლარი, %).

2023 წლის საგეგმო მაჩვენებელთან შედარებით, საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა მნიშვნელოვნად, 2,404.7 მლნ ლარით (14.4%-ით) არის გაზრდილი. ზრდა ეხება ყველა სახის გადასახადს (იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მოცულობა უცვლელია), მ.შ. ყველაზე მნიშვნელოვნად იმატებს სამშენსაშენო გადასახადი (858.7 მლნ ლარით), მოგების გადასახადი (690.0 მლნ ლარით) და დღგ (584.3 მლნ ლარით).

გადასახადები 2015-2024 წლებში, ყოველწლიური ზრდით ხასიათდება (გარდა 2019 და 2020 წლებისა): 2016 – 2018 წლებში ზრდის საშუალო მაჩვენებელი 8.7%-ს შეადგენს, 2019-2020 წლებში გადასახადების მოცულობა შემცირებულია, შესაბამისად, 0.3%-ით და 3.1%-ით. 2021 წლიდან გადასახადების ზრდის მაჩვენებელი მკვეთრად იმატებს და 2021-2023 წლებში საშუალოდ 21.6%-ს აღწევს, 2024 წლის ნარდგენილი პროექტით კი ზრდა (2023 წლის გეგმასთან შედარებით) 14.4%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2015-2024 წლებში



დიაგრამა 8: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას, საინტერესოა განხილულ იქნას ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის თანდართული ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების (საბაზო სცენარი) დოკუმენტის მიხედვით, 2024 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 22,053.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებელზე (19,410.0 მლნ ლარი) 13.6%-ით, ხოლო 2022 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე (17,385.9 მლნ ლარი) 26.8%-ით მეტია.


საბიუჯეტო ოფისი		2022 ფაქტი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი	2027 პროგნოზი
	<b>ბადასახადები</b>		<b>17,386</b>	<b>19,580</b>	<b>22,389</b>	<b>24,147</b>	<b>25,677</b>
არაპირდაპირი		9,589	10,665	11,701	12,543	13,461	14,543
პირდაპირი		7,797	8,915	10,687	11,604	12,216	13,337
<b>მთავრობა</b>	<b>ბადასახადები</b>	<b>17,386</b>	<b>19,410</b>	<b>22,053</b>	<b>23,799</b>	<b>25,463</b>	<b>27,538</b>
არაპირდაპირი		9,589	10,556	11,646	12,458	13,294	14,345
პირდაპირი		7,797	8,854	10,407	11,341	12,169	13,193

ცხრილი 5: ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2022-2027 წლებში (მლნ ლარი).

საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, **საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით**, 2024 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 22,389 მლნ ლარს შეადგენს, რაც 336 მლნ ლარით აღემატება 2024 ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით წარმოდგენილ მთავრობის მიერ პროგნოზირებულ მაჩვენებელს, 22,053.0 მლნ ლარს (მ.შ. არაპირდაპირი გადასახადები აღემატება 55 მლნ ლარით, ხოლო პირდაპირი გადასახადები – 280 მლნ ლარით). საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდშიც აღემატება მთავრობის პროგნოზებს. კერძოდ, მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2027 წლისთვის მისი ოდენობა 27,538.0 მლნ ლარით განისაზღვრება, ხოლო საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით – 27,879 მლნ ლარით.

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2015-2024 წლებში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება (გარდა 2020 წლისა) და 2016-2024 წლებში საგადასახადო შემოსავლების საშუალო ზრდის ტემპი 12.3%-ს შეადგენს. რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შეფარდებას მთლიან შიდა პროდუქტთან, წარმოდგენილი პროექტის საბოლოო ვარიანტით 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით მცირედით, 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირებულია, ხოლო 2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 1.1 პროცენტული პუნქტით აღემატება და 25.6%-ს აღწევს.


ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში



დიაგრამა 9: პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %).

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების მიხედვით, 2022 წლიდან არაპირდაპირი გადასახადების წილი შემცირების, ხოლო პირდაპირი გადასახადების წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით, არაპირდაპირი გადასახადების წილი მთლიან გადასახადებში, 2023 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, შემცირებულია 54.4%-დან 52.8%-მდე, ხოლო პირდაპირი გადასახადების წილი გაზრდილია 45.6%-დან 47.2%-მდე.

ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა 2015-2024 წლებში




დიაგრამა 10: ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %).

● 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით **გრანტების** სახით მისაღები შემოსავლები განსაზღვრულია 266.0 მლნ ლარის ოდენობით, მ.შ. ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები შეადგენს 100.0 მლნ ლარს, საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები – 51.0 მლნ ლარს, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადასაცემი სახსრები<sup>11</sup> – 115.0 მლნ ლარს. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი გადამუშავებული ვარიანტის მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია მცირედით, 5.0 მლნ ლარით (1.9%-ით), რაც დაკავშირებულია საინვესტიციო გრანტების მატებასთან.

2024 წლის ბიუჯეტის გრანტების საპროგნოზო მოცულობა, 2023 წლის გეგმასთან შედარებით, 13.6 მლნ ლარით (4.8%-ით) მცირდება საბიუჯეტო გრანტების 28.6%-იანი (40.0 მლნ ლარით) კლების გავლენით (რაც ძირითადად მოდის ევროკავშირიდან მისაღები გრანტების შემცირებამ). 11.5 მლნ ლარით იზრდება საინვესტიციო გრანტების საპროგნოზო მოცულობა. რაც შეეხება სსიპების მიერ ბიუჯეტში გადმოსარიცხ თანხებს, აღნიშნული მიმართულებით 2024 წელს გათვალისწინებულია 15.0 მლნ ლარით მეტი თანხის მიღება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების სახით შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში.

გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში



დიაგრამა 11: გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)

<sup>11</sup> „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (საბოლოო ვარიანტი) მე-8 თავის, 35-ე მუხლის შესაბამისად: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა მის მიერ 2024 წელს მობილიზებული, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლების არანაკლებ 10% მიმართოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.“

- 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მოცულობა განსაზღვრულია 1,350.0 მლნ ლარით, რაც კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტის მაჩვენებელს აღემატება 50.0 მლნ ლარით (3.8%-ით). აღნიშნული ზრდა დაკავშირებულია საკუთრებიდან შემოსავლების, კერძოდ, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან დივიდენდის სახით მისაღები შემოსავლების მატებასთან, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ 50.0 მლნ ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხვის საფუძველზე<sup>12</sup>.

2023 წლის შესაბამის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით სხვა შემოსავლები 100.0 მლნ ლარით (8.0%-ით) გაზრდილია, რაც უკავშირდება საკუთრებიდან შემოსავლებსა (ძირითადად, დივიდენდების 52.7 მლნ ლარით მატების გავლენით) და არაკლასიფიცირებულ ტრანსფერებს (რომლის მოცულობაც იზრდება 28.0 მლნ ლარით). რაც შეეხება სხვა ძირითადი სახის შემოსავლებს, ჯარიმებიდან შემოსავლის საპროგნოზო მოცულობა უცვლელია, ხოლო შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან თითქმის უტოლდება 2023 წლის მაჩვენებელს (0.8 მლნ ლარით გაზრდილია).


	2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 II ნარდგენა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2024 II ნარდგენა		2024 III ნარდგენა / 2023 გეგმა	
					სხმაობა	%-ული ცვლილება	სხმაობა	%-ული ცვლილება
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>1,114.5</b>	<b>1,250.0</b>	<b>1,300.0</b>	<b>1,350.0</b>	<b>50.0</b>	<b>3.8%</b>	<b>100.0</b>	<b>8.0%</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>642.7</b>	<b>755.0</b>	<b>776.2</b>	<b>826.2</b>	<b>50.0</b>	<b>6.4%</b>	<b>71.2</b>	<b>9.4%</b>
პროცენტები	251.4	265.5	280.0	280.0	0.0	0.0%	14.5	5.5%
დივიდენდები	356.2	463.5	466.2	516.2	50.0	10.7%	52.7	11.4%
სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან	0.2	0.7	1.2	51.2	50.0	4,166.7%	50.5	7011.1%
ეროვნული ბანკის მოგებიდან	356.1	462.8	465.0	465.0	0.0	0.0%	2.2	0.5%
რენტა	35.1	26.0	30.0	30.0	0.0	0.0%	4.0	15.4%
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან</b>	<b>93.1</b>	<b>93.0</b>	<b>93.8</b>	<b>93.8</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>0.8</b>	<b>0.9%</b>
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდევლები	89.1	89.9	89.8	89.8	0.0	0.0%	-0.1	-0.1%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	4.0	3.1	4.0	4.0	0.0	0.0%	0.9	29.0%
<b>ჯარიმები, სანაწიფი და საურავები</b>	<b>129.7</b>	<b>150.0</b>	<b>150.0</b>	<b>150.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>
<b>ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული</b>	<b>249.0</b>	<b>252.0</b>	<b>280.0</b>	<b>280.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>28.0</b>	<b>11.1%</b>

ცხრილი 6: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2022-2024 წლებში (მლნ ლარი, %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში.

<sup>12</sup> მთავრობის განმარტების თანახმად, 2023 წლის 24 ნოემბერს გაიმართა ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მოგების განკარგვის თაობაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2015-2024 წლებში




დიაგრამა 12: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

## არაფინანსური აქტივების კლება

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 200.0 მლნ ლარის ოდენობით და უტოლდება როგორც 2024 წლის გადამუშავებული (აგრეთვე, თავდაპირველი) ვარიანტის საპროგნოზო, ასევე, 2023 წლის გეგმის მაჩვენებლებს. აღნიშნული თანხა მთლიანად მოდის ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობებზე (არანარმოებული აქტივების, კერძოდ, მინის რეალიზაციიდან შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა, თავდაპირველი და გადამუშავებული ვარიანტის მსგავსად, არ არის გათვალისწინებული).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები 2015-2024 წლებში




დიაგრამა 13: არაფინანსური აქტივების კლება კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

## ფინანსური აქტივების კლება

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით ფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობებიც, ასევე არ შეცვლილა და განსაზღვრულია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული (აგრეთვე, თავდაპირველი) ვარიანტის საპროგნოზო მაჩვენებლის დონეზე, 300.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 150.0 მლნ ლარით (33.3%-ით)

ნაკლებია 2023 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით. ფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობები სრულად სესხების დაბრუნებით მისაღებ თანხებზე მოდის.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები 2015-2024 წლებში



დიაგრამა 14: ფინანსური აქტივების კლება კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)

## ვალდებულებების ზრდა

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი თითქმის უტოლდება, მცირედით, 5.0 მლნ ლარით, აღემატება გადამუშავებული ვარიანტის მაჩვენებელს და შეადგენს 3,338.5 მლნ ლარს. აღნიშნული ზრდა მთლიანად მოდის საგარეო ვალდებულებებზე, კერძოდ, საინვესტიციო კრედიტებზე. ნარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისაგან და უცხო ქვეყნების მთავრობებისაგან გრძელვადიან საინვესტიციო კრედიტების მიღებას 1,388.5 მლნ ლარის ოდენობით და ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტის სახით თანხების მობილიზებას 450.0 მლნ ლარის ოდენობით.

	2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 II ნარდგენა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2024 II ნარდგენა		2024 III ნარდგენა / 2023 გეგმა	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>3,731.9</b>	<b>3,281.0</b>	<b>3,333.5</b>	<b>3,338.5</b>	<b>5.0</b>	<b>0.1%</b>	<b>57.5</b>	<b>1.8%</b>
<b>საბარემო</b>	<b>2,385.5</b>	<b>1,881.0</b>	<b>1,833.5</b>	<b>1,838.5</b>	<b>5.0</b>	<b>0.3%</b>	<b>-42.5</b>	<b>-2.3%</b>
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	816.9	290.0	450.0	450.0	0.0	0.0%	160.0	55.2%
საინვესტიციო კრედიტები	1,568.6	1,591.0	1,383.5	1,388.5	5.0	0.4%	-202.5	-12.7%
<b>საშინაო</b>	<b>1,346.3</b>	<b>1,400.0</b>	<b>1,500.0</b>	<b>1,500.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>100.0</b>	<b>7.1%</b>

ცხრილი 7: სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდის მაჩვენებლები 2022-2024 წლებში (მლნ ლარი, %).


რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდას (ფასიანი ქაღალდების შესყიდვებისა და დაფარვის ოპერაციების შედეგად წმინდა ვალდებულებების ზრდა), აღნიშნული კომპონენტი, გადამუშავებული ვარიანტის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით არ შეცვლილა და განსაზღვრულია 1,500.0 მლნ ლარის ოდენობით<sup>13</sup>, რაც 100.0 მლნ ლარით მეტია 2023 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით.

2023 წლის გეგმურ სიდიდესთან შედარებით, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 57.5 მლნ ლარით (1.8%-ით) იზრდება და უკავშირდება საშინაო წყაროდან წმინდა შემოსულობის

<sup>13</sup> 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებულ საპროგნოზო თანხას 3,710.0 მლნ ლარის ოდენობით და საშინაო ვალდებულებების მოსალოდნელ კლებას 2,210.0 მლნ ლარის ოდენობით.

მატებას, ხოლო საგარეო კრედიტების მოცულობა მცირდება 42.5 მლნ ლარით. თავის მხრივ, საგარეო ვალდებულებების აღნიშნული შემცირება უკავშირდება, ერთი მხრივ, საინვესტიციო სესხების 12.7%-იან (202.5 მლნ ლარით) კლებას, და მეორე მხრივ, საბიუჯეტო კრედიტების საპროგნოზო მოცულობის 160.0 მლნ ლარით ზრდას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2015-2024 წლებში.



დიაგრამა 15: საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).


2015-2020 წლებში, ყოველწლიურად, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალდებულებების ზრდის ხარჯზე (2016 – 2020 წლებში აღნიშნული კომპონენტის ზრდის საშუალო მაჩვენებელი 54.1%-ს შეადგენს). 2021 წლიდან ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კლების ტენდენციას ავლენს: აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია 28.0%-ით, 2022 წელს – 28.9%-ით, ხოლო 2023 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით – 12.1%-ით, თუმცა 2024 წლის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით ვალდებულებების ზრდით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა 2023 წლის გეგმის მაჩვენებელთან შედარებით მცირედით, 1.8%-ით გაზრდილია (2022 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან შედარებით კი კლება 10.5%-ს შეადგენს).

2021 წლიდან, საგარეო ვალდებულებების კლებისა და საშინაო ვალდებულებების ზრდის შედეგად, შეცვლილია ვალდებულებების ზრდით შემოსულობების სტრუქტურაც. მაგალითად: 2020 წელს აღნიშნული შემოსულობის 27.8% საშინაო ვალდებულებების ზრდაზე მოდიოდა, 72.2% – საგარეო ვალდებულებების ზრდაზე, 2021 წელს საშინაო ვალდებულებების ზრდის წილი შემცირდა (-5.8)-მდე<sup>14</sup>, ხოლო საგარეო ვალდებულებების ზრდის წილი გაიზარდა 105.8%-მდე, 2022 წელს საშინაო ვალდებულებების ზრდაზე მოდიოდა 36.1%, საგარეო ვალდებულებების ზრდამ 63.9% შეადგინა. 2024 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 2023 წლის გეგმის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, საშინაო ვალდებულებების ზრდის წილი გაზრდილია 42.7%-დან 44.9%-მდე, ხოლო საგარეო ვალდებულებების ზრდის წილი შემცირებულია 57.3%-დან 55.1%-მდე. თავის მხრივ, საგარეო ვალდებულებების ზრდით შემოსულობების სტრუქტურაში, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით, ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებზე მოდის საგარეო ვალდებულებების ზრდის 24.5% (450.0 მლნ ლარი), ხოლო საინვესტიციო კრედიტებზე – 75.5% (1,388.5 მლნ ლარი)

<sup>14</sup> 2021 წელს, საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალის აღების ნაცვლად, განხორციელდა საშინაო ვალის შემცირება 306.5 მლნ ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საგარეო ვალდებულებების ზრდის კომპონენტების დინამიკა 2015-2024 წლებში.

საგარეო ვალდებულებების კომპონენტების დინამიკა 2015-2024 წლებში



დიაგრამა 16: საგარეო ვალდებულებების ზრდის კომპონენტების დინამიკა 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით გადასახდელების გეგმა განსაზღვრულია **25,030.4 მლნ ლარის** ოდენობით, რაც 165.0 მლნ ლარით (0.7%-ით) აღემატება აღნიშნული კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ გადასახდელების გეგმას – 24,865.5 მლნ ლარს, ხოლო 2,719.1 მლნ ლარით (12.2%-ით) აღემატება „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ გადასახდელების გეგმას – 22,311.3 მლნ ლარს.


2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით აღნიშნული მატება ძირითადად მოდის ხარჯების კომპონენტზე, კერძოდ, აღნიშნული კომპონენტი იზრდება 148.5 მლნ ლარით (0.8%-ით), ასევე, ზრდა შეეხო არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტებს შესაბამისად – 11.5 მლნ ლარით და 5.0 მლნ ლარით, ხოლო ვალდებულებების კლების კომპონენტი უცვლელია.

2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმასთან შედარებით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის გადასახდელების ყველა კომპონენტი იზრდება, გარდა ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტისა, რომელიც მცირდება 31.7 მლნ ლარით (9.4%-ით), 2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ხარჯები იზრდება – 2,221.0 მლნ ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი – 225.0 მლნ ლარით და ვალდებულებების კლების კომპონენტი – 304.8 მლნ ლარით (27.3%-ით).

	2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 II ნარდგენა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2024 II ნარდგენა		2024 III ნარდგენა / 2023 გეგმა	
					სხმაობა	%-ული ცვლილება	სხმაობა	%-ული ცვლილება
<b>სულ გადასახდელები</b>	<b>20,163.0</b>	<b>22,311.3</b>	<b>24,865.5</b>	<b>25,030.4</b>	<b>165.0</b>	<b>0.7%</b>	<b>2,719.1</b>	<b>12.2%</b>
ხარჯები	15,350.2	16,899.9	18,972.4	19,120.9	148.5	0.8%	2,221.0	13.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,304.4	3,955.7	4,169.1	4,180.6	11.5	0.3%	225.0	5.7%
ფინანსური აქტივების ზრდა	489.4	337.2	300.6	305.6	5.0	1.7%	-31.7	-9.4%
ვალდებულებების კლება	1,019.0	1,118.5	1,423.4	1,423.4	0.0	0.0%	304.8	27.3%

ცხრილი 8: 2022-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2015-2024 წლებში შემადგენელი კომპონენტების მიხედვით:




დიაგრამა 17: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ბოლო წლებში გადასახდელების ზრდადი ტენდენცია დაკავშირებულია ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების ზრდასთან. თუმცა, თუ

განვიხილავთ მათ წილს გადასახდელებში, 2015-2024 წლებში ხარჯების წილი კლების, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის და ვალდებულებების კლების წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით ხარჯების წილი მთლიან გადასახდელებში იზრდებოდა 76.3%-მდე, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის წილი – 16.8%-მდე. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით ხარჯები მთლიანი გადასახდელების 76.4%-ს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა – 16.7%-ს შეადგენს.

გადასახდელებში 4 ძირითადი კომპონენტის პროცენტული განაწილების საჩვენებლად, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2024 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების პროცენტული განაწილება:

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურის დინამიკა 2015-2024 წლებში



დიაგრამა 18: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურის დინამიკა 2015-2024 წლებში (%).

რაც შეეხება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით გათვალისწინებულ გადასახდელებს მხარჯავი დაწესებულებებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით, წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრულია 55 მხარჯავი დაწესებულება<sup>15</sup>, რომელთაგან 18-ის ფარგლებში განსაზღვრულია ჯამურად 133 პროგრამა<sup>16</sup>, ხოლო 37 მხარჯავი დაწესებულებისთვის არ არის პროგრამები გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ბიუჯეტთან შედარებით, მხარჯავი დაწესებულებების რაოდენობა გაზრდილია 1 ერთეულით. კერძოდ, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით დამატებულია მხარჯავი დაწესებულება – „სსიპ – ანტიკორუფციული ბიურო (პროგრამული კოდი 55 00)“.


2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელებიდან (22,311.3 მლნ ლარი) 18,343.1 მლნ ლარი გათვალისწინებულია მხარჯავი დაწესებულებებისათვის, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე გადანაწილებულია 3,968.2 მლნ ლარი. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, მხარჯავი დაწესებულებების ჯამური ასიგნება იზრდება 1,891.2 მლნ ლარით (მ.შ. ახალი მხარჯავი დაწესებულების – „სსიპ – ანტიკორუფციული ბიურო“ – ასიგნება განსაზღვრულია 8.5 მლნ ლარის ოდენობით), ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ასიგნება – 828.0 მლნ ლარით (დეტალურად იხილეთ „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“) და განისაზღვრება შესაბამისად, 20,234.3 მლნ ლარის და 4,796.1 მლნ ლარის ოდენობით.

რაც შეეხება 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ 54 მხარჯავ დაწესებულებას, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 3 მხარჯავ დაწესებულებას შეუმცირდა დაფინანსება, 49 მხარჯავ დაწესებულებას – გაეზარდა, ხოლო 2 მხარჯავ დაწესებულებას – უცვლელი დარჩა.

<sup>15</sup> მხარჯავი დაწესებულება – სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის – პროგრამული კლა-სიფიკაციის პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მუნიციპალიტეტი (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი).

<sup>16</sup> პროგრამა – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაკუთვნილია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი).

მხარჯავი დანახვების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება იცვლება წარმოდგენილი პროექტის მიხედვით



დიაგრამა 19: 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით მხარჯავი დანახვების დაფინანსების პროცენტული ცვლილების მაჩვენებლები 2023 წლის გეგმასთან მიმართებით (ერთეული).

როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 49 მხარჯავი დანახვებიდან 40-ის შემთხვევაში, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით გათვალისწინებული ასიგნების ზრდა, 2023 წლის გეგმასთან მიმართებით, 0%-20%-ის ინტერვალშია. დანარჩენი 9 მხარჯავი დანახვების შემთხვევაში კი ზრდა აღემატება 20%-ს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით მხარჯავი დანახვებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების ცვლილება 2023 წლის გეგმასთან მიმართებით.

კოდი	დასახელება	2023 გეგმა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2023 გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>მხარჯავი დანახვები რომელთა დაფინანსება მცირდება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით</b>					
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	698.6	688.0	-10.6	-1.5%
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	4.3	4.0	-0.3	-7.0%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	11.8	11.5	-0.3	-2.3%
<b>მხარჯავი დანახვები რომელთა დაფინანსება იზრდება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით</b>					
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	7,108.4	7,829.2	720.7	10.1%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2,083.7	2,508.0	424.4	20.4%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	581.2	801.0	219.8	37.8%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,146.0	1,260.0	114.0	9.9%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,270.0	1,380.0	110.0	8.7%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	77.2	171.2	94.0	121.8%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,350.9	3,400.7	49.8	1.5%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	180.0	210.0	30.0	16.7%
სხვა დანარჩენი მხარჯავი დანახვები (41 მხარჯავი დანახვება)		1,704.9	1,836.0	131.1	7.7%
<b>52 მხარჯავი დანახვების ასიგნებების ჯამური ცვლილება</b>				<b>1,882.7</b>	

ცხრილი 9: 2024 ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით მხარჯავი დანახვებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების ცვლილება 2023 წლის გეგმასთან მიმართებით (მლნ ლარი, %).


რაც შეეხება მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრულ პროგრამებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით განსაზღვრულია 133 პროგრამა<sup>17</sup>, 1 ერთეულით ნაკლები 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ რაოდენობასთან შედარებით. რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ 2024 წლისათვის გათვალისწინებული არ არის, 2023 წელს არსებული 134 პროგრამიდან, 3 პროგრამისათვის ასიგნებების გამოყოფა, ხოლო 2023 წელთან შედარებით 2024 წელს ასიგნებები 2 ახალი პროგრამისათვის არის განსაზღვრული.

კოდი	დასახელება	2023 მემბა	2024 III წარდგენა	სხვაობა
<b>პროგრამები რომელთა ასიგნება უქმდება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით</b>				
26 10	მინის ბაზრის განვითარება (WB)	9.5	-	-9.5
24 23	საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (WB)	2.5	-	-2.5
29 09	საერთაშორისო სამშვიდობო მისიები	2.0	-	-2.0
<b>ახალი პროგრამები, რომელიც განისაზღვრა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით</b>				
24 12	საცხოვრებლად ვარჯისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა – სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB)	-	5.0	5.0
24 22	სარკინიგზო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება	-	1.5	1.5
<b>სულ</b>		<b>14.0</b>	<b>6.5</b>	<b>-7.5</b>

ცხრილი 10: პროგრამები, რომელთა ასიგნება უქმდება და პროგრამები რომელიც განისაზღვრა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით (მლნ ლარი, %).

გარდა ამისა, დანარჩენი პროგრამების (131 პროგრამის) დაფინანსება იზრდება ჯამურად 1,855.6 მლნ ლარის ოდენობით, საიდანაც იზრდება 91 პროგრამის დაფინანსება, მცირდება 19 პროგრამის დაფინანსება, ხოლო 21 პროგრამის დაფინანსება უცვლელი რჩება.

პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება იზრდება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით




დიაგრამა 20: პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება 2023 წლის გეგმასთან მიმართებაში იზრდება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით (ერთეული).

როგორც დიაგრამაზე წარმოდგენილი, 91 პროგრამიდან 57 პროგრამის შემთხვევაში, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით გათვალისწინებული ასიგნების ზრდა, 2023 წლის გეგმასთან მიმართებით, 0%-20%-ის ინტერვალშია. დანარჩენი 34 პროგრამის შემთხვევაში კი არის შედარებით მკვეთრი ზრდები (მ.შ. 7 პროგრამის შემთხვევაში ზრდა აღემატება 100%-ს).

რაც შეეხება შემცირებებს, 19 პროგრამიდან 11 პროგრამის შემთხვევაში, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით გათვალისწინებული ასიგნების კლება 2023 წლის გეგმასთან მიმართებით 0%-20%-ის ინტერვალშია. დანარჩენი 8 პროგრამის შემთხვევაში კი შემცირებები აღემატება 20%-ს.

<sup>17</sup> აქ იგულისხმება მხოლოდ ის პროგრამები, რომლებიც წარმოადგენენ მხარჯავი დაწესებულების ფარგლებში განსაზღვრულ პროგრამებს.

პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება მცირდება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით



დიაგრამა 21: პროგრამების რაოდენობა, რომელთა დაფინანსება 2023 წლის გეგმასთან მიმართებაში მცირდება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით (ერთეული).

კოდი	დასახელება	2023 ბიზნა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2023 ბიზნა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>პროგრამები რომელთა ასიგნებების მატება, 2023 წლის გეგმასთან მიმართებით, აღემატება 20%-ს</b>					
26 09	საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპონენტი) (WB)	0.4	4.7	4.3	987.0%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	30.1	152.1	122.0	404.9%
25 06	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	1.3	5.0	3.7	284.6%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	41.2	126.5	85.3	206.7%
31 13	გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი	8.0	23.8	15.8	197.3%
31 12	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა, დარიშხანშემცველი ნარჩენების ობიექტების მართვა	1.4	3.8	2.4	177.1%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	10.0	22.0	12.0	120.0%
32 11	თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის – პროექტი (ADB)	8.4	15.0	6.6	78.6%
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	76.5	125.0	48.5	63.4%
25 07	ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	222.3	361.3	139.0	62.5%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	30.0	45.3	15.3	51.2%
31 10	ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	1.2	1.8	0.6	50.0%
31 14	კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა	5.0	7.5	2.5	50.0%
32 10	პროფესიული განათლება I (KfW)	15.0	22.4	7.4	49.3%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	2.4	3.5	1.1	47.1%
32 07	ინფრასტრუქტურის განვითარება	269.4	387.5	118.1	43.8%
32 09	ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი – საქართველო I2Q (WB)	14.4	20.0	5.6	38.9%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	21.6	29.9	8.3	38.4%

09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	2.5	3.5	0.9	36.7%
32 08	ახალგაზრდობის ხელშეწყობა	5.9	8.0	2.1	36.2%
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	2.0	2.7	0.7	33.8%
24 20	სივრცითი და ქალაქთშენებლობითი განვითარება	7.0	9.1	2.1	30.0%
32 03	პროფესიული განათლება	87.4	113.0	25.6	29.3%
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	7.8	10.0	2.2	28.6%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.6	2.1	0.5	27.8%
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	1.0	1.2	0.3	26.7%
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	62.1	78.6	16.5	26.6%
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	72.1	90.8	18.7	25.9%
29 07	თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება	184.4	230.0	45.6	24.7%
30 02	სახელმწიფო საზღვრის დაცვა	124.6	154.6	30.0	24.0%
32 01	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	53.8	66.5	12.7	23.6%
32 06	ინკლუზიური განათლება	45.6	56.2	10.6	23.1%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	25.4	31.3	5.9	23.0%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1.1	1.3	0.2	22.1%
<b>პროგრამები რომელთა ასიგნებების შემცირება, 2023 წლის გეგმასთან მიმართებით, აღემატება 20%-ს</b>					
24 19	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)	15.0	5.0	-10.0	-66.7%
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება	14.4	8.8	-5.6	-38.7%
33 04	სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა	12.1	7.8	-4.3	-35.2%
31 08	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	31.5	23.2	-8.3	-26.2%
24 13	ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF)	4.0	3.0	-1.0	-25.0%
26 08	მინის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საჯარო რეესტრის მომსახურებათა განვითარება/ხელმისაწვდომობა	40.0	30.0	-10.0	-25.0%
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	420.0	315.7	-104.4	-24.8%
31 03	მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	67.4	53.8	-13.6	-20.2%


ცხრილი 11: პროგრამები, რომელთა ასიგნებების ცვლილება, 2023 წლის გეგმასთან მიმართებით, აღემატება 20%-ს (მლნ ლარი, %).

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურას ე.წ. მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების ხარჯებთან<sup>18</sup> მიმართებით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები 2024 წლისთვის პროგნოზირებული მშპ-ის 23.3%-ს შეადგენს, რაც 0.9 პროცენტული პუნქტით მეტია 2023 წლის პროგნოზირებულ მაჩვენებელზე. რაც შეეხება ე.წ. კაპიტალურ დანახარჯებს მისი შეფარდება მშპ-თან, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით 8.3%-ის ოდენობით არის განსაზღვრული, რაც 0.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2023 წლის პროგნოზირებულ მაჩვენებელზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ნაერთი ბიუჯეტის ე.წ. მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან 2015-2024 წლებში.

<sup>18</sup> ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები მოიცავს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით განსაზღვრული მუხლების მიხედვით განუვლ/გასაწევ გადასახდელებს, ხოლო კაპიტალური ხარჯები მოიცავს ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტების ფარგლებში განუვლ/გასაწევ გადასახდელების ჯამს.

ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან



დიაგრამა 22: ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან (%)

**ხარჯები**

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, მაჩვენებელი განსაზღვრულია 19,120.9 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით 148.5 მლნ ლარით (0.8%-ით), ხოლო 2023 წლის გეგმასთან შედარებით 2,221.0 მლნ ლარით (13.1%-ით) მეტია. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის გადანაწილებული:

	2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 II ნარდგენა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2024 II ნარდგენა		2024 III ნარდგენა / 2023 გეგმა	
					სხმაობა	%-ული ცვლილება	სხმაობა	%-ული ცვლილება
<b>ხარჯები</b>	<b>15,350.2</b>	<b>16,899.9</b>	<b>18,972.4</b>	<b>19,120.9</b>	<b>148.5</b>	<b>0.8%</b>	<b>2,221.0</b>	<b>13.1%</b>
შრომის ანაზღაურება	1,792.1	2,237.1	2,574.7	2,577.3	2.6	0.1%	340.1	15.2%
საქონელი და მომსახურება	1,870.9	2,085.4	2,220.4	2,232.0	11.7	0.5%	146.6	7.0%
პროცენტი	746.8	1,201.0	1,540.0	1,540.0	0.0	0.0%	339.0	28.2%
სუბსიდიები	1,004.6	932.6	1,010.8	1,044.9	34.1	3.4%	112.4	12.0%
გრანტები	1,260.6	1,370.0	1,392.9	1,513.0	120.1	8.6%	143.0	10.4%
სოციალური უზრუნველყოფა	6,052.1	6,762.9	7,476.6	7,470.4	-6.1	-0.1%	707.5	10.5%
სხვა ხარჯები	2,623.1	2,310.8	2,757.0	2,743.2	-13.9	-0.5%	432.3	18.7%

ცხრილი 12: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2022-2024 წლებში (მლნ ლარი, %)

როგორც ცხრილშია ნარმოდგენილი, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, ზრდა შეეხო „შრომის ანაზღაურების“, „საქონელი და მომსახურების“, „სუბსიდიებისა“ და „გრანტების“ მუხლებს, შემცირებულია „სოციალური უზრუნველყოფისა“ და „სხვა ხარჯების“ მუხლების დაფინანსება, ხოლო პროცენტის მუხლი დარჩა უცვლელად. 2023 წლის გეგმასთან შედარებით, ზრდა შეეხო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ყველა მუხლს.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2024 წლისათვის გამოყოფილი ასიგნებები შეადგენს 2,577.3 მლნ ლარს. 2023 წლის საგეგმო მაჩვენებელთან შედარებით შესაბამისი ასიგნებების ზრდა გადანაწილებულია 113 პროგრამულ კოდზე<sup>19</sup>, ხოლო შემცირება – 3 პროგრამულ კოდზე<sup>20</sup>.

<sup>19</sup> პროგრამებზე და იმ მხარეზე დაწესებულებებზე, რომელთა ფარგლებშიც არ არის გათვალისწინებული პროგრამები და შესაბამისად, წარმოადგენენ პროგრამებს.

<sup>20</sup> ვრცლად შრომის ანაზღაურების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ იხილეთ დანართი 4

კოდი	დასახელება	2023 მემზა	2024 III ნარდმენა	2024 III ნარდმენა / 2023 მემზა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>პროგრამები რომელთა ფარგლებში შრომის ანაზღაურება იზრდება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით</b>					
30 01	სამოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	545.5	638.9	93.4	17.1%
29 01	თავდაცვის მართვა	474.3	523.7	49.5	10.4%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	0.0	25.3	25.3	
26 02	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	89.0	110.0	21.0	23.6%
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	74.4	91.7	17.3	23.3%
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	54.7	70.9	16.2	29.7%
29 02	პროფესიული სამხედრო განათლება	67.4	78.7	11.3	16.8%
30 02	სახელმწიფო საზღვრის დაცვა	91.9	100.0	8.2	8.9%
27 01	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	54.7	62.6	7.9	14.4%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	71.1	78.2	7.1	10.0%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	102.1	109.0	7.0	6.8%
29 08	ლოჯისტიკური უზრუნველყოფა	44.0	50.0	6.0	13.6%
21 00	საქართველოს პროკურატურა	39.5	45.0	5.5	14.1%
სხვა დანარჩენი პროგრამები (100 პროგრამული კოდი)		494.0	569.4	75.4	15.3%
<b>პროგრამები რომელთა ფარგლებში შრომის ანაზღაურება მცირდება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით</b>					
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადახდელთა მომსახურების გაუმჯობესება	20.7	15.0	-5.7	-27.4%
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება	12.4	7.5	-4.9	-39.5%
31 03	მევენახეობა-მელვინეობის განვითარება	1.5	1.0	-0.5	-31.8%
<b>ჯამურად შრომის ანაზღაურების ზრდა</b>				340.1	

ცხრილი 13: „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ცვლილება პროგრამული კოდების მიხედვით (მლნ ლარი, %)

უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის როგორც საბოლოო, ასევე გადამუშავებული და თავდაპირველი ვარიანტების მიხედვით საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით დადგენილი საბაზო თანამდებობრივი სარგო 1,210 ლარიდან 1,330 ლარამდე არის გაზრდილი.


რაც შეეხება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით განსაზღვრულ მომუშავეთა რიცხოვნობას, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 115,339 ერთეულს, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (113,678 ერთეული) 1,661 ერთეულით აღემატება. აღნიშნული მატება ძირითადად მოდის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მომუშავეთა რიცხოვნობის 530 ერთეულით ზრდაზე, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მომუშავეთა რიცხოვნობის 500 ერთეულით ზრდაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომუშავეთა რიცხოვნობის 262 ერთეულის ზრდაზე და ახალი მხარჯავი დაწესებულების – „სსიპ – ანტიკორუფციული ბიურო“ (პროგრამული კოდი 55 00) – ფარგლებში განსაზღვრულ მომუშავეთა რიცხოვნობაზე 86 ერთეულის ოდენობით. გარდა ამისა, სხვადასხვა მხარჯავ დაწესებულებებში გათვალისწინებულია მომუშავეთა რიცხოვნობის ცვლილებები, როგორც კლების, ასევე ზრდის მიმართულებით.

კოდი	დასახელება	2023 მომზა	2024 III ნარდგმნა	2024 III ნარდგმნა / 2023 მომზა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>პროგრამები რომელთა ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა იზრდება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით</b>					
30 01	სამოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	21,621	22,436	815	3.8%
29 01	თავდაცვის მართვა	37,858	38,383	525	1.4%
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	3,550	4,050	500	14.1%
55 00	სსიპ – ანტიკორუფციული ბიურო	0	86	86	
26 06	დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია	329	391	62	18.8%
37 00	სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	143	192	49	34.3%
32 01	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	634	681	47	7.4%
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	780	812	32	4.1%
24 22	სარკინიგზო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება	0	28	28	
31 08	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	701	729	28	4.0%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	10	35	25	250.0%
39 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური	67	84	17	25.4%
29 02	პროფესიული სამხედრო განათლება	1,618	1,634	16	1.0%
54 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	46	61	15	32.6%
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	37	43	6	16.2%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	215	220	5	2.3%
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	188	193	5	2.7%
33 06	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	1,278	1,283	5	0.4%
31 14	კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა	141	145	4	2.8%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	690	693	3	0.4%
29 04	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები	123	126	3	2.4%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	502	503	1	0.2%
32 03	პროფესიული განათლება	50	51	1	2.0%
<b>პროგრამები რომელთა ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით</b>					
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება	1,178	625	-553	-46.9%
29 06	სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	601	587	-14	-2.3%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	351	341	-10	-2.8%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	321	312	-9	-2.8%
36 00	სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური	225	216	-9	-4.0%
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	34	27	-7	-20.6%
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცვობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	385	380	-5	-1.30%
33 05	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	3,507	3,502	-5	-0.1%
31 01	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	265	261	-4	-1.5%
32 02	სკოლამდელი და ზოგადი განათლება	111	110	-1	-0.9%
ჯამურად მომუშავეთა რიცხოვნობის ზრდა				1,661	

ცხრილი 14: მომუშავეთა რიცხოვნობის ცვლილება პროგრამული კოდების მიხედვით (ერთეული, %)

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, „შრომის ანაზღაურების“ მუხლის გეგმა ხარჯების 13.5%-ს და გადასახდელების 10.3%-ს წარმოადგენს, რაც ყველაზე დაბალი ნიშნულებაა 2015-2019 წლებში დაფიქსირებულ ფაქტობრივ მონაცემებთან შედარებით, თუმცა აღემატება 2020-2022 წლის ფაქტობრივ და 2023 წლის გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული შრომის ანაზღაურების წილი ხარჯებსა და გადასახდელებში. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით „შრომის ანაზღაურების“ მუხლის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 3.0%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლის ფარდობის მაჩვენებლები



დიაგრამა 23: სახელმწიფო ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ფარდობის მაჩვენებლები მშპ-თან, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებთან და ხარჯებთან 2015-2024 წლებში (%).

„საქონელი და მომსახურების“ მუხლის მოცულობა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, განსაზღვრულია 2,232.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მოცულობაზე 11.7 მლნ ლარით (0.5%-ით) მეტია, ხოლო 2023 წლის გეგმასთან (2,085.4 მლნ ლარი) შედარებით 146.6 მლნ ლარით (7.0%-ით) არის გაზრდილი.


„პროცენტის“ მუხლის მოცულობა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, განსაზღვრულია 1,540.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან მიმართებით უცვლელია, ხოლო 2023 წლის გეგმასთან (1,201.0 მლნ ლარი) შედარებით – 339.0 მლნ ლარით არის გაზრდილი. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართება 790.0 მლნ ლარი, ხოლო საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე – 750.0 მლნ ლარი.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, „სუბსიდიების“ მუხლის გეგმა განსაზღვრულია 1,044.9 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მოცულობას 34.1 მლნ ლარით (3.4%-ით), ხოლო 2023 წლის გეგმით განსაზღვრულ მოცულობას 112.4 მლნ ლარით (12.0%-ით) აღემატება.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, იზრდება „გრანტების“ მუხლის მოცულობა (120.1 მლნ ლარის ოდენობით) და შეადგენს 1,513.0 მლნ ლარს. 2023 წლის გეგმასთან შედარებით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით განსაზღვრული „გრანტების“ მუხლის გეგმა 143.0 მლნ ლარით არის გაზრდილი. აღნიშნული მუხლიდან ძირითადი თანხები მიიმართება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ დასაფინანსებლად 580.0 მლნ ლარის ოდენობით და „ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემ ტრანსფერებზე“ 555.9 მლნ ლარის ოდენობით.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის გეგმა განსაზღვრულია 7,470.4 მლნ ლარის ოდენობით, რაც 6.1 მლნ ლარით (0.1%-ით) ნაკლებია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით და 707.5 მლნ ლარით (10.5%-ით) მეტია 2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით.

2015-2024 წლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის წილი ხარჯებსა და გადასახდელებში



დიაგრამა 24: 2015-2024 წლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის წილი ხარჯებსა და გადასახდელებში (მლნ ლარი, %)

2015-2024 წლებში, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და მაქსიმუმს 2024 წლისთვის აღწევს. 2015 წლის ფაქტთან შედარებით 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტით გათვალისწინებული მოცულობა გაზრდილია 2.7-ჯერ.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, „სხვა ხარჯების“ მუხლის გეგმა განსაზღვრულია 2,743.2 მლნ ლარის ოდენობით, რაც გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით 13.9 მლნ ლარით (0.5%-ით) არის შემცირებული, ხოლო 2023 წლის გეგმით განსაზღვრულ მოცულობას 432.3 მლნ ლარით (18.7%-ით) აღემატება.

რაც შეეხება ხარჯებს მხარჯავი დაწესებულებებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით, 2023 წლის გეგმასთან შედარებით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, ხარჯების გეგმის მოცულობის ზრდიდან (2,221.0 მლნ ლარიდან) 1,725.9 მლნ ლარი მოდის მხარჯავი დაწესებულებების ხარჯების ზრდაზე, ხოლო 495.1 მლნ ლარი – საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ხარჯების ზრდაზე.


კოდი	დასახელება	2023 გეგმა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2023 გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები და ის მხარჯავი დაწესებულებები რომელთა ხარჯები იზრდება 2023 წლის გეგმასთან მიმართებით</b>					
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	6,786.2	7,543.7	757.5	11.2%
56 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,807.1	3,302.1	495.1	17.6%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	1,785.7	2,041.1	255.5	14.3%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	445.9	637.3	191.5	42.9%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	989.6	1,128.6	139.0	14.0%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	601.5	693.8	92.3	15.3%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	965.5	1,038.5	73.0	7.6%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	45.0	107.5	62.6	139.1%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	342.8	370.4	27.6	8.0%

40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	74.7	94.6	19.9	26.6%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	164.3	182.3	18.1	11.0%
33 00	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	404.3	418.4	14.1	3.5%
09 00	საერთო სასამართლოები	97.3	110.7	13.5	13.8%
სხვა დანარჩენი მხარჯავი დაწესებულებები (42 მხარჯავი დაწესებულება)		1,390.2	1,451.8	61.6	4.4%
<b>ჯამურად ხარჯების ზრდა</b>				<b>2,221.0</b>	

ცხრილი 15: ხარჯების ზრდა მხარჯავი დაწესებულებებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით (მლნ ლარი, %)

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2024 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში



დიაგრამა 25: ხარჯების დინამიკა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)

## არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განსაზღვრულია 4,180.6 მლნ ლარის ოდენობით, რაც 11.5 მლნ ლარით (0.3%-ით) მეტია ზემოაღნიშნული კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმასთან შედარებით და 225.0 მლნ ლარით (5.7%-ით) აღემატება „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმას – 3,955.7 მლნ ლარს.

აღნიშნული მატება ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფარგლებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის 168.9 მლნ ლარით ზრდასთან.

გარდა ზემოაღნიშნული მატებისა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებების შემთხვევაში გათვალისწინებულია არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის ფარგლებში 2023 წლის გეგმით განსაზღვრული ასიგნებების ცვლილებები როგორც ზრდის, ასევე კლების მიმართულებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების ზრდის ცვლილება მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით.


კოდი	დასახელება	2023 მმზმ	2024 III ნარდმზნა	2024 III ნარდმზნა / 2023 მმზმ	
				სხმაობა	%-ული ცვლილება
<b>მხარჯავი დაწესებულებები რომელთა არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი იზრდება 2023 წლის გეგმასთან მიმართებით</b>					
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	298.0	466.9	168.9	56.7%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2,539.9	2,584.1	44.2	1.7%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	304.5	341.5	37.0	12.2%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	32.2	63.7	31.4	97.5%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	15.7	27.7	11.9	75.9%
09 00	საერთო სასამართლოები	19.7	26.8	7.0	35.7%
სხვა დანარჩენი მხარჯავი დაწესებულებები (19 მხარჯავი დაწესებულება)		85.2	95.2	10.0	11.8%
<b>მხარჯავი დაწესებულებები რომელთა არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი მცირდება 2023 წლის გეგმასთან მიმართებით</b>					
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	322.2	285.4	-36.7	-11.4%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	156.4	131.5	-25.0	-16.0%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	53.5	42.4	-11.1	-20.8%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	50.0	44.3	-5.7	-11.4%
სხვა დანარჩენი მხარჯავი დაწესებულებები (21 მხარჯავი დაწესებულება)		78.2	71.1	-7.1	-9.0%
<b>ჯამურად არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის ცვლილება</b>				<b>225.0</b>	

ცხრილი 16: არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის ცვლილება მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის წილს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში, 2017-2019 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და 2019 წლისთვის გადასახდელების 16.7%-ს მიაღწია. 2020 წელს არაფინანსური აქტივების ზრდის წილი მთლიან გადასახდელებში 14.3%-მდე შემცირდა, ხოლო 2021 წელს – 12.8%-მდე. 2022 წელს არაფინანსური აქტივების ზრდის წილი გადასახდელებში გაიზარდა 16.4%-მდე. 2023 წელს არაფინანსური აქტივების ზრდის წილი გადასახდელებში 17.7%-ით განისაზღვრა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი 16.8%-ს შეადგენდა, ხოლო საბოლოო ვარიანტის მიხედვით 16.7%-ს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა და მისი წილი გადასახდელებში 2015-2024 წლებში.

არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა და მისი წილი გადასახდელებში 2015-2024 წლებში



დიაგრამა 26: არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა და მისი წილი გადასახდელებში 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %)

## ფინანსური აქტივების ზრდა

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით ფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განსაზღვრულია 305.6 მლნ ლარის ოდენობით, აღნიშნული გეგმა გადანაწილებულია:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამებზე: „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი – 25 04) – 94.4 მლნ ლარი და „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა“ (პროგრამული კოდი – 25 05) – 28.5 მლნ ლარი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამებზე: „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება“ (პროგრამული კოდი – 24 14) – 98.7 მლნ ლარი და „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)“ (პროგრამული კოდი – 24 19) – 5.0 მლნ ლარი;
- დონორების მიერ დაფინანსებულ საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახდელებზე (პროგრამული კოდი – 56 13) – 79.0 მლნ ლარი.


ბეზოაღნიშნული თანხა (305.6 მლნ ლარი) სრულად მოდის დონორების დაფინანსების წყაროზე. 2023 წლის გეგმასთან შედარებით, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი შემცირებულია 31.7 მლნ ლარით (9.4%-ით).

კოდი	დასახელება	2023 გეგმა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2023 გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
00 00	სულ ჯამი	337.2	305.6	-31.7	-9.4%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	76.5	103.7	27.2	35.5%
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	71.5	98.7	27.2	38.0%
24 19	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU)	5.0	5.0	0.0	0.0%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	209.6	122.9	-86.7	-41.4%
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	183.1	94.4	-88.7	-48.4%
25 05	მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	26.5	28.5	2.0	7.5%
56 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	51.1	79.0	27.9	54.6%
56 13	დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	51.1	79.0	27.9	54.6%

ცხრილი 17: ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის ცვლილება მხარჯავი დაწესებულებებისა და პროგრამების მიხედვით (მლნ ლარი, %)

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში.

ფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში



დიაგრამა 27: ფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)

## ვალდებულებების კლება

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მეოთხე კომპონენტს, ვალდებულებების კლებას, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით გეგმა განსაზღვრულია 1,423.4 მლნ ლარის ოდენობით, საიდანაც 1,380.6 მლნ ლარი მიმართულია საგარეო ვალდებულებების კლებაზე (მ.შ.საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების

	2023 გეგმა	2024 II ნარდგენა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2023 გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>1,118.5</b>	<b>1,423.4</b>	<b>1,423.4</b>	<b>304.8</b>	<b>27.3%</b>
საგარეო	1,075.6	1,380.6	1,380.6	305.0	28.4%
საშინაო	42.9	42.7	42.7	-0.2	-0.4%

ცხრილი 18: ვალდებულებების კლების კომპონენტი 2023-2024 წლებში (მლნ ლარი, %)

დაფარვა 1,375.0 მლნ ლარი), ხოლო 42.7 მლნ ლარი მიმართულია საშინაო ვალდებულებების კლებაზე (მ.შ. საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა 40.0 მლნ ლარი). 2023 წლის გეგმასთან შედარებით, ვალდებულებების კლების მაჩვენებელი იზრდება 304.8 მლნ ლარით. 2024 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით ვალდებულებების კლების კომპონენტის გეგმა, ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, არ იცვლება (დეტალურად იხილეთ „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები“).

## ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციით განსაზღვრული ასიგნებები 23,301.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2,445.9 მლნ ლარით მეტია 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და 160.0 მლნ ლარით აღემატება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს 2022-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ტრილში:


<sup>21</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით განული დახარჯების შესახებ.

	2022 ფაქტი	2023 მემბ	2024 II ნარდგენა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2024 II ნარდგენა		2024 III ნარდგენა / 2023 მემბ	
					სხმაობა	%-ული ცვლილება	სხმაობა	%-ული ცვლილება
<b>სულ</b>	<b>18,654.6</b>	<b>20,855.6</b>	<b>23,141.6</b>	<b>23,301.5</b>	<b>160.0</b>	<b>0.7%</b>	<b>2,445.9</b>	<b>11.7%</b>
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,276.5	3,065.5	3,491.8	3,618.4	126.6	3.6%	552.9	18.0%
თავდაცვა	1,173.1	1,334.1	1,463.4	1,463.9	0.5	0.0%	129.8	9.7%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,550.7	1,894.8	2,109.6	2,113.4	3.8	0.2%	218.6	11.5%
ეკონომიკური საქმიანობა	4,164.1	3,762.5	3,803.3	3,809.3	6.0	0.2%	46.7	1.2%
გარემოს დაცვა	141.3	166.5	186.4	189.4	3.0	1.6%	22.8	13.7%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	341.3	328.6	453.4	453.4	0.0	0.0%	124.8	38.0%
ჯანმრთელობის დაცვა	2,037.9	1,727.7	1,756.9	1,771.0	14.2	0.8%	43.3	2.5%
დასვენება, კულტურა და რელიგია	509.0	497.5	523.4	514.3	-9.1	-1.7%	16.8	3.4%
განათლება	1,829.3	2,365.7	2,927.2	2,927.2	0.0	0.0%	561.5	23.7%
სოციალური დაცვა	4,631.4	5,712.6	6,426.2	6,441.2	15.0	0.2%	728.6	12.8%

ცხრილი 19: საქართველოს 2022-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ჭრილში (მლნ ლარი, %).

როგორც ცხრილშია ნარმოდგენილი, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით ფუნქციონალური კლასიფიკაციის 4 ყველაზე მსხვილ მიმართულებას ნარმოდგენენ შემდეგი მიმართულებები: სოციალური დაცვა, ეკონომიკური საქმიანობა, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება და განათლება. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული 4 მიმართულება 2016-2019 წლებში ნარმოდგენდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 4 ყველაზე მსხვილ მიმართულებას. 2020-2022 წლებში ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება იყო სიდიდით მე-4 მიმართულება, ნაცვლად განათლებისა, თუმცა, 2023 წლიდან განათლების მიმართულება გახდა სიდიდით მე-4 მიმართულება, ნაცვლად ჯანმრთელობის დაცვისა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნარმოდგენილია 2015-2024 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებზე ოპერაციების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ჭრილში<sup>22</sup>.




დიაგრამა 28: ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2015-2024 წლებში (მლნ ლარი)

როგორც დიაგრამაზე ნარმოდგენილი ეკონომიკური საქმიანობის, სოციალური დაცვისა და განათლების მიმართულებები, 2015-2022 წლებში, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2023 წელს შემცირებულია ეკონომიკური საქმიანობის მიმართულების დაფინანსება, ხოლო გაზრდილია სოციალური დაცვისა და განათლების მიმართულებები. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის მიმართულების დაფინანსება, 2023 წლის გეგმასთან შედარებით, 47 მლნ ლარით არის გაზრდილი, ხოლო განათლების და სოციალური დაცვის მიმართულებების დაფინანსება გაზრდილია შესაბამისად, 562 მლნ ლარით და 729 მლნ ლარით. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 2024 წლის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია ეკონომიკური საქმიანობის მიმართულება 6 მლნ ლარით, ასევე გაზრდილია სოციალური დაცვის მიმართულების დაფინანსება 15 მლნ ლარით, ხოლო განათლების მიმართულების დაფინანსება უცვლელია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნარმოდგენილია აღნიშნული მიმართულებების დაფინანსება 2014-2025 წლებში და მათი შეფარდება მშპ-თან.

სოციალური დაცვა, ეკონომიკური საქმიანობა და განათლება 2015-2024 წლებში



დიაგრამა 29: ეკონომიკური საქმიანობა, განათლება და სოციალური დაცვა 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %)

## საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობა განსაზღვრულია 4,796.1 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მოცულობას 130.6 მლნ ლარით აღემატება, რაც ძირითადად მოდის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდზე (იზრდება 130.0 მლნ ლარით), ხოლო 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ მოცულობაზე (3,968.2 მლნ ლარი) – 828.0 მლნ ლარით მეტია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნარმოდგენილია 2023-2024 წლების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.


	2023 გეგმა	2024 II ნარდგენა	2024 III ნარდგენა	2024 III ნარდგენა / 2023 გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები</b>	<b>3,968.2</b>	<b>4,665.6</b>	<b>4,796.1</b>	<b>828.0</b>	<b>20.9%</b>
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	1,596.0	2,125.0	2,125.0	529.0	33.1%
სამშენაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	715.0	830.0	830.0	115.0	16.1%
საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები	2.8	9.0	7.3	4.5	158.9%

ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	532.0	570.0	555.9	23.9	4.5%
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	100.0	80.0	90.0	-10.0	-10.0%
წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	40.0	20.0	20.0	-20.0	-50.0%
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	500.0	450.0	580.0	80.0	16.0%
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	20.0	20.0	20.0	0.0	0.0%
საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა	0.2	0.2	0.2	0.0	0.0%
საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საოპერაციო ხარჯებისა და სხვა ვალდებულებების თანადაფინანსება	0.8	0.4	0.8	0.1	6.7%
დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება	375.0	430.0	430.0	55.0	14.7%
საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა	15.0	20.0	20.0	5.0	33.3%
დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	71.4	106.0	112.0	40.6	56.9%
ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამა		5.0	5.0	5.0	

ცხრილი 20: 2023-2024 წლების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (მლნ ლარი, %).

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით „საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის“ გეგმა 2,125.0 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისთვის განსაზღვრულია 1,375.0 მლნ ლარი, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვისთვის – 750.0 მლნ ლარი. 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ მოცულობასთან შედარებით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა გაზრდილია 305.0 მლნ ლარით, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვა – 224.0 მლნ ლარით. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით უცვლელია, როგორც საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვის, ისე მომსახურების (პროცენტის) დაფარვის მაჩვენებლები.


საგარეო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურება და დაფარვა 2015-2024 წლებში



დიაგრამა 30: საგარეო სახელმწიფო ვალდებულების მომსახურება და დაფარვა 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის წილს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, მთლიანი გადასახდელების 8.5% მიიძღრება საგარეო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე, საიდანაც 5.5 პროცენტული პუნქტი მოდის ძირითადი თანხის დაფარვაზე, ხოლო 3.0 პროცენტული პუნქტი – მომსახურების (პროცენტის) დაფარვაზე.


საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის წილი გადასახდელებში 2015-2024 წლებში



დიაგრამა 31: საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვის წილი გადასახდელებში 2015-2024 წლებში (%)

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით „საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის“ გეგმა 830.0 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისთვის განსაზღვრულია 40.0 მლნ ლარი, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვისთვის – 790.0 მლნ ლარი. 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ მოცულობასთან შედარებით, საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა უცვლელია, ხოლო მომსახურების (პროცენტის) დაფარვა გაზრდილია 115.0 მლნ ლარით. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით უცვლელია, როგორც საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვის, ისე მომსახურების (პროცენტის) დაფარვის მაჩვენებლები.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება, დაფარვა და მათი წილი გადასახდელებში 2015-2024 წლებში



დიაგრამა 32: საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება, დაფარვა და მათი წილი გადასახდელებში 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %)

„ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერებისთვის“ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით განსაზღვრულია 555.9 მლნ ლარი (2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით შემცირებულია 14.2 მლნ ლარით), საიდანაც საიდანაც 550.0 მლნ ლარი მიიღობა სპეციალური ტრანსფერის სახით, ხოლო 5.9 მლნ ლარი – მიზნობრივი ტრანსფერის სახით.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ მოცულობა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 580.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ მოცულობას 80.0 მლნ ლარით აღემატება, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 130.0 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2024 წლებში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ დამტკიცებული მოცულობების და ათვისებების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2015-2024 წლებში




დიაგრამა 33: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიმოხილვისას საინტერესოა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდისა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიმოხილვა. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა განსაზღვრულია 90.0 მლნ ლარის ოდენობით და იგი გაზრდილია 10.0 მლნ ლარით 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ მოცულობასთან შედარებით, ხოლო 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ მოცულობასთან შედარებით შემცირებულია 10.0 მლნ ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2024 წლებში „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის“ დამტკიცებული მოცულობების და ათვისებების შესახებ ინფორმაცია.


საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2015-2024 წლებში



დიაგრამა 34: საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

რაც შეეხება მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდს, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით არ შეცვლილა როგორც, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრული მოცულობა, ასევე 2023 წლის დამტკიცებული მოცულობა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ასიგნება განსაზღვრულია 20.0 მლნ ლარის ოდენობით.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2016-2024 წლებში




დიაგრამა 35: მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დამტკიცებული მოცულობები და ათვისებები 2016-2024 წლებში (მლნ ლარი).

# სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო

## ნაშთის ცვლილება

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით შემოსულობების გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა – 25,030.4 მლნ ლარის ოდენობით, შესაბამისად **ნაშთის ცვლილება** (გამოყენება) შეადგენს -460.9 მლნ ლარს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2015-2024 წლებში.




დიაგრამა 36: სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

## საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტით **საოპერაციო სალდო** განსაზღვრულია 1,610.1 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო **მთლიანი სალდო** – -2,370.5 მლნ ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2015-2024 წლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო 2015-2024 წლებში



დიაგრამა 37: სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2015-2024 წლებში (მლნ ლარი).

# დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახადებები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

	2022 ფაქტი	2023 მემბ	2024 I ნარდმენა	2024 II ნარდმენა	2024 III ნარდმენა	2024 III ნარდმენა / 2024 II ნარდმენა		2024 III ნარდმენა / 2023 მემბ	
						სხმაობა	%-ული ცვლილება	სხმაობა	%-ული ცვლილება
<b>შემოსულობები</b>	20,529.2	22,170.9	23,881.7	24,402.9	24,569.5	166.6	0.7%	2,398.6	10.8%
<b>შემოსავლები</b>	16,450.2	18,239.9	19,883.9	20,569.4	20,731.0	161.6	0.8%	2,491.1	13.7%
გადასახადები	14,976.7	16,710.4	18,322.9	19,008.4	19,115.0	106.6	0.6%	2,404.7	14.4%
საშემოსავლო გადასახადი	4,644.4	5,486.4	6,168.9	6,334.5	6,345.1	10.6	0.2%	858.7	15.7%
მოგების გადასახადი	1,930.2	2,000.0	2,063.0	2,583.0	2,690.0	107.0	4.1%	690.0	34.5%
დღგ	6,036.8	6,804.0	7,388.3	7,388.3	7,388.3	0.0	0.0%	584.3	8.6%
აქციები	2,010.2	2,220.0	2,365.1	2,365.1	2,375.0	9.9	0.4%	155.0	7.0%
იმპორტის გადასახადი	126.0	150.0	161.2	161.2	150.0	-11.2	-6.9%	0.0	0.0%
სხვა გადასახადები	229.1	50.0	176.2	176.3	166.6	-9.7	-5.5%	116.6	233.2%
გრანტები	359.1	279.6	261.0	261.0	266.0	5.0	1.9%	-13.6	-4.8%
სხვა შემოსავლები	1,114.5	1,250.0	1,300.0	1,300.0	1,350.0	50.0	3.8%	100.0	8.0%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>202.8</b>	<b>200.0</b>	<b>200.0</b>	<b>200.0</b>	<b>200.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>
<b>დანართი 1:</b> საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	119
<b>დანართი 2:</b> საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (ოპტიმისტური სცენარი)	122
<b>დანართი 3:</b> საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (პესიმისტური სცენარი)	125
<b>დანართი 4:</b> ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2023-2024 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	128
<b>დანართი 5:</b> საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	129
<b>დანართი 6:</b> საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (ოპტიმისტური სცენარი)	130
<b>დანართი 7:</b> საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (პესიმისტური სცენარი)	131
<b>დანართი 8:</b> ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2023-2024 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	132

- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, **2024 წელს საქართველოს ეკონომიკა 5.6%-ით გაიზრდება**. მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2024 წლისთვის (5.6%) 0.4 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება ეკონომიკური ზრდის მთავრობის პროგნოზს (5.2%). საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2023-2027 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 5.5%-ს შეადგენს.
- საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2024 წლისათვის **ნომინალური მშპ 8.7%-ით გაიზრდება** და 86,369 მლნ ლარს მიაღწევს.
- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით 2024 წლისთვის **ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს გაუტოლდება და 3.0%-ს მიაღწევს**. მთავრობის პროგნოზით 2024 წელს ინფლაცია 2.8%-ს შეადგენს.
- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, გამოცოცხლებული ეკონომიკური აქტივობის პარალელურად **კერძო ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობა 2024 წლისათვის 2023 წელთან შედარებით 0.4%-ული პუნქტით გაიზრდება და მშპ-ის 18.7%-ს მიაღწევს**, საშუალოვადიან პერიოდში ზრდადი ტენდენცია ექნება და 2027 წელს 20.1%-ს შეადგენს. მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2024 წლისათვის კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის ზრდა 17.1%-მდე არის მოსალოდნელი, საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება და 2027 წლისთვის 17.4%-ს გაუტოლდება.
- **2024 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს (GFSM 2014) მშპ-თან მოსალოდნელი ფარდობა -2.5%-ს შეადგენს**. ამასთან, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ე.წ. მოდიფიცირებული მთლიანი სალდოს მაჩვენებელი (რომელიც ცალკეული მუხლების რეკლასიფიკაციით მიიღება და გამოიყენება IMF-ის პროგრამაში) **2024 წლისთვის -2.4%-ს გაუტოლდება**.
- **რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს**, 2024 წელს საბიუჯეტო ოფისის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელია -2.2%, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით განსხვავდება მთავრობის ანალოგიური მაჩვენებლისგან (-2.5%).
- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2024 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 22,389 მლნ ლარს შეადგენს, რაც 336 მლნ ლარით აღემატება მთავრობის პროგნოზს (22,053 მლნ ლარი). უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება შეინიშნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2024 წლისთვის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მშპ-ის 25.9%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზი 25.6%-ია. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის თანახმად, 2023-2027 წლებისათვის გადასახადების შეფარდება მშპ-თან საშუალოდ 25.5% იქნება.
- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, **2024 წლისთვის საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მოსალოდნელი დეფიციტი მშპ-ის 5.4%-ია, ხოლო მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ის 4.7%-ს შეადგენს**. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მიმდინარე ანგარიშის 2023-2027 წლებში საშუალოდ მშპ-ის -5.1%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება, მთავრობის პროგნოზის მიხედვით დეფიციტი 2023-2027 წლებში საშუალოდ მშპ-ის -4.5%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება.
- **საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, სავაჭრო დეფიციტი 2024 წელს მშპ-ის 9.8%-ს მიაღწევს**, მთავრობის პროგნოზით კი დეფიციტი 10.0% იქნება.
- რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, **2024 წლისთვის წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადების მოსალოდნელი მოცულობა 1,405 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდება** და საშუალოვადიან პერიოდში შემცირდება, ხოლო მთავრობის პროგნოზით, წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები 2024 წელს 1,573 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.
- საბიუჯეტო ოფისის დაშვებით, **2024 წლისთვის ფულის მასა M3 აგრეგატის მოცულობა 51,517 მლნ ლარს გაუტოლდება, ხოლო ზრდის წლიური ტემპი -15.3%-ს**. თავის მხრივ, ფულის მასა M2 აგრეგატის მოსალოდნელი მოცულობა 27,890 მლნ ლარია, ზრდა კი -16.8%.

- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2024 წლისათვის მოსალოდნელია საერთაშორისო რეზერვების 7.7%-ით ზრდა. შესაბამისად, **2024 წელს რეზერვების მოცულობა 5,403 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს (3.1 თვის იმპორტის ჯერადი)**, ხოლო 2027 წლისთვის საერთაშორისო რეზერვების მოსალოდნელი მოცულობა 7,164 მლნ აშშ დოლარი იქნება.
- რაც შეეხება კერძო სექტორზე გაცემულ სესხებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, **2024 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 60,825 მლნ ლარს მიაღწევს**, რაც სამთავრობო პროგნოზთან შედარებით, 2,615 მლნ ლარით მეტია.
- ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, **2023-2027 წლებში ეკონომიკის საშუალო რეალური ზრდის ტემპი 6.8% იქნება**, ხოლო პესიმისტურის შემთხვევაში -3.4%.
- ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ინფლაცია მუდმივად გადააჭარბებს საბაზისო სცენარს (საშუალოდ 4.1%), ხოლო პესიმისტური სცენარის შემთხვევაში მუდმივად ნაკლები იქნება საბაზისო სცენარზე (საშუალოდ 2.1%).
- ოპტიმისტური სცენარის მიხედვით მოსალოდნელია, რომ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი **2024 წელს შენარჩუნდება 3.0%-იან ნიშნულზე დაბლა**. შემდგომში თანდათან შემცირდება და უკვე 2027 წლისათვის მისი მშპ-თან შეფარდება -1.6% იქნება. რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს, 2024 წლისათვის -2.0%-ს გაუტოლდება, ხოლო შემდეგ წლებში შემცირებას დაიწყებს და მუდმივად მშპ-ის 3.0%-ის ქვემოთ იქნება.
- მეორე მხრივ, პესიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ როგორც მიმდინარე, ისე მომდევნო წლებში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი **3.0%-იან ნიშნულზე ქვემოთ იქნება**. იგივე ტენდენცია ექნება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტსაც, იგი 2024 წელს -2.5% იქნება და შემდეგ წლებში მუდმივად მშპ-ის 3.0%-ზე ნაკლები იქნება.
- აღსანიშნავია, რომ პესიმისტური სცენარი **2023-2027 წლებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს საშუალოდ -3.3%-ის ფარგლებში პროგნოზირებს**, ხოლო ოპტიმისტური კი **-7.0%-ის ფარგლებში**. 2027 წლისთვის ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან შესაბამისად **-8.0%** და **-2.0%** იქნება.

## 1. პროგნოზირების მოდელის შესახებ

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი (PBOMFM) არის თავისებოდადი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფინანსური პროგრამირებისა და პოლიტიკის მოდელის სტრუქტურასთან, რომელიც ეკონომიკური თეორიებიდან გამომდინარე ერთმანეთთან აკავშირებს ოთხ ძირითად სექტორს:

- რეალური სექტორი
- ფისკალური სექტორი<sup>23</sup>
- საგარეო სექტორი
- მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკურ მოდელში აღნიშნულ სექტორებს შორის კავშირები წარმოდგენილია განტოლებების სახით, რომელიც იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. **სააღრისხვო იგივეობა:** მოიცავს ისეთ განტოლებებს, რომლებიც ასახავს სახელმწიფო ანგარიშსწორების იგივეობებს. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო დანახარჯებისა და წმინდა ექსპორტის ჯამს.

2. **ეკონომეტრიკული განტოლებები:** ასახავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ეკონომიკურ მოდელს. მაგალითად, სამომხმარებლო ხარჯების განტოლება ეყრდნობა დაშვებას, რომ რეალურ მშპ-სა და სესხების რეალურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს გავლენა აქვს სამომხმარებლო ხარჯების მოცულობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განტოლებების შესადგენად გამოყენებულია ისეთი ეკონომიკური მოდელები, როგორებიცაა: ავტორეგრესიული მცოცავი საშუალოს მოდელი, ვექტორული ავტორეგრესია, შეზღუდული ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელი, უმცირეს კვადრატთა მეთოდის შეცდომის შესწორების მოდელი, ბაიესიანი ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი. ამასთანავე, მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელში დაშვებები გაკეთებულია 51 მაკრო-ფისკალურ ცვლადზე, საიდანაც 16 ეგზოგენური დაშვებაა, 31 წარმოდგენს მაკრო-ეკონომეტრიკული მოდელებიდან მიღებულ შეფასებებს (25 – მოდელიდან მიღებული შედეგებია, ხოლო 6 – მათზე დაფუძნებული გაანგარიშებები) და 4 ცვლადის დაშვება გაკეთებულია ექსპერტული შეფასების საშუალებით.

3. **ტექნიკური განტოლებები:** მოიცავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ისტორიული მონაცემებიდან და სტილიზირებული ფაქტებიდან გაკეთებულ დაშვებებს. მაგალითად, მომსახურების ექსპორტის პროგნოზული მონაცემი ეყრდნობა დაშვებას, რომ მომსახურების ექსპორტის წილი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში უტოლდება ბოლო სამი წლის წილის საშუალოს.

მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი ეყრდნობა 1996Q1-2023Q2 წლების კვარტალურ მონაცემებს. მონაცემთა ბაზა შედგენილია შემდეგი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემებით:

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური** – რეალური სექტორის ცვლადები;

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** – ფისკალური სექტორის ცვლადები;

**საქართველოს ეროვნული ბანკი** – საგარეო სექტორისა და მონეტარული სექტორის ცვლადები.

<sup>23</sup> მოდელში ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი აღებულია მთავრობის საშუალოვადიანი პროგნოზებიდან, როგორც ეგზოგენური ცვლადი.

## 2. რეალური სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკა 5.6%-ით გაიზრდება. მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2024 წლისთვის (5.6%) 0.4 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება ეკონომიკური ზრდის მთავრობის პროგნოზს<sup>24</sup> (5.2%) და განსხვავდება (0.5 პპ-ით აღემატება) საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის ივნისში გამოქვეყნებული საპროგნოზო მაჩვენებლისაგან<sup>25</sup>. რაც შეეხება მიმდინარე წელს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.8%-ით გაიზრდება. მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2023 წლისთვის (6.8%) 0.3 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება ეკონომიკური ზრდის მთავრობის პროგნოზს<sup>26</sup> (6.5%) და განსხვავდება (1.0 პპ-ით აღემატება) საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის ივნისში გამოქვეყნებული საპროგნოზო მაჩვენებლისაგან. 2020 წელს კოვიდ პანდემიის შედეგად დაფიქსირებული ეკონომიკური კლების შემდგომ (-6.8%), მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა როგორც 2021 წელს (10.5%), აგრეთვე 2022 წელს (10.4%), რაც, ძირითადად, განპირობებული იყო 2020 წლის COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული მაღალი ეკონომიკური კლების გამო არსებული ე.წ. საბაზისო ეფექტით და მოსალოდნელებ მნიშვნელოვნად უკეთესი განვითარების ტენდენციის არსებობით. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომისა, 2021 წელს დაწყებული ეკონომიკური ზრდის ტემპი 2022 წელსაც შენარჩუნდა როგორც საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებში, აგრეთვე გზავნილების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, საფინანსო სექტორის, ტურიზმის სექტორის და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების მიმართულებით. საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებას, რომ მიმდინარე წელს და საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნდება გასული ორი წლის განმავლობაში დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური ზრდის ტენდენციები, უფრო მეტად გაიზრდება ტურიზმის მაჩვენებლები, მნიშვნელოვან დონეზე შენარჩუნდება საგარეო ვაჭრობის და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები. დაშვებისას ასევე მხედველობაში მიღებული როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკური აქტივობა, ასევე – საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების<sup>27</sup> ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებები და პროგნოზი<sup>28</sup>. კერძოდ:

- მოსალოდნელია, რომ 2024 წლისათვის მნიშვნელოვნად გამოცოხლდება ტურისტული სექტორიც 2023 წელთან შედარებით, გაიზრდება როგორც მომსახურების ექსპორტი, ისე იმპორტი.
- კორონავირუსის პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილი ინფლაციის ზრდის ტემპის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის თებერვლიდან გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რომელმაც თებერვლის დასაწყისიდან 10.5%, ხოლო მარტის ბოლოდან 11.0% შეადგინა. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა, რის შემდგომაც აღნიშნულმა მაჩვენებელმა დაიწყო შემცირება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციის მკვეთრი კლება დაფიქსირდა 2023 წლის მეორე კვარტალში, კერძოდ, 2023 წლის ივლისში წლიური ინფლაციის დონე 0.3%-ით განისაზღვრა, რაც, ძირითადად, მსოფლიო ბაზარზე ნავთობსა და სურსათზე ფასების კლებით იქნა გამოწვეული. 2023 წლის ივლისის თვეში სურსათის ფასების რეალური ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან მიმართებაში 13.3%-ით შემცირდა<sup>29</sup>. 2023 წლის მეორე კვარტალში სამომხმარებლო ფასების ინფლაციის შემცირების პასუხად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5 პპ-ით, 2 აგვისტოს 0.25 პპ-ით და 13 სექტემბერს 0.25 პპ-ით შეამცირა<sup>30</sup>. აღნიშნულის შესაბამისად, აგრეთვე, მესამე კვარტალში დაფიქსირებული წლიური ინფლაციის უმნიშვნელო ზრდის გათვალისწინებით,

<sup>24</sup> მთავრობის პროგნოზი გულისხმობს საქართველოს პარლამენტში 29 ნოემბერს ინიცირებული „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე თანდართული 2024-2027წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით წარმოდგენილ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

<sup>25</sup> [www.pbo.parliament.ge](http://www.pbo.parliament.ge)

<sup>26</sup> მთავრობის პროგნოზი გულისხმობს საქართველოს პარლამენტში 29 ნოემბერს ინიცირებული „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე თანდართული 2024-2027წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით წარმოდგენილ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

<sup>27</sup> ევროკავშირი, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩინეთი, უკრაინა და აშშ.

<sup>28</sup> წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“ ოქტომბერი, 2023“ (WEO October 2023) <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2023/10/10/world-economic-outlook-october-2023>


<sup>29</sup> წყარო: FAO Food Price Index | World Food Situation | Food and Agriculture Organization of the United Nations

<sup>30</sup> <https://nbg.gov.ge/monetary-policy/committee-decisions>

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2023 წლის მეორე ნახევარში წლიური ინფლაციის დაბალი ზრდის ტემპი შენარჩუნდება და 2023 წელს წლიური ინფლაცია მიზნობრივ (3.0%) ჩამოსცდება. აღნიშნული ტრენდის შენარჩუნებაა მოსალოდნელი საშუალოვადიან პერიოდშიც, რასაც პოლიტიკის განაკვეთის უფრო მეტად შემცირება შეიძლება მოჰყვეს.

**საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2023-2027 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 5.5%-ს შეადგენს**, რაც საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის ივნისის თვეში გაკეთებულ საპროგნოზო მაჩვენებელს 0.2 პროცენტული პუნქტით აღემატება (საშუალოდ 5.3%-იანი ზრდა 2023-2027 წლებში). 2024 წელს ეკონომიკური აქტივობის ზრდაში ყველაზე დიდ წვლილს რეალური მოხმარება და ინვესტიციები შეიტანს და რეალური მშპ-ის ზრდას შესაბამისად 2.7 პპ და 2.0 პპ-ით განაპირობებს.

რაც შეეხება მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელს ანალოგიური პერიოდისათვის, 2023-2027 წლებში საშუალო ეკონომიკური ზრდის სამთავრობო პროგნოზი 5.3%-ს უტოლდება, რაც 0.2 პპ-ით მეტია 2023 წლის ივნისის ანალოგიური მაჩვენებლის პროგნოზზე (5.1%-იანი ზრდა 2023-2027 წლებში). აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდისათვის ითვალისწინებს მთავრობის საშუალოვადიან პერიოდში არაფინანსური აქტივების (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) საპროგნოზო/დაგეგმილ ზრდას, რომლის ფაქტობრივმა დინამიკამ, შესაძლოა, შესაბამისი გავლენა მოახდინოს ოფისის საპროგნოზო მაჩვენებლების ფაქტობრივ რეალიზებაზე.




დიაგრამა 38: რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი.

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გაავანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ის შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი<sup>31</sup>.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დაფიქსირებული მკვეთრი ეკონომიკური კლების შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკა პოტენციურ დონეს ჩამორჩებოდა და, შესაბამისად, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის უარყოფი გაპი ფიქსირდებოდა, თუმცა 2021 წლიდან დაწყებული მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შესაბამისად, უარყოფითი გაპი დაიხურა და ქვეყნის ეკონომიკურმა ზრდამ მის პოტენციურ დონეს გადააჭარბა. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, დადებითი გაპია მოსალოდნელი საშუალოვადიან პერიოდშიც, თუმცა ქვეყნის ეკონომიკა თანდათან დაუახლოვდება პოტენციურ დონეს და, შესაბამისად, საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს, 2026-2027 წლებში, რეალური მშპ პოტენციურს უმნიშვნელოდ გადააჭარბებს<sup>32</sup>.


<sup>31</sup> დამატებით, მშპ-ს გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>

<sup>32</sup> მშპ-ის პოტენციური დონე შეფასებულია „კალმანის ფილტრის“ გამოყენებით. პოტენციური დონის შეფასების მეთოდოლოგიისათვის იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: „ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი“.



დიაგრამა 39: რეალური მშპ-ის გაბი.


რაც შეეხება ნომინალურ მშპ-ს ერთ სულზე, მისი მოცულობა საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით 2024 წლისთვის 23,264 ლარს, ხოლო 2027 წლისათვის – 29,457 ლარს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავდება მთავრობის პროგნოზისგან, რომელიც 2024 წელს 23,160 ლარს, ხოლო 2027 წლისთვის კი 29,296 ლარს შეადგენს. ერთ სულზე მშპ-ის ინდიკატორის განსხვავებული მაჩვენებლების ძირითადი გამომწვევი მშპ-ის და დეფლატორის განსხვავებული პროგნოზებია, აგრეთვე დაშვება მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ<sup>33</sup>. კერძოდ, ოფისის პროგნოზით, მშპ-ის დეფლატორის მაჩვენებელი 2024 წელს შეადგენს 3.2%-ს, ხოლო მთავრობის პროგნოზით აღნიშნული მაჩვენებელი 3.0%-ს გაუტოლდება.



დიაგრამა 40: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ნომინალური ლარი. PBO

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2024 წლისათვის ნომინალური მშპ 8.7%-ით გაიზრდება და 86,369 მლნ ლარს მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ მთავრობის რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპის და ინფლაციის განსხვავებული პროგნოზების გათვალისწინებით, ნომინალური მშპ-ის მაჩვენებელი ჩამორჩება საბიუჯეტო ოფისის მაჩვენებელს საშუალოვადიან პერიოდში.


<sup>33</sup> საბიუჯეტო ოფისის მიერ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის დასათვლელად (მიმდინარე ფასებში) აღებულია საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 3.736357 მლნ კაცი (წყარო: საქსტატი. 2023 წლის 1 იანვარი).




დიაგრამა 41: ნომინალური მშპ მლნ ლარი.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ე.წ. „საორიენტაციო ტრაექტორიის“ გათვალისწინებით, 2024 წლისთვის ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს გაუტოლდება და 3.0%-ს მიაღწევს. ოფისის მიერ 2023 წლის ივნისის თვეში გამოქვეყნებული წლიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი 2.8%-ს შეადგენდა. ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი მაჩვენებელია, ასევე, მოსალოდნელი საშუალოვადიან პერიოდშიც. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მეორე ნახევარში ინფლაციის მაჩვენებლის მკვეთრ შემცირებაზე გავლენა იქონია 2023 მეორე ნახევარში ნავთობის და სასურსათო პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ფასების მნიშვნელოვანმა კლებაზე, თუმცა მიმდინარე წლის ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირების, აგრეთვე მესამე კვარტალში დაფიქსირებული წლიური ინფლაციის მცირე ზრდის შემდეგ, საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 0.2 პპ-ით გაიზარდა ივნისის პროგნოზთან შედარებით. აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ ინფლაცია წლის განმავლობაში მცირე ტემპით განაგრძობს ზრდას.

მთავრობის პროგნოზით 2024 წელს ინფლაცია 2.8%-ს შეადგენს და საშუალოვადიან პერიოდში ეროვნული ბანკის მიზნობრივ 3.0%-იან მაჩვენებელს არ გადააჭარბებს. გასათვალისწინებელია, რომ როგორც მონეტარული პოლიტიკის, ასევე – საგარეო ფაქტორების განსხვავებულმა ცვლილებამ, შესაძლებელია, განაპირობოს განსხვავებები საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან.




დიაგრამა 42: სამომხმარებლო ფასების ინდექსები, პერიოდის საშუალო.



დიაგრამა 43: მშპ-ის დეფლაციონი.


საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, გამოცოცხლებული ეკონომიკური აქტივობის პარალელურად კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობა 2024 წლისათვის 18.7%-ს მიაღწევს, საშუალოვადიან პერიოდში ზრდადი ტენდენცია ექნება და 2027 წელს 20.1%-ს შეადგენს. რაც შეეხება კერძო დანაზოგებს, მისი მშპ-თან ფარდობა 2024 წლისთვის 16.3%-ს, ხოლო 2027 წლისათვის 15.5%-ის დონეზე დაფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ საშუალოვადიან პერიოდში მთლიანი დანაზოგები კვლავ არ იქნება საკმარისი მთლიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად, ამიტომ ინვესტიციები დანარჩენი მსოფლიოსგან მიღებული სესხებით დაფინანსდება (მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსი). მთავრობის პროგნოზის მიხედვით 2024 წლისათვის კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის ზრდა 17.1%-მდე არის მოსალოდნელი, საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება და 2027 წლისთვის 17.4%-ს გაუტოლდება.




დიაგრამა 44: კერძო ინვესტიციები, მშპ-თან შეფარდება.

### 3. ფისკალური სექტორი

ფისკალური გარემოს ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოცულობა როგორც საშუალოვადიან, ასევე – გრძელვადიან პერიოდში. **პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2024 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს<sup>34</sup> (GFSM 2014) მშპ-თან მოსალოდნელი ფარდობა -2.5%-ს შეადგენს (2023 წლის ივნისის პროგნოზით იგი -2.2% იყო). ამასთან, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ე.წ. მოდიფიცირებული მთლიანი სალდოს<sup>35</sup> მაჩვენებელი (რომელიც ცალკეული მუხლების რეკლასიფიკაციით მიიღება და გამოიყენება IMF-ის პროგრამაში) 2023 წლისთვის -2.4%-ს გაუტოლდება.**



დიაგრამა 45: ბიუჯეტის მთლიანი სალდო, მშპ-თან შეფარდება.



დიაგრამა 46: მოდიფიცირებული მთლიანი სალდო, მშპ-თან შეფარდება.

<sup>34</sup> ბიუჯეტის მთლიანი სალდო = ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება.

<sup>35</sup> მოდიფიცირებული მთლიანი სალდო – ბიუჯეტის მთლიანი სალდოსა და ფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა.

**2024 წელს საბიუჯეტო ოფისის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის<sup>36</sup> მაჩვენებელი (-2.5%) 0.1 პპ-ით ნაკლებია მთავრობის ანალოგიურ მაჩვენებელზე (-2.6%),** რაც, ძირითადად, გამომწვეულია იმით, რომ საბიუჯეტო ოფისის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 336 მლნ ლარით აღემატება მთავრობის მაჩვენებელს. აღნიშნული განპირობებულია როგორც არაპირდაპირი, ისე პირდაპირი გადასახადების განსხვავებული პროგნოზით. აღსანიშნავია, რომ როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის პროგნოზით 2024 წელს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 3.0%-ზე მეტი არ იქნება და აღნიშნული ტრენდი შენარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდშიც.

**რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის<sup>37</sup> დეფიციტს,** რომელზეც 2019 წლიდან ვრცელდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ე.წ. ბიუჯეტის ბალანსის/დეფიციტის წესი, იგიც საშუალოვადიან პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის მსგავსად შემცირების ტენდენციას ავლენს. როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის პროგნოზების მიხედვით 2024 წელს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს კლების ტენდენცია ექნება და არ აღემატება ფისკალური წესით განსაზღვრულ 3.0%-იან ლიმიტს. კერძოდ, 2024 წელს საბიუჯეტო ოფისის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელია -2.2%, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით განსხვავდება მთავრობის ანალოგიური მაჩვენებლისგან (-2.5%) და არ განსხვავდება საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის ივნისის თვეში გამოქვეყნებულ პროგნოზისგან (-2.2%).

**აქვე ხაზგასასმელია, რომ როგორც უკვე აღინიშნა, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯით ნაწილთან დაკავშირებით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზების საბაზისო სცენარი ეყრდნობა მთავრობის მიერ წარმოდგენილ 2024-2027წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ ფისკალურ გეგმას საშუალოვადიანი პერიოდისათვის.**

**ფისკალური სექტორის ანალიზის დროს, აგრეთვე მნიშვნელოვანია საშუალოვადიანი პერიოდისათვის შეფასდეს ფისკალური ინდიკატორები ეკონომიკური განვითარების ტენდენციებთან მიმართებით<sup>38</sup>, კერძოდ – დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულება და კავშირი ეკონომიკურ ციკლთან<sup>39</sup>.**

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023-2027 წლებში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტს (ციკლურად შესწორებული პირველადი მთლიანი სალდო) და, შესაბამისად, დადებით ფისკალურ პოზიციას (გარდა 2026 წლისა, როდესაც ფისკალური პოზიცია მცირედით უარყოფითია) ემთხვევა მშპ-ის დადებითი გაპი, რაც პროციკლური ფისკალური ექსპანსია<sup>40</sup> და გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის რეალური მშპ მეტია მის პოტენციურ დონეზე, თუმცა სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ანუ ეკონომიკური ზრდის დროს ხდება მისი სტიმულირება. რაც შეეხება 2026 წელს, ფისკალური პოზიცია მცირედით უარყოფითია, ხოლო მშპ-ის გაპი დადებითი, რაც ანტიციკლურ კონსოლიდაციაზე მიუთითებს.

<sup>36</sup> ბიუჯეტის დეფიციტი = ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო.

<sup>37</sup> საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი არის ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.


<sup>38</sup> კვლევა ეყრდნობა დაშვებას, რომ ხარჯვითი პოლიტიკა სრულად დისკრეციულია: გადაწყვეტილებები ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესახებ არ მიიღება ეკონომიკური ციკლების მიხედვით.

<sup>39</sup> იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: „ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი“.

<sup>40</sup> ანტიციკლური ფისკალური ექსპანსია – როდესაც ქვეყნის რეალური მშპ მეტია მის პოტენციურ დონეს, ხოლო ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ანუ ეკონომიკის შენელების დროს ხდება მისი სტიმულირება.


პროციკლური ექსპანსია – როდესაც ქვეყნის რეალური მშპ მეტია მის პოტენციურ დონეზე, მაგრამ ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ანუ ეკონომიკური ზრდის დროს ხდება მისი სტიმულირება ანტიციკლური კონსოლიდაცია – როდესაც ქვეყნის რეალური მშპ მეტია მის პოტენციურ დონეზე, ხოლო ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში ნაკლებ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური კონსოლიდაცია), ანუ ეკონომიკური ზრდის დროს ხდება დეფიციტის შემცირება.

პროციკლური კონსოლიდაცია – როდესაც ქვეყნის რეალური მშპ ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, მაგრამ ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში ნაკლებ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური კონსოლიდაცია), ანუ ეკონომიკის შენელების დროს ხდება დეფიციტის შემცირება.



დიაგრამა 47: ფისკალური პოზიცია.


**საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით**, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2024 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 22,389 მლნ ლარს შეადგენს, რაც 1,496 მლნ ლარით აღემატება საბიუჯეტო ოფისის მიერ 2023 წლის ივნისში გაკეთებულ 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელს, ხოლო 336 მლნ ლარით აღემატება მთავრობის პროგნოზს (22,053 მლნ ლარი). უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება შეინიშნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის<sup>41</sup> (იხ. დიაგრამა 48-49). საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2024 წლისთვის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მშპ-ის 25.9%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზი 25.6%-ია. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის თანახმად, 2023-2027 წლებისათვის გადასახადების შეფარდება მშპ-თან საშუალოდ 25.5% იქნება.



დიაგრამა 48: 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (საბიუჯეტო ოფისი)

საგადასახადო შემოსავლების კომპონენტების დონეზე ანალიზისას აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2024 წელს 2.2 პპ-ით გაიზრდება პირდაპირი გადასახადების<sup>42</sup> წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში (47.7%). შესაბამისად, არაპირდაპირი გადასახადების<sup>43</sup> წილი 52.3% იქნება. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, საშუალოვადიან პერიოდში პირდაპირი გადასახადების წილი<sup>44</sup> უმნიშვნელოდ მოიმატებს, ხოლო დაიკლებს არაპირდაპირი გადასახადების წილი. აღსანიშნავია, რომ მოცემული საშუალოვადიანი პროგნოზები ეყრდნობა არსებულ ფისკალურ პოლიტიკას და გათვალისწინებულია


<sup>41</sup> პირდაპირი გადასახადები, ასევე, მოიცავს სხვა გადასახადების საპროგნოზო შემოსავლებს.  
<sup>42</sup> პირდაპირი გადასახადი – წესდება პირდაპირ ქონებაზე ან შემოსავალზე (საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი და სხვა).  
<sup>43</sup> არაპირდაპირი გადასახადი – გადასახადი (დღგ, აქციზი და სხვა), რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის შეძენისას.  
<sup>44</sup> საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ეყრდნობა შემდეგ დაშვებებს: მოგების გადასახადის რეფორმის გავლენა გამოვლინდება მომდევნო წლებში, ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ გაიზრდება როგორც პირდაპირი გადასახადების ადმინისტრირება, ასევე ქონების გადასახადის პროგრესულობიდან გამომდინარე მისი წილიც საგადასახადო შემოსავლებში.




დიაგრამა 49: 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (მთავრობა)

2017-2021 წლებში განხორციელებული საგადასახადო და საპენსიო რეფორმები. ფისკალური პოლიტიკის შემდგომმა ცვლილებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს განსხვავებები აღნიშნული პროგნოზებისაგან.

რაც შეეხება მთავრობის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას, მოსალოდნელია, რომ პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 2024 წლისათვის 47.2% იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში უმნიშვნელოდ გაიზრდება.



დიაგრამა 50: საგადასახადო შემოსავლები, მშპ-თან შეფარდება.




დიაგრამა 51: საგადასახადო შემოსავლები, მილიონი ლარი.

## 4. საგარეო სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, **2024 წლისთვის საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მოსალოდნელი დეფიციტი მშპ-ის 5.4%-ია, რაც 0.6 პროცენტული პუნქტით განსხვავდება ოფისის 2023 წლის ივნისის პროგნოზისგან (4.8%), ხოლო მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ის 4.7%-ს (2023 წლის ივნისის პროგნოზით 5.1%) შეადგენს.** საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მიმდინარე ანგარიშის 2023-2027 წლებში საშუალოდ მშპ-ის -5.1%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება, მთავრობის პროგნოზის მიხედვით დეფიციტი 2023-2027 წლებში საშუალოდ მშპ-ის -4.5%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოსალოდნელი კლების მთავარ მამოძრავებელ ძალას შიდა დანაზოგების საპროგნოზო ზრდა წარმოადგენს<sup>45</sup>. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში იზრდება მშპ-ში ინვესტიციების წილიც, დანაზოგების ზრდის ტემპი არამხოლოდ აკომპენსირებს ამ ზრდას, არამედ მიმდინარე ანგარიშის ბალანსის უმნიშვნელოდ გაუმჯობესებასაც უზრუნველყოფს. ამ მხრივ აღსანიშნავია კერძო დანაზოგების ზრდა.



დიაგრამა 52: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, მშპ-თან შეფარდება.

რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის კომპონენტებს:


- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფორმირების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი სავაჭრო ბალანსის მოსალოდნელი დინამიკაა. Covid-19 პანდემიის გავლენით შემცირებული ეკონომიკური აქტივობის შემდგომ, 2021 წლიდან საგარეო აქტივობა საგრძნობლად გამოცოცხლდა, რაც გაგრძელდა მომდევნო წელსაც. აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ საგარეო ვაჭრობის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება და სავაჭრო ბალანსი თანდათან გაუმჯობესდება. **საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, სავაჭრო დეფიციტი 2024 წელს მშპ-ის 9.8%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზით კი დეფიციტი 10.0% იქნება.** საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით მიმდინარე ანგარიში და სავაჭრო ბალანსი საშუალოვადიან პერიოდში მცირე რყევებით ხასიათდება.

<sup>45</sup> მიმდინარე ანგარიშის ბალანსი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მთლიანი ინვესტიციებისა და მთლიანი დანაზოგების სხვაობა – დეფიციტი ნიშნავს, რომ დანაზოგები არაა საკმარისი ინვესტიციების დასაფინანსებლად და ქვეყანა სესხს იღებს დანარჩენი მსოფლიოსგან.



დიაგრამა 53: სავაჭრო ბალანსი, მშპ-თან შეფარდება.


რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, **2024 წლისთვის წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადების მოსალოდნელი მოცულობა 1,405 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდება** და საშუალოვადიან პერიოდში შემცირდება, ხოლო მთავრობის პროგნოზით, წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები 2024 წელს 1,573 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.




დიაგრამა 54: წმინდა კერძო და კაპიტალური ნაკადები, მლნ აშშ დოლარი.

## 5. მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის დაშვებით, 2024 წლისთვის ფულის მასა M3 აგრეგატის მოცულობა 51,517 მლნ ლარს გაუტოლდება, ხოლო ზრდის წლიური ტემპი – 15.3%-ს. თავის მხრივ, ფულის მასა M2 აგრეგატის მოსალოდნელი მოცულობა 27,890 მლნ ლარია, ზრდა კი – 16.8%.




დიაგრამა 55: ფულის მასის M3 ზრდის ტემპი.



დიაგრამა 56: ფულის მასის M2 ზრდის ტემპი.


საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2024 წლისათვის მოსალოდნელია საერთაშორისო რეზერვების 7.7%-ით ზრდა. შესაბამისად, 2024 წელს რეზერვების მოცულობა 5,403 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს (3.1 თვის იმპორტის ჯერადი<sup>46</sup>), ხოლო 2027 წლისთვის საერთაშორისო რეზერვების მოსალოდნელი მოცულობა 7,164 მლნ აშშ დოლარი იქნება.

<sup>46</sup> რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი – [https://www.imf.org/external/np/pdr/debtres/#III\\_B](https://www.imf.org/external/np/pdr/debtres/#III_B)



დიაგრამა 57: საერთაშორისო რეზერვები, მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება კერძო სექტორზე გაცემულ სესხებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2024 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 60,825 მლნ ლარს მიაღწევს, რაც სამთავრობო პროგნოზთან შედარებით, 2,615 მლნ ლარით მეტია. აღნიშნული ტენდენცია ნარჩუნდება 2023-2027 წლებშიც.



დიაგრამა 58: კერძო სექტორზე გაცემული სესხები. ნაშთები. მლნ ლარი.

## 6. მაკროეკონომიკური სცენარები

მაკროეკონომიკური სცენარები წარმოადგენს ეკონომიკის საბაზისო, ყველაზე მეტად მოსალოდნელი სცენარიდან გაუთვალისწინებელი გადახრის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკის შესაძლო განვითარების მოდელს.

2024 წლისათვის საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების დაშვებებს შორის ძირითადი განსხვავება რუსეთ-უკრაინის ომისა და რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენების მოსალოდნელ გავლენებშია (ომის გავლენა საკვები პროდუქტების ფასებზე როგორც რეგიონის, ასევე მსოფლიო ბაზრებზე, აგრეთვე, საინვესტიციო გარემოზე, რუსეთისთვის დაწესებული სანქციების კუთხით მსოფლიო ეკონომიკაზე და ა.შ.).

საბაზისო მოდელი უშვებს, რომ საქართველოში 2024 წელს რუსეთ-უკრაინის ომს ექნება გავლენა ისევე როგორც გლობალურ ეკონომიკაზე, თუმცა ძლიერად ვერ დააზარალებს ქვეყნის ეკონომიკას, საგარეო ვაჭრობის სფეროში კვლავ მზარდი ტენდენცია გვექნება. გაიზრდება როგორც საქონლის, ისე მომსახურების ექსპორტი და, შესაბამისად, გაუმჯობესდება ტურიზმის მაჩვენებლები. ამასთანავე, 2023 წლის I-III კვარტალში დაფიქსირებული ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება გაგრძელდება.

### შესაძლებელია განვიხილოთ მაკროეკონომიკური განვითარების ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები.


**ოპტიმისტური სცენარი** გულისხმობს დაშვებას, რომ საბაზისო სცენართან შედარებით, მოხდება ეკონომიკის უფრო სწრაფი ტემპით გამოცოცხლება და საგარეო დისბალანსის აღმოფხვრა. ამავე დაშვების მიხედვით, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკა დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად უფრო სწრაფად განაგრძობს ზრდას და რუსეთ-უკრაინის ომის, აგრეთვე რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების და მსოფლიოში მიმდინარე მოსალოდნელი ეკონომიკური შენელების მოსალოდნელი შედეგები ეკონომიკაზე ძლიერ უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს. ამავე სცენარის მიხედვით როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ მსოფლიოში აღნიშნულ ომს არ მოჰყვება ფისკალური/ვალის მდგრადობის პრობლემები და მსოფლიო შეინარჩუნებს ჯანსაღ ფისკალურ პოზიციებს. ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, საქართველოში 2024 წლიდან უფრო მეტად გამოცოცხლდება ტურისტული სექტორი და უფრო მეტად გაიზრდება საგარეო მოთხოვნა. საშუალოვადიან პერიოდში ოპტიმისტური სცენარი გულისხმობს მუდმივად დადებით შოკს ქვეყანაში და მაღალ ეკონომიკურ ზრდას.

**პესიმისტური სცენარი** გულისხმობს დაშვებას, რომ რუსეთ-უკრაინის ომს და რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკურ მოვლენებს გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ზრდის მოსალოდნელი შენელების პარალელურად და, შესაბამისად, შესაძლო შედეგები აისახება საშუალოვადიანი პერიოდის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. პესიმისტური სცენარის მიხედვით, ასევე მოსალოდნელია, რომ ტურისტული ნაკადების გამოცოცხლება, რომელიც 2021 წლიდან დაიწყო, გაგრძელდება 2024 წელსაც, თუმცა მისი ტემპები საშუალოვადიან პერიოდში საბაზისო სცენარის დაშვებასთან შედარებით, ნაკლები იქნება. საშუალოვადიან პერიოდში პესიმისტური სცენარი გულისხმობს დაშვებას, რომ ეკონომიკის მაღალი ზრდა ძნელად მისაღწევი იქნება და შემცირებული ეკონომიკური აქტივობების ფონზე, ასევე წარმოების პოტენციალიც შემცირდება.

### 6.1 ძირითადი დაშვებები

საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკური მოდელის (PBOMFM) სხვადასხვა სცენარი ეფუძნება შოკების რეალიზაციის პირობებში ორი ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორის: ინფლაციისა და რეალური მშპ-ის ცვლილებებს. დანარჩენი მაკროეკონომიკური ცვლადების საბაზისო სცენარიდან გადახრები განპირობებულია ინფლაციისა და მშპ-ის ზრდის შოკებით.

რეალური მშპ-ის ზრდის ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები წარმოადგენს ზემოთ აღწერილი დაშვებების შესაძლო რეალიზაციის შედეგად საბაზისო სცენარიდან გადახრას.




დიაგრამა 59: რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები).

მაკროეკონომიკური სცენარები ეფუძნება დაშვებას რომ, ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, მთლიანი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში პერმანენტულად დადებითი შოკები რეალიზდება, ხოლო უარყოფითი სცენარის დროს, ყოველ წელს საბაზისო სცენართან შედარებით, მოსალოდნელია ეკონომიკური განვითარების უარყოფითი ტენდენციები.

ამ დაშვებების გათვალისწინებით, ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, 2023-2027 წლებში ეკონომიკის საშუალო რეალური ზრდის ტემპი 6.8% იქნება, ხოლო პესიმისტურის შემთხვევაში – 3.4%.

რაც შეეხება სამომხმარებლო ფასების ინფლაციას, მისი ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები ითვალისწინებს წლების განმავლობაში ინფლაციის ტენდენციებს ეკონომიკური ზრდისა და შენელებისას, აგრეთვე – ინფლაციის საპროგნოზო მოდელის შეფასების შეცდომას.

ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ინფლაცია მუდმივად გადააჭარბებს საბაზისო სცენარს (საშუალოდ 4.1%), ხოლო პესიმისტური სცენარის შემთხვევაში მუდმივად ნაკლები იქნება საბაზისო სცენარზე (საშუალოდ 2.1%).



დიაგრამა 60: ინფლაცია (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები).

რეალური მშპ-ისა და ინფლაციის ოპტიმისტური სცენარების კომბინაცია წარმოადგენს მთლიანი მოდელის ოპტიმისტური სცენარის საფუძველს, ხოლო პესიმისტური სცენარების კომბინაცია ეკონომიკური განვითარების პესიმისტური სცენარის ბაზისია.

მოდელი ეყრდნობა დაშვებას, რომ მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური შოკები, პირველ რიგში, სწორედ ამ ორ ინდიკატორზე მოახდენს გავლენას. თავის მხრივ, რეალური მშპ-ის ზრდა და ინფლაცია გავლენას ახდენს ერთმანეთზე, რაც აგრეთვე ეკონომიკური შინაარსის მატარებელია.


საბაზისო სცენართან შედარებით, მაღალი ეკონომიკური ზრდა ნიშნავს საბაზისო სცენართან შედარებით გაზრდილ ერთობლივ მოთხოვნას და, შესაბამისად, გაზრდილ ფასებს, ხოლო ეკონომიკის ზრდის მუდმივი დაბალი ტემპი ერთობლივი მოთხოვნის და, შესაბამისად, ფასების კლებას განაპირობებს. თავის მხრივ, საბაზისო სცენართან შედარებით, მაღალი და სტაბილური ინფლაცია დანაზოგების სტიმულს ამცირებს და ხელს უწყობს მოხმარების სტიმულირებას, რაც ზრდის ერთობლივ მოთხოვნას და, შესაბამისად, გამოშვებას, ხოლო დაბალი ინფლაცია დაზოგვის სტიმულს ქმნის და საშუალოვადიან პერიოდში მოთხოვნას ამცირებს.

**პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარები აგებულია იმ დაშვებით, რომ მთავრობის ხარჯვითი პოლიტიკა წარმართება ისე, როგორც მთავრობის მიერ წარმოდგენილ ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებშია ასახული. საბიუჯეტო ოფისის ოპტიმისტური სცენარი მოიცავს მთავრობის ოპტიმისტურ ხარჯვით პოლიტიკას, ხოლო პესიმისტურ სცენარში მთავრობის პესიმისტური სცენარით გათვალისწინებული ხარჯვითი პოლიტიკაა გათვალისწინებული<sup>47</sup>.**

## 6.2 ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები

რაც შეეხება ეკონომიკურ სცენარებს სექტორების მიხედვით:


მაღალი ეკონომიკური ზრდა და ფასების მაღალი დონე განაპირობებს იმას, რომ საბაზისო სცენართან შედარებით, იზრდება გადასახადების დასაბეგრი ბაზა და, შესაბამისად, ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადები, ხოლო უარყოფითი სცენარის განვითარების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ გადასახადების მოცულობა საბაზისო პროგნოზთან შედარებით შემცირდება.



დიაგრამა 61: საგადასახადო შემოსავლები (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები).

<sup>47</sup> საქართველოს პარლამენტში 2023 წლის 29 ნოემბერს წარმოდგენილი 2024-2027 წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით წარმოდგენილი საპროგნოზო მაჩვენებლები.

ასევე აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის სცენარების მიხედვით, განსხვავებულ საგადასახადო შემოსავლების პროგნოზთან ერთად, ხარჯებში გათვალისწინებულია მთავრობის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებში ასახული ხარჯების მოცულობები. ეს ყოველივე პირდაპირ აისახება ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის ცვლილებაზე, რომელიც განსხვავდება როგორც საბიუჯეტო ოფისის საბაზისო პროგნოზებისაგან, ისე მთავრობის ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარებისაგან (იხ. დანართები 7 და 8).



დიაგრამა 25: ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები).


ოპტიმისტური სცენარის მიხედვით მოსალოდნელია, რომ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 2024 წელს შენარჩუნდება 3.0%-იან ნიშნულზე დაბლა. შემდგომში თანდათან შემცირდება და უკვე 2027 წლისათვის მისი მშპ-თან შეფარდება -1.6% იქნება. რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს, 2024 წლისათვის -2.2%-ს გაუტოლდება, ხოლო შემდეგ წლებში შემცირებას დაიწყებს და მუდმივად მშპ-ის 3.0%-ის ქვემოთ იქნება.

მეორე მხრივ, პესიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ როგორც მიმდინარე, ისე მომდევნო წლებში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 3.0%-იან ნიშნულზე ქვემოთ იქნება. იგივე ტენდენცია ექნება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტსაც, იგი 2024 წელს -2.8% იქნება და შემდეგ წლებში მუდმივად მშპ-ის 3.0%-ზე ნაკლები იქნება.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია ცვლილების დაშვების პირობებში თუ რა მიმართულების იქნება არსებული ფისკალური პოლიტიკა მთავრობის ხარჯების სხვადასხვა სცენარის შესაბამისად: ეკონომიკური ციკლების დაბალანსებისა და შესუსტების (ანტიციკლური), თუ პირიქით – გაძლიერების (პროციკლური) მიმართულებით.

ოპტიმისტური სცენარის თანახმად, 2023-2027 წლებში ფისკალური პოზიცია (ბიუჯეტის ციკლურად კორექტირებული პირველადი მთლიანი სალდო უარყოფითი ნიშნით) დადებითი იქნება (ექსპანსია), რაც ნიშნავს, რომ ადგილი აქვს მთავრობის მხრიდან ეკონომიკის სტიმულირებას. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკა პოტენციურზე მეტად ძლიერდება და მთავრობის ფისკალური პოლიტიკა ციკლის მიმართულებით მოქმედებს, რაც არის პროციკლური ექსპანსია.


რაც შეეხება პესიმისტურ სცენარს, ფისკალური პოზიცია დადებითია 2023 წელს (ექსპანსია), რასაც ემთხვევა მშპ-ს დადებითი გაპი, რაც ნიშნავს რომ აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკა პოტენციურზე მეტად ძლიერდება და ადგილი აქვს პროციკლურ ექსპანსიას. 2024-2027 წელს ფისკალური პოზიცია დადებითია, თუმცა ეკონომიკა ჩამორჩება პოტენციურ დონეს, შესაბამისად ფიქსირდება ანტიციკლური ექსპანსია.



დიაგრამა 63: ფისკალური პოზიცია (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმიტური სცენარები).

რაც შეეხება საგარეო სექტორს, ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, 2024 წელს მოსალოდნელია როგორც ექსპორტის, ასევე – იმპორტის უფრო მეტად ზრდა, თუმცა საშუალოვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოცოცხლების ფონზე, უფრო სწრაფად აღდგება ტურისტული სექტორი, თუმცა შედარებით გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის და გაზრდილი მოთხოვნის ფონზე, გაიზრდება მოხმარების კომპონენტი, რაც თავისთავად გაზრდის მოთხოვნას იმპორტზე. აღნიშნული კი შედარებით გაზრდის სავაჭრო ბალანსის დეფიციტს. ამავე დროს, მოსალოდნელია, რომ შეიცვლება საგადასახდლო ბალანსის სხვადასხვა კომპონენტიც, რაც აისახება როგორც მიმდინარე ანგარიშის, ასევე – კაპიტალის და ფინანსური ანგარიშის სტრუქტურაზე.


პესიმიტური სცენარის განვითარება და ეკონომიკური აქტივობის შემცირება უკავშირდება საგარეო ვაჭრობის შემცირებას და, აგრეთვე, საგადასახდლო ბალანსის განსხვავებულ სტრუქტურას.



დიაგრამა 64: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმიტური სცენარები).

აღსანიშნავია, რომ პესიმისტური სცენარი 2023-2027 წლებში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს საშუალოდ -3.3%-ის ფარგლებში პროგნოზირებს, ხოლო ოპტიმისტური კი -7.0%-ის ფარგლებში. 2027 წლისთვის ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან შესაბამისად -8.0% და -2.0% იქნება.


**მონეტარული სექტორის** აქტივობაც პირდაპირაა დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების ტენდენციებთან: მაღალი აქტივობის პირობებში მოსალოდნელია, რომ გაიზრდება მიმოქცევაში არსებული ფული, აგრეთვე, ეროვნული ბანკისა და სხვა დეპოზიტური კორპორაციების საშინაო და უცხოური აქტივები. თავის მხრივ, პესიმისტური სცენარის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების როგორც აქტივები, ასევე – პასივები საბაზისო სცენართან შედარებით დაიკლებს.



დიაგრამა 65: ფულის მასა M3 (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები).

ოპტიმისტური სცენარის პირობებში M3 ფულის მასის ოდენობა ყოველთვის აჭარბებს საბაზისო სცენარის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო პესიმისტური სცენარის შემთხვევაში M3 აგრეგატის მოცულობა ნაკლებია საბაზისო სცენარის შესაბამის მაჩვენებელზე.

ეკონომიკაში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ შეიცვლება როგორც შიდა ეკონომიკური აქტივობების სტრუქტურა და მიმართულებები, ასევე – საგარეო სექტორის ტენდენციებიც. ამ ყოველივეს კომპლექსურად აღწერისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეიცვლება ქვეყნის მთლიანი დანაზოგები.



დიაგრამა 66: მთლიანი ეროვნული დანაზოგი, % მშპ-თან (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმიტური სცენარები).

ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის შიდა (მთლიანი ეროვნული) დანაზოგები უფრო ნაკლებად იზრდება საბაზისო სცენართან შედარებით. საბიუჯეტო ოფისის დაშვებით, მაღალი ეკონომიკური ზრდას განაპირობებს გაზრდილი მოთხოვნა, რაც წაახალისებს მოხმარებას და, შესაბამისად, შეამცირებს კერძო სექტორის დანაზოგებს, თუმცა, გაზრდის მთავრობის დანაზოგებს.

თავის მხრივ, პესიმიტური სცენარის შემთხვევაში, საბიუჯეტო ოფისის დაშვებით მთავრობის დანაზოგები შემცირდება, მთავრობის მხრიდან ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში, ხოლო კერძო დანაზოგები მომხარების შემცირების ხარჯზე გაიზრდება.

# დანართები

## დანართი 1: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)<sup>48</sup>

რეალური სექტორი	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 PBO მოსალოდნელი	2024 PBO პროგნოზი	2025 PBO პროგნოზი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი
	% -ული ზრდა							
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	-6.8%	10.5%	10.4%	6.8%	5.6%	5.0%	4.9%	5.2%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	5.2%	9.6%	11.9%	2.7%	3.0%	2.7%	2.9%	2.8%
მშპ დეფლატორი	7.3%	10.3%	9.0%	2.9%	3.2%	3.2%	3.0%	2.8%
ნომინალური მშპ								
მილიონი ლარი	49 267	60 003	72,266	79,473	86,369	93,567	101,119	109,358
მილიონი აშშ დოლარი	15 847	18 626	24,781	29,784	31,873	34,140	36,863	40,501
მშპ ერთ სულ მოსახლეზე								
ლარი	13 234	16 179	19,466	21,407	23,264	25,203	27,237	29,457
დოლარი	4 256	5 023	6,675	8,015	8,567	9,178	9,911	10,911
	% მშპ-სთან							
აბსორბცია	119.2	116.5	109.8	108.6	109.7	109.5	109.6	110.1
მომხმარება	95.3	97.5	85.5	83.9	83.0	83.2	84.1	84.3
კერძო	87.8	90.5	79.1	77.0	76.1	76.2	77.2	77.3
სახელმწიფო	7.6	7.0	6.4	6.9	6.9	6.9	7.0	7.0
ინვესტიციები	23.9	19.0	24.3	24.7	26.7	26.3	25.5	25.8
კერძო	15.3	11.3	16.1	18.3	18.7	19.7	19.5	20.1
სახელმწიფო	8.6	7.7	8.3	6.4	7.9	6.6	6.0	5.7
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	11.4	8.6	19.7	18.4	18.8	18.9	19.2	19.1
სახელმწიფო	-1.1	0.6	5.2	4.9	5.1	4.8	4.3	4.2
კერძო	12.5	7.9	14.5	14.8	16.3	16.4	16.6	15.5

<sup>48</sup> ხარჯების, არაფინანსური აქტივების და ნომინალური ვალის მთავრობის პროგნოზი გულისხმობს საქართველოს პარლამენტში 2023 წლის 29 ნოემბერს წარმოდგენილ 2024-2027 წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის დოკუმენტით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ფისკალური სფერო <sup>49</sup>		მლნ ლარი									
შემოსავლები და გრანტები	12,407	15,143	19,377	21,798	24,640	26,420	27,991	30,222			
საგადასახადო შემოსავლები	10,964	13,380	17,386	19,580	22,389	24,147	25,677	27,879			
პირდაპირი გადასახადები	4,433	5,395	7,797	8,915	10,687	11,604	12,216	13,337			
არაპირდაპირი გადასახადები	6,531	7,985	9,589	10,665	11,701	12,543	13,461	14,543			
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	17,189	19,358	21,579	24,395	27,108	28,607	30,310	32,611			
მიმდინარე ხარჯები	12,960	14,767	15,611	17,916	20,201	21,927	23,690	25,671			
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,229	4,591	5,968	6,479	6,907	6,680	6,620	6,940			
საოპერაციო სალდო	-553	375	3,767	3,882	4,439	4,493	4,301	4,552			
მთლიანი სალდო	-4,574	-3,794	-1,766	-2,247	-2,118	-1,887	-2,019	-2,088			
მთვარობის გალი	29,654	29,812	28,587	30,609	32,514	35,371	38,848	41,199			
საგარეო	23,467	23,967	21,392	22,155	22,564	23,874	25,696	26,286			
საშინაო	6,186	5,845	7,195	8,454	9,950	11,497	13,152	14,913			
მოდფიცირებული მთლიანი სალდო	-4,596	-3,662	-2,107	-2,117	-2,075	-2,017	-2,149	-2,223			
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-4,481	-3,796	-1,601	-2,188	-1,935	-1,862	-1,964	-2,042			
<b>% შშპ-სთან</b>											
შემოსავლები და გრანტები	25.2%	25.2%	26.8%	27.4%	28.5%	28.2%	27.7%	27.6%			
საგადასახადო შემოსავლები	22.3%	22.3%	24.1%	24.6%	25.9%	25.8%	25.4%	25.5%			
პირდაპირი გადასახადები	9.0%	9.0%	10.8%	11.2%	12.4%	12.4%	12.1%	12.2%			
არაპირდაპირი გადასახადები	13.3%	13.3%	13.3%	13.4%	13.5%	13.4%	13.3%	13.3%			
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	34.9%	32.3%	29.9%	30.7%	31.4%	30.6%	30.0%	29.8%			
მიმდინარე ხარჯები	26.3%	24.6%	21.6%	22.5%	23.4%	23.4%	23.4%	23.5%			
არაფინანსური აქტივების ზრდა	8.6%	7.7%	8.3%	8.2%	8.0%	7.1%	6.5%	6.3%			

<sup>49</sup> ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს გარდა ყველა ინდიკატორი წარმოდგენს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებელს.

საოპერაციო სალდო	-1.1%	0.6%	5.2%	4.9%	5.1%	4.8%	4.3%	4.2%
მთლიანი სალდო	-9.3%	-6.3%	-2.4%	-2.8%	-2.5%	-2.0%	-2.0%	-1.9%
მთავრობის ვალი	60.2%	49.7%	39.6%	38.5%	37.6%	37.8%	38.4%	37.7%
საგარეო	47.6%	39.9%	29.6%	27.9%	26.1%	25.5%	25.4%	24.0%
საშინაო	12.6%	9.7%	10.0%	10.6%	11.5%	12.3%	13.0%	13.6%
მოდულიზებული მთლიანი სალდო	-9.3%	-6.1%	-2.9%	-2.7%	-2.4%	-2.2%	-2.1%	-2.0%
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-9.1%	-6.3%	-2.2%	-2.8%	-2.2%	-2.0%	-1.9%	-1.9%

**მონეტარული სექტორი**      %-ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

წმინდა უცხოური აქტივები	1.9%	0.0%	4.2%	4.3%	4.2%	4.0%	3.8%	3.7%
წმინდა საშინაო აქტივები	59.8%	56.4%	47.9%	52.0%	55.5%	59.4%	63.0%	67.8%
ფართო ფული M3	61.7%	56.4%	52.2%	56.2%	59.6%	63.4%	66.8%	71.5%
ფართო ფული M2	27.7%	26.8%	27.4%	30.1%	32.3%	34.4%	36.7%	39.6%

**საბარემო სექტორი**      %-ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-12.5%	-10.4%	-4.5%	-5.1%	-5.4%	-5.3%	-4.8%	-4.7%
სავაჭრო ბალანსი	-19.2%	-16.5%	-9.8%	-8.7%	-9.8%	-9.7%	-9.8%	-8.8%
ოფიციალური სავალუტარო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3,911	4,272	4,902	5,018	5,403	5,991	6,648	7,164
იმპორტის ჯერადი	5.2	4.6	3.8	3.3	3.1	3.1	3.1	3.1
წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები (მლნ აშშ დოლარი)	988	755	1730	1,492	1,405	1,379	1,368	1,342

**დანართი 2: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პრეზენტაციები 2023-2027 წლებისთვის (ოპტიმისტური სცენარი)<sup>50</sup>**

რეალური სექტორი	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 PBO მოსალოდნელი	2024 PBO პროგნოზი	2025 PBO პროგნოზი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი
	% -ული ზრდა							
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	-6.8%	10.5%	10.4%	7.5%	6.9%	6.5%	6.4%	6.7%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	5.2%	9.6%	11.9%	3.3%	4.4%	4.5%	4.1%	4.3%
მშპ დეფლატორი	7.3%	10.3%	9.0%	3.5%	4.2%	4.7%	4.7%	4.6%
ნომინალური მშპ								
მილიონი ლარი	49 267	60 003	72,266	79,746	88,794	99,039	110,352	123,154
მილიონი აშშ დოლარი	15 847	18 626	24,781	29,886	32,767	36,137	40,229	45,611
მშპ ერთ სულ მოსახლეზე								
ლარი	13 234	16 179	19,466	21,343	23,765	26,507	29,535	32,961
დოლარი	4 256	5 023	6,675	7,988	8,749	9,650	10,745	12,209
	% მშპ-სთან							
აბსორბცია	119.2	116.5	109.8	108.8	110.0	110.1	109.8	108.0
მომხმარება	95.3	97.5	85.5	85.7	85.0	84.2	83.7	81.9
კერძო	87.8	90.5	79.1	78.8	78.2	77.6	77.3	75.7
სახელმწიფო	7.6	7.0	6.4	6.9	6.7	6.6	6.4	6.2
ინვესტიციები	23.9	19.0	24.3	23.1	25.0	25.9	26.1	26.1
კერძო	15.3	11.3	16.1	16.6	16.7	18.6	18.9	18.7
სახელმწიფო	8.6	7.7	8.3	6.4	8.3	7.3	7.2	7.4
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	11.4	8.6	19.7	18.3	18.6	18.8	18.5	18.2
სახელმწიფო	-1.1	0.6	5.2	5.4	5.7	5.8	6.0	6.4
კერძო	12.5	7.9	14.5	12.9	12.9	13.0	12.4	11.8

<sup>50</sup> ხარჯების, არაფინანსური აქტივების და ნომინალური ვალის მთავრობის პროგნოზი გულისხმობს საქართველოს პარლამენტში 2023 წლის 29 ნოემბერს წარმოდგენილ 2024-2027 წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ სამომავლო მანკეზებს.



საოპერაციო სალდო	-1.1%	0.6%	5.2%	5.4%	5.7%	5.8%	6.0%	6.3%
მთლიანი სალდო	-9.3%	-6.3%	-2.4%	-2.6%	-2.4%	-2.0%	-1.8%	-1.6%
მთავრობის ვალი	60.2%	49.7%	39.6%	38.4%	36.6%	35.7%	35.2%	33.5%
საგარეო	47.6%	39.9%	29.6%	27.8%	25.4%	24.1%	23.3%	21.3%
საშინაო	12.6%	9.7%	10.0%	10.6%	11.2%	11.6%	11.9%	12.1%
მოდულიზირებული მთლიანი სალდო	-9.3%	-6.1%	-2.9%	-2.4%	-2.3%	-2.2%	-1.9%	-1.7%
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-9.1%	-6.3%	-2.2%	-2.5%	-2.2%	-2.0%	-1.7%	-1.6%

% -ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული								
<b>მონეტარული საფუძველი</b>								
წმინდა უცხოური აქტივები	1.9%	0.0%	4.2%	4.3%	2.7%	1.5%	0.8%	0.5%
წმინდა საშინაო აქტივები	59.8%	56.4%	47.9%	52.9%	58.4%	62.5%	65.8%	69.2%
ფართო ფული M3	61.7%	56.4%	52.2%	57.2%	61.1%	64.0%	66.6%	69.7%
ფართო ფული M2	27.7%	26.8%	27.4%	30.6%	33.0%	35.2%	37.3%	39.4%

% -ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული								
<b>საბარემო საფუძველი</b>								
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-12.5%	-10.4%	-4.5%	-5.4%	-6.5%	-7.2%	-7.8%	-8.0%
სავაჭრო ბალანსი	-19.2%	-16.5%	-9.8%	-9.4%	-10.1%	-10.2%	-9.9%	-8.1%
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3,911	4,272	4,902	5,195	5,526	6,198	6,734	7,346
იმპორტის ჯირადაი	5.2	4.6	3.8	3.2	3.0	3.0	3.0	2.9
წმინდა კრძოლ კაპიტალური და ფინანსური ნაკადები (მლნ აშშ დოლარი)	988	755	1730	1,210	1,311	1,380	1,452	1,529

**დანართი 3: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მკარვეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (პესიმისტური სცენარი)<sup>51</sup>**

	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 PBO მოსალოდნელი	2024 PBO პროგნოზი	2025 PBO პროგნოზი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი
<b>რეალური სექტორი</b>				<b>%-ული ზრდა</b>				
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	-6.8%	10.5%	10.4%	5.6%	3.4%	2.8%	2.6%	2.8%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	5.2%	9.6%	11.9%	2.6%	2.0%	2.0%	1.9%	1.8%
მშპ დეფლატორი	7.3%	10.3%	9.0%	2.7%	2.3%	2.3%	2.2%	2.0%
<b>ნომინალური მშპ</b>								
მილიონი ლარი	49 267	60 003	72,266	77,631	82,127	86,430	90,642	95,049
მილიონი აშშ დოლარი	15 847	18 626	24,781	29,093	30,307	31,536	33,044	35,202
<b>მშპ ერთ სულ მოსახლეზე</b>								
ლარი	13 234	16 179	19,466	20,777	21,980	23,132	24,260	25,439
დოლარი	4 256	5 023	6,675	7,781	8,096	8,426	8,830	9,423
				<b>% მშპ-სთან</b>				
აბსორბცია	119.2	116.5	109.8	108.2	108.1	108.2	108.3	107.8
მომხმარება	95.3	97.5	85.5	86.0	84.8	85.6	86.1	86.4
კერძო	87.8	90.5	79.1	78.9	77.6	78.1	78.3	78.3
სახელმწიფო	7.6	7.0	6.4	7.1	7.3	7.5	7.8	8.0
ინვესტიციები	23.9	19.0	24.3	22.2	23.2	22.6	22.2	21.4
კერძო	15.3	11.3	16.1	14.7	17.2	18.2	19.0	19.3
სახელმწიფო	8.6	7.7	8.3	7.5	6.0	4.5	3.2	2.1
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	11.4	8.6	19.7	18.4	19.4	19.4	19.4	19.5
სახელმწიფო	-1.1	0.6	5.2	4.1	3.4	2.4	1.1	0.1
კერძო	12.5	7.9	14.5	14.2	16.0	17.0	18.4	19.4

<sup>51</sup> ხარჯების, არაფინანსური აქტივების და ნომინალური ვალის მთავრობის პროგნოზი გულისხმობს საქართველოს პარლამენტში 2023 წლის 29 ნოემბერს წარმოდგენილ 2024-2027 წლ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ფისკალური სექტორი		მლნ ლარი										
შემოსავლები და გრანტები	12,407	15,143	19,377	21,135	22,971	23,977	24,702	25,662				
საგადასახადო შემოსავლები	10,964	13,380	17,386	18,917	20,720	21,704	22,389	23,319				
პირდაპირი გადასახადები	4,433	5,395	7,797	8,663	9,910	10,542	10,648	10,999				
არაპირდაპირი გადასახადები	6,531	7,985	9,589	10,254	10,811	11,162	11,741	12,320				
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	17,189	19,358	21,579	23,775	25,763	26,367	27,101	28,288				
მიმდინარე ხარჯები	12,960	14,767	15,611	17,916	20,201	21,927	23,690	25,671				
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,229	4,591	5,968	5,859	5,562	4,440	3,411	2,617				
საოპერაციო სალდო	-553	375	3,767	3,219	2,770	2,050	1,012	-9				
მთლიანი სალდო	-4,574	-3,794	-1,766	-2,290	-2,442	-2,090	-2,099	-2,326				
მთავრობის ვალი	29,654	29,812	28,587	30,609	32,514	35,371	38,848	41,199				
საგარეო	23,467	23,967	21,392	22,155	22,564	23,874	25,696	26,286				
საშინაო	6,186	5,845	7,195	8,454	9,950	11,497	13,152	14,913				
მოდერნიზირებული მთლიანი სალდო	-4,596	-3,662	-2,107	-2,160	-2,399	-2,220	-2,229	-2,461				
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-4,481	-3,796	-1,601	3,219	2,770	2,050	1,012	-9				
				% მშპ-სთან								
შემოსავლები და გრანტები	25.2%	25.2%	26.8%	27.2%	28.0%	27.7%	27.3%	27.0%				
საგადასახადო შემოსავლები	22.3%	22.3%	24.1%	24.4%	25.2%	25.1%	24.7%	24.5%				
პირდაპირი გადასახადები	9.0%	9.0%	10.8%	11.2%	12.1%	12.2%	11.7%	11.6%				
არაპირდაპირი გადასახადები	13.3%	13.3%	13.3%	13.2%	13.2%	12.9%	13.0%	13.0%				
ხარჯები და არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	34.9%	32.3%	29.9%	30.6%	31.4%	30.5%	29.9%	29.8%				
მიმდინარე ხარჯები	26.3%	24.6%	21.6%	23.1%	24.6%	25.4%	26.1%	27.0%				
არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	8.6%	7.7%	8.3%	7.5%	6.8%	5.1%	3.8%	2.8%				

საოპერაციო სალდო	-1.1%	0.6%	5.2%	4.1%	3.4%	2.4%	1.1%	0.0%
მთლიანი სალდო	-9.3%	-6.3%	-2.4%	-2.9%	-3.0%	-2.4%	-2.3%	-2.4%
მთავრობის ვალი	60.2%	49.7%	39.6%	39.4%	39.6%	40.9%	42.9%	43.3%
საგარეო	47.6%	39.9%	29.6%	28.5%	27.5%	27.6%	28.3%	27.7%
საშინაო	12.6%	9.7%	10.0%	10.9%	12.1%	13.3%	14.5%	15.7%
მოდერნიზებული მთლიანი სალდო	-9.3%	-6.1%	-2.9%	-2.8%	-2.9%	-2.6%	-2.5%	-2.6%
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-9.1%	-6.3%	-2.2%	-2.9%	-2.8%	-2.4%	-2.3%	-2.4%

მონეტარული სფერო								
%–ად შშპ–სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული								
წმინდა უცხოური აქტივები	1.9%	0.0%	4.2%	5.0%	5.4%	5.6%	6.0%	6.4%
წმინდა საშინაო აქტივები	59.8%	56.4%	47.9%	50.2%	49.0%	51.8%	52.5%	50.7%
ფართო ფული M3	61.7%	56.4%	52.2%	55.1%	54.4%	57.4%	58.5%	57.1%
ფართო ფული M2	27.7%	26.8%	27.4%	29.2%	29.2%	31.0%	31.3%	31.6%

საბარემო სფერო								
%–ად შშპ–სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული								
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-12.5%	-10.4%	-4.5%	-4.5%	-3.8%	-3.3%	-2.8%	-2.0%
სავაჭრო ბალანსი	-19.2%	-16.5%	-9.8%	-8.9%	-8.1%	-8.2%	-8.3%	-7.8%
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3,911	4,272	4,902	5,295	5,776	6,353	6,940	7,688
იმპორტის ჭირადი	5.2	4.6	3.8	3.5	3.6	3.8	3.9	4.0
წმინდა კრედიტული და ფინანსური ნაკადები (მლნ აშშ დოლარი)	988	755	1730	1,115	1,050	977	904	828

**დანართი 4: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2023-2024 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)**

	2023 წელი						2024 წელი					
	დეკემბერი 2023			ივნისი 2023			დეკემბერი 2023			ივნისი 2023		
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	6.5%	6.8%	5.4%	5.8%	5.2%	5.6%	5.0%	5.1%	5.0%	5.1%	5.0%	5.1%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	2.6%	2.7%	2.8%	2.3%	2.8%	3.0%	2.7%	2.8%	2.7%	2.8%	2.7%	2.8%
მშპ დეფლატორი	3.1%	2.9%	3.3%	3.8%	3.0%	3.2%	3.2%	3.2%	3.2%	3.2%	3.2%	3.2%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	79,350	79,473	78,125	78,577	85,981	86,369	84,656	85,241	84,656	85,241	84,656	85,241
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	19,410	19,580	19,100	19,365	22,053	22,389	20,700	20,893	20,700	20,893	20,700	20,893
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	8,854	8,915	8,722	8,871	10,407	10,687	9,482	9,527	9,482	9,527	9,482	9,527
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	10,556	10,665	10,378	10,494	11,646	11,701	11,218	11,366	11,218	11,366	11,218	11,366
ნაერთი ბიუჯეტის მოლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,330	-2,247	-2,288	-1,920	-2,230	-2,118	-2,025	-1,680	-2,025	-1,680	-2,025	-1,680
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-4.6%	-5.1%	-5.4%	-4.9%	-4.7%	-5.4%	-5.1%	-4.8%	-5.1%	-4.8%	-5.1%	-4.8%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-10.4%	-8.7%	-11.7%	-9.6%	-10.0%	-9.8%	-11.4%	-9.7%	-11.4%	-9.7%	-11.4%	-9.7%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	15.8%	16.9%	20.0%	21.8%	7.9%	13.5%	8.9%	10.4%	8.9%	10.4%	8.9%	10.4%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	17.9%	15.4%	23.7%	20.9%	6.8%	14.5%	8.4%	10.3%	8.4%	10.3%	8.4%	10.3%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,422	5,018	5,324	6,296	5,910	5,403	5,803	6,804	5,803	6,804	5,803	6,804
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	44,647.3	44,681	43,352	44,454	51,506	51,517	49,873	51,256	49,873	51,256	49,873	51,256
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	24,495.6	23,888	23,219	23,690	28,527	27,890	26,970	27,659	26,970	27,659	26,970	27,659

**დანართი 5: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2025-2026 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)**

	2025 წელი						2026 წელი					
	დეკემბერი 2023			ივნისი 2023			დეკემბერი 2023			ივნისი 2023		
	მთავრობა	საბუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული მრდა)	5.0%	5.0%	5.0%	5.2%	5.0%	5.0%	5.0%	4.9%	5.0%	5.0%	5.0%	5.0%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.0%	2.7%	3.0%	2.9%	3.0%	3.0%	3.0%	2.9%	3.0%	3.0%	2.8%	2.8%
მშპ დეფლაციონი	3.0%	3.2%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	92,988	93,567	91,555	92,327	100,567	101,119	99,017	99,017	99,017	99,017	99,848	99,848
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	23,799	24,147	22,350	22,552	25,463	25,677	24,200	24,200	24,200	24,200	24,459	24,459
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	11,341	11,604	10,267	10,367	12,169	12,216	11,142	11,142	11,142	11,142	11,383	11,383
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	12,458	12,543	12,083	12,185	13,294	13,461	13,058	13,058	13,058	13,058	13,076	13,076
ნაერთი ბუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,048	-1,887	-1,990	-1,665	-2,090	-2,019	-2,064	-2,064	-2,064	-2,064	-1,668	-1,668
მომდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-4.6%	-5.3%	-4.8%	-4.6%	-4.3%	-4.8%	-4.4%	-4.4%	-4.4%	-4.4%	-4.4%	-4.4%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-9.6%	-9.7%	-11.2%	-9.7%	-9.2%	-9.8%	-11.1%	-11.1%	-11.1%	-11.1%	-9.5%	-9.5%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელიდან, აშშ დოლარი)	8.7%	11.8%	8.4%	8.5%	8.7%	14.0%	8.4%	8.4%	8.4%	8.4%	8.3%	8.3%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელიდან, აშშ დოლარი)	7.8%	10.9%	8.0%	8.1%	7.9%	13.3%	8.1%	8.1%	8.1%	8.1%	8.2%	8.2%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	6,383	5,991	6,268	7,352	6,893	6,648	6,769	6,769	6,769	6,769	7,824	7,824
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	59,130	59,300	57,255	59,000	67,883	67,561	65,731	65,731	65,731	65,731	67,573	67,573
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	33,071	32,217	31,267	31,950	38,338	37,078	36,247	36,247	36,247	36,247	36,771	36,771

**დანართი 6: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2027 წლისთვის (საბაზისო სცენარი)**

	2027 წელი			
	დეკემბერი 2023		ივნისი 2023	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	5.0%	5.2%	5.0%	5.3%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.0%	2.8%	3.0%	3.0%
მშპ დეფლატორი	3.0%	2.8%	3.0%	3.0%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	108763	109,358	107,087	108,298
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	27,538	27,879	26,200	26,359
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	13,193	13,337	12,091	12,233
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	14,345	14,543	14,109	14,125
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,292	-2,088	-2,181	-1,942
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-4.0%	-4.7%	-4.1%	-4.0%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-8.7%	-8.8%	-11.0%	-9.1%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	8.6%	10.1%	8.2%	8.8%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	7.8%	8.5%	8.1%	8.4%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	7,445	7,164	7,311	7,994
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	77,932	78,188	75,461	77,391
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	44,445	43,340	42,021	42,599

**დანართი 7: ოპტიმისტური პროგნოზების შედარება, 2023-2027 წლებისთვის<sup>52</sup>**

	2023		2024		2025		2026		2027	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	7.9%	7.5%	6.6%	6.9%	6.4%	6.5%	6.4%	6.4%	6.4%	6.7%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.8%	3.3%	4.0%	4.4%	4.2%	4.5%	4.2%	4.1%	4.2%	4.3%
მშპ დეფლატორი	4.3%	3.5%	4.2%	4.2%	4.2%	4.7%	4.2%	4.7%	4.2%	4.6%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	81,329	79,746	90,338	88,794	100,157	99,039	111,043	110,352	123,112	123,154
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	19,788	19,975	22,954	22,991	25,342	25,387	27,744	28,025	30,708	31,064
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	9,007	9,116	10,825	10,556	12,053	11,764	13,243	13,076	14,705	14,488
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	10,781	10,859	12,129	12,435	13,289	13,623	14,501	14,949	16,003	16,576
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,162	-2,062	-1,939	-2,126	-1,872	-2,014	-2,090	-1,953	-2,203	-1,985
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-5.1%	-5.4%	-5.7%	-6.5%	-6.0%	-7.2%	-6.3%	-7.8%	-6.6%	-8.0%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-11.1%	-9.4%	-11.4%	-10.1%	-11.6%	-10.2%	-11.9%	-9.9%	-12.1%	-8.1%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	18.9%	24.8%	10.8%	13.0%	11.6%	12.3%	11.6%	11.6%	11.5%	12.8%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	22.3%	23.5%	10.8%	13.8%	11.9%	12.2%	12.0%	11.0%	11.8%	9.8%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,422	5,195	5,910	5,526	6,383	6,198	6,893	6,734	7,445	7,346
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	46,733	45,623	56,454	54,247	67,871	63,419	81,598	73,521	98,100	85,821
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	25,564	24,442	31,082	29,319	37,622	34,864	45,538	41,136	55,119	48,495

<sup>52</sup> ცხრილში მოცემული მონაცემები წარმოადგენს 2023 წლის დეკემბერში საბიუჯეტო ოფისის და მთავრობის მიერ გაკეთებული ოპტიმისტური სცენარების საპროგნოზო მარჯვენა მხარის შედარებას.

**დანართი 8: პესიმისტური პროგნოზების შედარება, 2023-2027 წლებისთვის<sup>53</sup>**

	2023		2024		2025		2026		2027	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	3.7%	5.6%	2.4%	3.4%	2.2%	2.8%	2.2%	2.6%	2.2%	2.8%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	1.4%	2.6%	1.6%	2.0%	1.8%	2.0%	1.8%	1.9%	1.8%	1.8%
მშპ დეფლაციონი	1.9%	2.7%	1.8%	2.3%	1.8%	2.3%	1.8%	2.2%	1.8%	2.0%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	76,365	77,631	79,605	82,127	82,821	86,430	86,167	90,642	89,647	95,049
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	18,830	18,917	20,708	20,720	21,559	21,704	22,254	22,389	23,215	23,319
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	8,623	8,663	9,838	9,910	10,315	10,542	10,668	10,648	11,146	10,999
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	10,207	10,254	10,870	10,811	11,244	11,162	11,586	11,741	12,069	12,320
წაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,290	-2,290	-2,230	-2,442	-2,048	-2,090	-2,090	-2,099	-2,292	-2,326
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-4.1%	-4.5%	-3.8%	-3.8%	-3.1%	-3.3%	-2.4%	-2.8%	-1.6%	-2.0%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-9.6%	-8.9%	-8.4%	-8.1%	-7.1%	-8.2%	-6.0%	-8.3%	-4.8%	-7.8%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	10.9%	17.2%	3.2%	7.3%	4.0%	6.5%	4.0%	5.9%	3.9%	8.5%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	10.5%	15.5%	0.9%	5.5%	1.9%	6.5%	2.0%	5.9%	1.8%	7.5%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,422	5,295	5,910	5,776	6,383	6,353	6,893	6,940	7,445	7,688
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	41,198	42,795	43,816	44,636	46,369	49,594	49,071	53,031	51,931	30,073
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	22,721	22,700	24,523	24,007	26,345	26,771	28,303	28,401	30,406	30,073


<sup>53</sup> ცხრილში მოცემული მონაცემები წარმოადგენს 2023 წლის დეკემბერში საბიუჯეტო ოფისის და მთავრობის მიერ გაკეთებული პესიმისტური სცენარების საპროგნოზო მანუალების შედარებას.

# მაკროეკონომიკური პროგნოზები საბოლოო ვარიანტი (III ნარდგენა) რეალური სექტორი 2024

ეკონომიკური ზრდა  
**5.6%**

მთლიანი შიდა პროდუქტი  
**86.4** მლნდ ლარი


მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე  
**23,264** ლარი




დიაგრამა 1. რეალური შიდა პროდუქტის ზრდას ტენდენცია



დიაგრამა 2. ნომინალური შიდა პროდუქტი



დიაგრამა 3. შიდა პროდუქტის ზრდას ტენდენცია



დიაგრამა 4. შიდა პროდუქტი ერთ სულზე






## მაკროეკონომიკური პროგნოზები რეალური სექტორი 2024



სამომხმარებლო ფასების ინფლაცია  
**3.0%**

მშპ-ს დეფლატორი  
**3.2%**



კვირი ინფლაციების  
მშპ-სთან ფარდობა  
**18.7%**



# მაკროეკონომიკური პროგნოზები ფისკალური სექტორი 2024




ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო  
-2.5%




პირდაპირი გადასახადები  
10 687 მლნ ლარი


არაპირდაპირი გადასახადები  
11 701 მლნ ლარი




წყარო: შპს „საბიუჯეტო ღირებულებების მართვა“



წყარო: შპს „საბიუჯეტო ღირებულებების მართვა“



წყარო: შპს „საბიუჯეტო ღირებულებების მართვა“



წყარო: შპს „საბიუჯეტო ღირებულებების მართვა“






## მაკროეკონომიკური პროგნოზები საგარეო სექტორი 2024



მიმდინარე ანგარიშის ბალანსი  
-5.4%

საგაწრო ბალანსი  
-9.8%



წმინდა კერძო და კაპიტალური ნაკადები  
**1405** მლნ აშშ დოლარი



## მაკროეკონომიკური პროგნოზები მონეტარული სექტორი

**2024**



**M3 მრდის ტემპი**

**15,3%**

**M2 მრდის ტემპი**

**16,8%**




**საერთაშორისო რეზერვები**

**5 403** მლნ აშშ დოლარი

**კერძო სექტორზე გაცემული სესხები**


**60 825** მლნ ლარი




დიაგრამა 15. ფულს მზის M3 მრდის ტემპი



დიაგრამა 16. ფულს მზის M2 მრდის ტემპი



დიაგრამა 17. საერთაშორისო რეზერვები, მლნ აშშ დოლარი




დიაგრამა 18. კერძო სექტორზე გაცემული სესხები, ნაშთი, მთლიანი ლარი



საქართველოს პარლამენტის საბუჯეტო ოფისი


## მაკროეკონომიკური პროგნოზები სცენარები 2024




**ინფლაცია**  
საბაზო სცენარი 3.0%  
ოპტიმისტური სცენარი 4.4%  
პესიმისტური სცენარი 2.0%



**რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი**  
საბაზო სცენარი 5.6%  
ოპტიმისტური სცენარი 6.9%  
პესიმისტური სცენარი 3.4%





# მაკროეკონომიკური პროგნოზები სცენარები 2024



## საგადასახადო შემოსავლები

საბაზო სცენარი 22 389 მლნ ლარი  
 ოპტიმისტური სცენარი 22 991 მლნ ლარი  
 პესიმისტური სცენარი 20 720 მლნ ლარი




## ნაერთ ბიუჯეტის მთლიანი საღარი

საბაზო სცენარი -2.5%  
 ოპტიმისტური სცენარი -2.4%  
 პესიმისტური სცენარი -3.0%




საქართველოს პარლამენტი საბიუჯეტო ოფისი

## მაკროეკონომიკური პროგნოზები სცენარები 2024



### ფულის მასა M3

საბაზო სცენარი 51 517 მლნ ლარი  
 ოპტიმისტური სცენარი 54 247 მლნ ლარი  
 პესიმისტური სცენარი 44 636 მლნ ლარი



### მთლიანი ეროვნული დანაბოგი

საბაზო სცენარი 18.8%  
 ოპტიმისტური სცენარი 18.6%  
 პესიმისტური სცენარი 19.4%





საქართველოს პარლამენტი

„ეკონომიკური თავისუფლების  
შესახებ“ საქართველოს  
ორგანული კანონით დადგენილი  
ფისკალური წესების  
მონიტორინგის ანგარიში

2023

**შენიშვნა:** საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატის გათვალისწინებით, ანგარიში არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც შესაბამის საკითხთან მიმართებაში რაიმე ტიპის რეკომენდაცია. იგი მიზნად ისახავს ასახოს დამოუკიდებელი ფისკალური შეფასების შედეგები კონკრეტული მიმართულებით მხოლოდ დაინტერესებულ მხარეთა მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი წარმოადგენს დამოუკიდებელ ფისკალურ ინსტიტუციას, რომლის მთავარი მიზანია ფისკალური პოლიტიკის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ანალიზის, კვლევებისა და შეფასებების ჩატარება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საჯარო ფინანსების მართვაზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებასა და ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფას საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისთვის.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის კომიტეტებს, ფრაქციებს, პარლამენტის დამოუკიდებელ წევრებსა და პარლამენტის აპარატს უზრუნველყოფს საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკური ხასიათის ანალიტიკური ინფორმაციით.

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტს და 2023 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებსა და საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილ საბიუჯეტო დოკუმენტაციას.

**საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი**

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge);

## ტერმინთა განმარტება

**ერთიანი ბიუჯეტი** – ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ერთიანი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

**მთლიანი სალდო** – მთლიანი სალდო გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას. ხოლო მთლიანი სალდო გამოითვლება ფორმულით: ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება;

**მშპ-ის გაპი** – მშპ-ის გაპი არის პროცენტული სხვაობა არსებულ და პოტენციურ მშპ-ს შორის დროის გარკვეულ პერიოდში, როდესაც ეკონომიკა რეცესიაშია მშპ-ის გაპი უარყოფითია, როდესაც ეკონომიკაში ბუმი და მაღალი ინფლაცია ფიქსირდება, მშპ-ის გაპი დადებითია;

**ნაერთი ბიუჯეტი** – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

**ნასესხობის სპეციალური უფლებები** – მთლიანი საერთაშორისო რეზერვების ნაწილი, რომლებიც შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განაწილებულია წევრ-ქვეყნებს შორის ოფიციალური რეზერვების სტატუსით;

პირობითი ვალდებულებები – პირობითი ვალდებულება წარმომადგენს შესაძლო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას ან არ წარმოიქმნას წარსული არსებული განუსაზღვრელი მოვლენების შედეგად;

**საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები** – საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

**საქართველოს სახელმწიფო ვალი** – საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/ დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ან უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების ჯამური თანხა;

**სახელმწიფო ბიუჯეტი** – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

**საჯარო და კერძო თანამშრომლობა/საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი** – საჯარო პარტნიორსა და კერძო პარტნიორს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობა, რომელიც აკმაყოფილებს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ხორციელდება სამუშაოს შესრულების ან/და საჯარო მომსახურების გაწევის მიზნით, კონცესიის ან არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის სახით;

## გამოყენებული შემოკლებები:

**ა(ა)იპ** – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

**მშპ** – მთლიანი შიდა პროდუქტი

**სსიპ** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**სფი** – სამომხმარებლო ფასების ინდექსი

**ARDL** – ავტორეგრესიულად განაწილებული ჩამორჩენა

**IMF** – საერთაშორისო სავალუტო ფონდი

**OLS** – უმცირეს კვადრატთა მეთოდი

**PPP** – საჯარო და კერძო თანამშრომლობა

**SDR** – ნასესხობის სპეციალური უფლებები

**VAR** – ვექტორული ავტო რეგრესია

**VECM** – ვექტორული ცდომილების მოსწორების მოდელი

**WEO** – მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა

<b>ძირითადი მიზნები</b>	<b>147</b>
<b>1. შესავალი</b>	<b>148</b>
1.1 ანგარიშის მომზადების საფუძვლები	148
1.2 ანგარიშის სტრუქტურა	149
<b>2. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიმოხილვა</b>	<b>150</b>
2.1 დეფიციტის წესი	151
2.2 ვალის წესი	153
2.3 შემოსავლების წესი	153
2.4 ორგანული კანონით დასარეგულირებელი საკითხები	154
<b>3. „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის კროფითით (გადამუშავებული ვარიანტი) განსაზღვრული მაჩვენებლების ფისკალურ წესებთან შესაბამისობა</b>	<b>156</b>
3.1 დეფიციტის წესთან შესაბამისობა	156
3.2 ვალის წესთან შესაბამისობა	158
<b>4. საქართველოს ბიუჯეტის ინდიკატორების ფისკალურ წესებთან შესაბამისობა საშუალოვადიან პერიოდში</b>	<b>160</b>
4.1 ფისკალურ წესებზე მოქმედი გარემოებები	160
4.2 ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი საშუალოვადიან პერიოდში	161
4.3 მთავრობის ვალი საშუალოვადიან პერიოდში	162
4.4 სენსიტიურობის ანალიზი და სცენარები	163

<b>ბიბლიოგრაფია</b>	<b>165</b>
<b>დანართები</b>	<b>166</b>
<b>დანართი 1ა:</b> საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	166
<b>დანართი 1ბ:</b> საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	167
<b>დანართი 1გ:</b> საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2023-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	168
<b>დანართი 2:</b> მშპ-ის კომპონენტები 2020-2024 წლებში (მლნ ლარი). წყარო: საბიუჯეტო ოფისი და საქართველოს მთავრობა	169
<b>დანართი 3:</b> ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2024 წლისთვის (საბაზისო სცენარი)	170
<b>დანართი 4:</b> ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2025-2026 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)	171
<b>დანართი 5:</b> ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2027 წლისთვის (საბაზისო სცენარი)	172
<b>დანართი 6:</b> მთავრობის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2024 წლის ბოლოსთვის (ათასი ლარი)	173
<b>დანართი 7:</b> საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის თავისებურებები	174

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ფისკალურ წესებს წარმოადგენს: ე.წ. **შემოსავლების წესი**, რომლის მიხედვითაც რეფერენდუმის გარეშე დაუშვებელია აქციზის გარდა სხვა საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადის გაზრდა და ახალი გადასახადის შემოღება ან გადასახადის განაკვეთის ცვლილება, რომელიც გამოიწვევს საგადასახადო ტვირთის ზრდას. ასევე, ორი მაკროეკონომიკური პარამეტრი: ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 3%-ს (ე.წ. **ბალანსის/დეფიციტის წესი**) და მთავრობის ვალი არ უნდა აჭარბებდეს მშპ-ის 60%-ს (ე.წ. **ვალის წესი**).

- ე.წ. **დეფიციტის წესთან** დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (საბოლოო ვარიანტი) მე-14 მუხლის მიხედვით, 2024 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2,177.0 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც პროგნოზირებული მშპ-ის 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3.0%). **შესაბამისად, 2024 წლისთვის დაცულია დეფიციტის წესით განსაზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრის ზღვარი. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2024 წელს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის (1,935.2 მლნ ლარი) ფარდობა მშპ-თან 2.2%-ით განისაზღვრება.**
- რაც შეეხება ე.წ. **ვალის წესს**, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით (საბოლოო ვარიანტი), 2024 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა განისაზღვრა მთლიანი შიდა პროდუქტის 38.0%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების შეფასება (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) – მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1%-ით – ჯამი: მშპ-ის 38.1%. **შესაბამისად, 2024 წლისთვის დაცულია ვალის წესით განსაზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრის ზღვარი.** აღსანიშნავია, რომ **პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით**, მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობა 2024 წელს 37.6%-ს შეადგენს, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების გათვალისწინებით 37.7%-ს შეადგენს.
- რაც შეეხება **საშუალოვადიან პერიოდს (2024-2027 წწ)**, როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის საბაზისო პროგნოზით **ვალის წესი არ დაირღვევა და საშუალოვადიან პერიოდში მისი 60%-ზე მეტად ზრდა მოსალოდნელი არ არის.**
- **საშუალოვადიან პერიოდში (2024-2027 წწ)**, როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის საბაზისო პროგნოზით მოსალოდნელია, რომ 2024 წლიდან **დეფიციტის წესით** განსაზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრის ზღვარი არ დაირღვევა. **შესაბამისად, 2024 წელს და შემდგომ საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია 3.0%-ზე ნაკლები ნიშნულის შენარჩუნება.**
- აღსანიშნავია, რომ როგორც სენსიტიურობის ანალიზიდან გამოიკვეთა, გაზრდილი ვალის მოცულობის მიუხედავად, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლის კვალობაზე, გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი გაუფასურების შემთხვევაშიც კი ვალი მშპ-თან მიმართებით, **60%-იან ნიშნულზე ქვემოთ შენარჩუნდება.**
- წარმოდგენილი დოკუმენტის მე-2 თავში განხილულია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესები და **საბიუჯეტო ოფისის მოსაზრებით აღნიშნული კანონით დასარეგულირებელი საკითხები** (გვ. 13, ქვეთავი 2.4).

# 1. შესავალი

მდგრადი საჯარო ფინანსების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი როლი სწორედ დამოუკიდებელ ფისკალურ ინსტიტუციებს ეკისრებათ. დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუციის მიერ შესრულებული ანალიზი ხასიათდება მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის მაღალი მაჩვენებლით. ასეთი ინსტიტუციების მიერ ქვეყნის ფისკალური წესების შესრულების მონიტორინგის განხორციელება მსოფლიოში აპრობირებულ პრაქტიკას წარმოადგენს<sup>54</sup>. ეს პრაქტიკა ასახულია მრავალ ევროპულ სამართლებრივ აქტში, რომელიც ფისკალური წესების შესრულების შეფასების ვალდებულებას დამოუკიდებელ უწყებას აკისრებს, იქნება ეს ფისკალური საბჭო, საბიუჯეტო ოფისი თუ სხვა ფისკალური ინსტიტუცია. ამ აქტებს შორისაა 2011 წლის 8 ნოემბრის ევროპის საბჭოს დირექტივა 2011/85/EU „წვერი ქვეყნების საბიუჯეტო ჩარჩოების ვალდებულებათა შესახებ“<sup>55</sup>, რომლის მიხედვით დამოუკიდებელმა უწყებებმა უნდა განახორციელონ „წესების შესრულების ეფექტური და დროული მონიტორინგი“. ეს ვალდებულება განმტკიცდა ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოების მიერ მიღებული „სტაბილურობის, კოორდინაციისა და მმართველობის შეთანხმებით“<sup>56</sup> (Treaty on Stability, Coordination and Governance – TSCG) და ძალაში შევიდა 2011 წლის ნოემბერში.

დამოუკიდებელ ფისკალურ ინსტიტუციებს შეუძლიათ ცხადი გახადონ ფინანსთა სამინისტროების მიერ მეტისმეტად ოპტიმისტური მაკროეკონომიკური პროგნოზების შემუშავების ტენდენცია, ობიექტური მაკროეკონომიკური პროგნოზების შემუშავების ან ფინანსთა სამინისტროს პროგნოზების მიკერძოებულობის საზოგადოებისთვის გამოაშკარავების გზით.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შესრულებულ, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ, ფისკალური წესების მონიტორინგის ანგარიშს.

## 1.1 ანგარიშის მომზადების საფუძვლები

ფისკალური წესების შესრულების მონიტორინგი – კარგად დამკვიდრებული პრაქტიკაა არა მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ფისკალური წესების შესრულების მონიტორინგი ქვეყანაში ეფექტური ფისკალური წესების სისტემის მისაღებად ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად გვევლინება. ასეთი წესები დაცულია და ისინი ფისკალურ პოლიტიკაზე საგრძნობ გავლენას ახდენენ.

ძლიერ ფისკალურ წესებს გარკვეული ნიშან-თვისებები ახასიათებთ. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – მათ შესასრულებლად სწორედ ეფექტური მექანიზმების შექმნა და მონიტორინგის განხორციელებაა დამოუკიდებელი უწყების მიერ, რომელმაც უნდა მოახდინოს წესების შესაძლო შეუსრულებლობის იდენტიფიცირება.

ამგვარად, საქართველოში ფისკალური წესების შესრულების მონიტორინგის პრაქტიკის ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ფისკალური წესების შესრულების მონიტორინგის კონტექსტში მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2017 წელს მომზადებული დოკუმენტი „**საქართველოში ფისკალური წესების ჩარჩოს გაძლიერება**“<sup>57</sup>. აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ფისკალური ინფორმაციის სიჭარბის მიუხედავად, არ ხდება ანგარიშის გამოქვეყნება ფისკალური წესების შესრულების თაობაზე, იქნება ეს „ex ante“ თუ „ex post“ შეფასება. გარდა ამისა, ფისკალური წესების ეფექტური განხორციელებისა და მონიტორინგისათვის საჭიროა საბიუჯეტო ინსტიტუციების როლის გაძლიერება. ეს გულისხმობს ძლიერი ინსტიტუციის არსებობას,

<sup>54</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ საბიუჯეტო ოფისის თემატური პუბლიკაცია N 03/20 „ფისკალური წესების შესრულების მონიტორინგი: თეორიული ასპექტები და საერთაშორისო გამოცდილება“. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://pbo.parliament.ge/ge/rs/theme/item/654-2020-11-05-11-23-16>

<sup>55</sup> ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:306:0041:0047:EN:PDF>

<sup>56</sup> ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [https://www.consilium.europa.eu/media/20399/st00tscg26\\_en12.pdf](https://www.consilium.europa.eu/media/20399/st00tscg26_en12.pdf)

<sup>57</sup> ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <https://mof.ge/images/File/public%20finances%20in%20Geo/georgia-fiscal%20rules%20report%202018.pdf>

რომელიც განახორციელებს მაკროეკონომიკურ და ფისკალურ პროგნოზირებას, საშუალოვადიანი ბიუჯეტის დაგეგმვას და ფისკალური რისკების გამოვლენასა და მართვას.

საყურადღებოა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მომზადებული სხვა დოკუმენტი – „საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება“<sup>58</sup>, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ქვეყნის ფისკალური გამჭვირვალობის გაძლიერება. ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, აუცილებელია რეგულარული ანგარიშების გამოქვეყნება ფისკალური წესების შესრულების შესახებ, რაც ასევე მოიცავს საბიუჯეტო გეგმებისა და შედეგების შესაბამისობის შეფასებას ფისკალურ წესებთან მიმართებით.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, დადებითად არის შეფასებული საბიუჯეტო ოფისის საქმიანობა მთავრობის მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შეფასების კუთხით. „საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების“ დოკუმენტით რეკომენდებულია საბიუჯეტო ოფისის მანდატის გაზრდა – მისთვის ვალდებულების დანერგვა, რომ განახორციელოს ფისკალური წესების შესრულების დამოუკიდებელი შეფასება და მისი გამოქვეყნება საკუთარ ფისკალურ ანგარიშებში.

## 1.2 ანგარიშის სტრუქტურა

წინამდებარე ანგარიშის მეორე თავი ეთმობა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების (ბალანსის/დეფიციტის, ვალისა და შემოსავლის წესების) მიმოხილვას და ამ კანონით დასარეგულირებელ საკითხებს.

მესამე თავში განხილულია „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტით განსაზღვრული მაჩვენებლების ფისკალურ წესებთან შესაბამისობა.

მეოთხე თავი, საქართველოს ბიუჯეტის ინდიკატორების ფისკალურ წესებთან შესაბამისობა საშუალოვადიან პერიოდში, შედგება ფისკალურ წესებზე მოქმედი გარემოებების, საშუალოვადიან პერიოდში ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის, მთავრობის ვალის და სენსიტიურობის ანალიზისა და სცენარების ქვეთავებისგან.

<sup>58</sup> ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <https://mof.ge/images/File/public%20finances%20in%20Geo/Fiscal-Transparency-Evaluation-IMF.pdf>

## 2. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის<sup>59</sup> მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის<sup>60</sup> მე-2 პუნქტის თანახმად, „ხანგრძლივი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ეკონომიკური პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები განისაზღვრება ორგანული კანონით. მაკროეკონომიკური პარამეტრების დადგენილი ზღვრების დარღვევისა და განსაკუთრებული აუცილებლობისას ზღვრებიდან გადაცდენის შემთხვევები, აგრეთვე პარამეტრების ზღვრებთან დაბრუნების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები განისაზღვრება ორგანული კანონით.“

2011 წლის ივლისში პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომელიც ამოქმედდა 2013 წლის 31 დეკემბრიდან. საქართველოს კონსტიტუციითა და აღნიშნული ორგანული კანონით საქართველოს მოქალაქეები ადგენენ დღევანდელი და მომავალი თაობების ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიებს. ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები არის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილი, რომელთა შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობასა და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას.

თავისუფლება არის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც გამოიხატება მთავრობის მცირე ზომაში, პასუხისმგებლობიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და დაბალ გადასახადებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიზნით, ორგანული კანონის თავდაპირველი რედაქციით<sup>61</sup> განსაზღვრული იყო შემდეგი ფისკალური წესები:

- ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მშპ-თან – არაუმეტეს 30% (ე.წ. დანახარჯების წესი, რომელიც გაუქმდა 2019 წლიდან);
- ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან – არაუმეტეს 3% (ე.წ. ბალანსის/დეფიციტის წესი, შემდგომში – დეფიციტის წესი);
- სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-თან – არაუმეტეს 60% (ე.წ. ვალის წესი);
- აღნიშნული ორგანული კანონის ამოქმედების თარიღიდან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა, გარდა აქციზისა, შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით (ე.წ. შემოსავლების წესი).

2018 წლის დეკემბერში ორგანული კანონში შესული ცვლილებების შედეგად გაუქმდა დანახარჯების წესი და ცვლილება შევიდა დეფიციტისა და ვალის წესებში. კერძოდ, დეფიციტის წესში მშპ-თან ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდების ნაცვლად, მაქსიმალური ზღვარი განესაზღვრა სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-თან შეფარდებას, ხოლო ვალის წესში, ნაცვლად სახელმწიფო ვალის მშპ-თან შეფარდებისა, განისაზღვრა მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაქსიმალური ზღვარი. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2023 წლის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედებს შემდეგი 3 ფისკალური წესი:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-თან შეფარდება – არაუმეტეს 3 პროცენტისა (ე.წ. დეფიციტის წესი);

<sup>59</sup> <https://matsne.gov.ge/document/view/1405264?publication=3>

<sup>60</sup> მუხლი 67 – „გადასახადები და მოსაკრებლები, ეკონომიკური პოლიტიკა“

<sup>61</sup> <https://matsne.gov.ge/document/view/1405264?publication=0>

- მთავრობის ვალის მშპ-თან შეფარდება – არაუმეტეს 60 პროცენტისა (ე.წ. ვალის წესი);
- აღნიშნული ორგანული კანონის ამოქმედების თარიღიდან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა, გარდა აქციზისა, შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით (ე.წ. შემოსავლების წესი).

ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის შემუშავება, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიღება და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება იმგვარად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რომ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის შესრულების პარამეტრები შესაბამებოდეს დეფიციტის წესსა და ვალის წესს როგორც გეგმური, ისე შესრულების მაჩვენებლების შემთხვევაში.

მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პარლამენტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის წარდგენისას და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგებისას წარადგენს ინფორმაციას ფისკალური პარამეტრების აღნიშნული ორგანული კანონით დადგენილ ზღვრებთან (დეფიციტის წესი და ვალის წესი) შესაბამისობის თაობაზე.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 155<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, პარლამენტი უფლებამოსილია ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვრების დასაცავად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დაანესოს ლიმიტები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ძირითად პარამეტრებთან დაკავშირებით.

ორგანული კანონის მიხედვით, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობების მიღმა დაგეგმვა ან/და დაგეგმილი პარამეტრების შესრულება შესაძლებელია (escape clause):

- ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების და აღნიშნული მდგომარეობის შედეგად დამდგარი ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში;
- ბ) ეკონომიკური ზრდის შენელების/რეცესიის შემთხვევაში – თუ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ზედიზედ ბოლო 2 კვარტალის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის კვარტალებთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე გასული 10 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი.

საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ ანგარიშგებისას მთავრობა დეფიციტისა და ვალის წესების დარღვევის შემთხვევაში (გარდა ზემოთ აღწერილი შემთხვევებისა) პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად წარუდგენს ინფორმაციას:


- ა) დეფიციტისა და ვალის წესების დარღვევის მიზეზების თაობაზე;
- ბ) მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე და, შესაბამისად, მისი სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრებზე გავლენის შესახებ, მათი ორგანული კანონით დადგენილ ზღვრულ მოცულობებთან შესაბამისობის მიმართულებით. მთავრობა პარლამენტს წარუდგენს, აგრეთვე, აღნიშნული ორგანული კანონით განსაზღვრულ პარამეტრებში დაბრუნების გეგმას. პარამეტრებში დაბრუნების გეგმის ხანგრძლივობა 3 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

## 2.1 დეფიციტის წესი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-თან შეფარდება – არაუმეტეს 3 პროცენტისა;


„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, მთლიანი სალდო გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას. ხოლო

მთლიანი სალდო გამოითვლება ფორმულით: ბიუჯეტის შემოსავლებისა<sup>62</sup> და ხარჯების<sup>63</sup> სხვაობას გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება<sup>64</sup>.



დიაგრამა 67: მთლიანი სალდოს გაანგარიშება

როგორც ზემოთ აღინიშნა, დეფიციტის წესის მოქმედი რედაქცია ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, ხოლო თავდაპირველი რედაქციით, დეფიციტის წესი ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-თან შეფარდების მაქსიმალურ ზღვარს განსაზღვრავდა.



დიაგრამა 68: ნაერთი და ერთიანი ბიუჯეტების სტრუქტურა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით.

ნაერთი ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების კონსოლიდირებულ ბიუჯეტს. ერთიანი ბიუჯეტი კი წარმოადგენს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ბიუჯეტს. შესაბამისად, ორგანულ კანონში 2018 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილების შედეგად, 2019 წლის 1 იანვრიდან დეფიციტის წესმა მოიცვა ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების დეფიციტებიც, ხოლო საბიუჯეტო კოდექსში 2022 წლის

<sup>62</sup> შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს.

<sup>63</sup> ხარჯები მოიცავს შრომის ანაზღაურებას, საქონელი და მომსახურებას, პროცენტს, სუბსიდიებს, გრანტებს, სოციალურ უზრუნველყოფასა და სხვა ხარჯებს.

<sup>64</sup> არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდისა და კლების სხვაობას.

დეკემბერში განხორციელებული ცვლილების შედეგად, სახელმწიფოს ერთიანმა ბიუჯეტმა მოიცვა ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების მართვაში არსებული სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები. **შესაბამისად, ერთიანი ბიუჯეტი მოიცავს ნაერთ ბიუჯეტსა და ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის მმართველობის სფეროში მოქმედი/მართვაში არსებული სსიპ-ების, ა(ა)იპ-ებისა და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტებს.**

## 2.2 ვალის წესი


### მთავრობის ვალის მშპ-თან შეფარდება – არაუმეტეს 60 პროცენტისა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვალის წესის მოქმედი რედაქცია ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, ხოლო თავდაპირველი რედაქციით, ვალის წესი სახელმწიფო ვალის მშპ-თან შეფარდების მაქსიმალურ ზღვარს განსაზღვრავდა.

გარდა ამისა, 2018 წლის დეკემბერში ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, აღნიშნულ ორგანულ კანონში დაემატა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ამ კანონის მიზნებისთვის მთავრობის ვალი მოიცავს:

- ა) „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა;
- ბ) საბიუჯეტო ორგანიზაციების<sup>65</sup> სესხის სახით არსებულ ვალს, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა.

ამასთან, ვალის წესი ითვალისწინებს, აგრეთვე, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპებისა და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას.



დიაგრამა 69: მთავრობის ვალი ორგანული კანონის მიხედვით.

## 2.3 შემოსავლების წესი

### საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა, გარდა აქციზისა, შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით.

რეფერენდუმის დანიშნის ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ მთავრობას და აღნიშნულ საკითხზე რეფერენდუმი ტარდება „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. დაუშვებელია, რეფერენდუმის საგანი იყოს გადასახადის პროგრესულობის პრინციპი ან მეთოდოლოგია/საგადასახადო რეჟიმი. მთავრობას უფლება აქვს, მოითხოვოს გადასახადების დროებით გაზრდა – არა უმეტეს 3 წლის ვადით, ამ შემთხვევაში რეფერენდუმი არ ტარდება.

<sup>65</sup> საბიუჯეტო ორგანიზაცია – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფუძნებული ან/და მის მიმართ ანგარიშვალდებულებული/მისი კონტროლისადამი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (მისი არსებობის შემთხვევაში), თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია. საქართველოს მთავრობის ვალის გაანგარიშებისას სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული საწარმო არის საბიუჯეტო ორგანიზაცია (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი).

საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია:

- ა) საშემოსავლო გადასახადი;
- ბ) მოგების გადასახადი;
- გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- დ) იმპორტის გადასახადი;
- ე) აქციზი.

ორგანული კანონის მიხედვით, საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივა ან ანაცვლებს მას და ამავე დროს არ ზრდის საგადასახადო ტვირთს. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება აგრეთვე გადასახადის სახის მიხედვით არსებული ზღვრული განაკვეთის ფარგლებში გადასახადის განაკვეთის ცვლილება.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგადასახადო ტვირთის ზრდის შემზღვევა დაკავშირებულია მხოლოდ იმ შემთხვევასთან, როდესაც ხდება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივა ან ანაცვლებს მას, ხოლო თუ მოხდა ისეთი ცვლილება, როდესაც იცვლება მხოლოდ გადასახადის დაბეგვრის პირობა ისე რომ იზრდება საგადასახადო ტვირთი ამ შემთხვევაში გემოაღნიშნული ორგანული კანონი არ აწესებს გარკვეულ შემზღვევას პროცედურებს.

შემოსავლების წესში, დეფიციტისა და ვალის წესებისაგან განსხვავებით, არ შესულა ძირეული ცვლილებები თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით. კერძოდ, 2018 წლის სექტემბერში ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაემატა ჩანაწერი: „საპენსიო და სადაზღვევო შენატანები რეგულირდება კანონით და ისინი არ წარმოადგენს გადასახადებსა და მოსაკრებლებს“. გარდა ამისა, განისაზღვრა შემოსავლების წესისა და აღნიშნული დამატებული ჩანაწერის მოქმედების ვადა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს კონსტიტუციური კანონის ამოქმედებიდან 12 წლის ვადით.

ორგანულ კანონში გემოაღნიშნული ცვლილების ამოქმედების ვადად საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების თარიღი<sup>66</sup> განისაზღვრა.

რაც შეეხება ორგანულ კანონში 2018 წლის დეკემბერში შეტანილ ცვლილებებს, აღნიშნული ცვლილებები არ ეხებოდა შემოსავლების წესს.

## 2.4 ორგანული კანონით დასარეგულირებელი საკითხები

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს პარლამენტს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვის ვადაში, პარლამენტი კი საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე იღებს დადგენილებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის თაობაზე. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გასული წლის მშპ-ის შესახებ წინასწარი მონაცემები ქვეყნდება მარტის თვეში, ხოლო დაზუსტებული ინფორმაცია – ნოემბრის თვეში. **შესაბამისად, დაზუსტებული მაჩვენებლების გამოქვეყნების შემდეგ, შესაძლებელია შეიცვალოს მთავრობის ვალისა და ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში მაშინ, როდესაც პარლამენტს მიღებული აქვს დადგენილება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის თაობაზე.**
- ორგანული კანონის მიხედვით სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობების მიღმა დაგეგმვა ან/და დაგეგმილი პარამეტრების შესრულება შესაძლებელია (escape clause):

<sup>66</sup> საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის ფიცის დადება შედგა 2018 წლის 16 დეკემბერს.

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების და აღნიშნული მდგომარეობის შედეგად დამდგარი ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში;

ბ) ეკონომიკური ზრდის შენელების/რეცესიის შემთხვევაში – თუ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ზედიზედ ბოლო 2 კვარტალის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის კვარტალებთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე გასული 10 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ დადგა ზემოაღნიშნული 2 პირობიდან ერთ-ერთი პირობა მაინც, ამ შემთხვევაში ორგანული კანონი არ ითვალისწინებს დამატებით პროცედურებს ზღვრული მოცულობების მიღმა დაგეგმვის შესაძლებლობის შესახებ. კერძოდ, საგამონაკლისო შემთხვევებით განსაზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრების დაგეგმვის შემდგომ წლებში, ზემოაღნიშნული ორგანული კანონი არ ითვალისწინებს ამავე მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვარს მიღმა დადგენის პროცედურებს საგამონაკლისო შემთხვევების არ არსებობის პირობებში.

- გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონი არ ითვალისწინებს ამავე კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების შესრულების მონიტორინგის პროცედურებსა და მონიტორინგის განმახორციელებელ უწყებას. ორგანული კანონი, ასევე, არ ითვალისწინებს შესაძლო სანქციების მექანიზმს ფისკალური წესების დარღვევის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნული მაკორექტირებელი ქმედებების მექანიზმისა.

### 3. „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით (საბოლოო ვარიანტი) განსაზღვრული მაჩვენებლების ფისკალურ წესებთან შესაბამისობა

წარმოდგენილი თავის მიზანია „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით (საბოლოო ვარიანტი) განსაზღვრული მაჩვენებლების ფისკალურ წესებთან შესაბამისობის დადგენა.

ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მთავრობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პარლამენტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის წარდგენისას და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგებისას წარადგენს ინფორმაციას ფისკალური პარამეტრების ამ კანონით დადგენილ ზღვრებთან შესაბამისობის თაობაზე. გემოლინიშნული ორგანული კანონით დადგენილი ზღვარი კი განსაზღვრულია ამავე კანონის მე-2 მუხლში, რომელიც მოიცავს დეფიციტისა და ვალის წესებს. შესაბამისად, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის<sup>67</sup> მე-14 მუხლით განსაზღვრულია ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული პარამეტრების (დეფიციტის და ვალის წესების) პროგნოზი.

#### 3.1 დეფიციტის წესთან შესაბამისობა

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მე-14 მუხლის მიხედვით, 2024 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2,177.0 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც პროგნოზირებული მშპ-ის 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%). შესაბამისად, 2024 წლისთვის დაცულია დეფიციტის წესით განსაზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრის ზღვარი.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მე-14 მუხლით განსაზღვრული სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი (2,177.0 მლნ ლარი) 10.0 მლნ ლარით არის შემცირებული ამავე პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელთან (2,187.0 მლნ ლარი) შედარებით, ხოლო 2024 წლისთვის პროგნოზირებული ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაზრდილია 610.2 მლნ ლარით. შესაბამისად, საბოლოო ვარიანტით შემცირდა ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფარდობა მშპ-თან 2.6%-დან 2.5%-მდე.

სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის 2024 წლის დეფიციტის მაჩვენებელი 2023 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მოსალოდნელ დეფიციტზე, 2,346.0 მლნ ლარზე (მშპ-ის 3.0%), 169.0 მლნ ლარით ნაკლებია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის თანდართული დანართის – „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების (საბაზო სცენარი)“ – მიხედვით საქართველოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს სტრუქტურა 2023-2024 წლებისთვის.

	2023 მოსალოდნელი	2024 პროგნოზი (III წარდგენა)	სხვაობა
<b>შემოსავლები</b>	<b>24,951.0</b>	<b>27,990.0</b>	<b>3,039.0</b>
გადასახადები	19,410.0	22,053.0	2,643.0
არაპირდაპირი გადასახადები	10,556.0	11,646.0	1,090.0
პირდაპირი გადასახადები	8,854.0	10,407.0	1,553.0
გრანტები	280.0	400.0	120.0
სხვა შემოსავლები	5,261.0	5,537.0	276.0
<b>ხარჯები</b>	<b>20,701.0</b>	<b>23,247.0</b>	<b>2,546.0</b>
შრომის ანაზღაურება	3,855.0	4,362.0	507.0

<sup>67</sup> წარმოდგენილ დოკუმენტში 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტი გულისხმობს 2023 წლის 29 ნოემბერს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს (III წარდგენა).


საქონელი და მომსახურება	4,673.0	5,079.0	406.0
პროცენტი	1,206.0	1,565.0	359.0
სუბსიდიები	2,053.0	2,269.0	216.0
გრანტები	20.0	29.0	9.0
სოციალური უზრუნველყოფა	7,074.0	7,795.0	721.0
სხვა ხარჯები	1,820.0	2,148.0	328.0
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>4,250.0</b>	<b>4,743.0</b>	<b>493.0</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>6,596.0</b>	<b>6,920.0</b>	<b>324.0</b>
ზრდა	6,962.0	7,279.0	317.0
შემცირება	-366.0	-359.0	7.0
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-2,346.0</b>	<b>-2,177.0</b>	<b>169.0</b>

ცხრილი 21: საქართველოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2023-2024 წლებში (მლნ ლარი).

როგორც ცხრილშია წარმოდგენილი, 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს მოსალოდნელია სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება 169.0 მლნ ლარით, რაც დაკავშირებულია ერთიანი ბიუჯეტის შემოსავლების 3,039.0 მლნ ლარით ზრდასთან (მ.შ. საგადასახადო შემოსავლები იზრდება 2,643.0 მლნ ლარით), ხარჯების 2,546.0 მლნ ლარით ზრდასთან (მ.შ. სოციალური უზრუნველყოფა იზრდება 721.0 მლნ ლარით, შრომის ანაზღაურება – 507.0 მლნ ლარით და საქონელი და მომსახურება – 406.0 მლნ ლარით) და არაფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებლის 324.0 მლნ ლარით ზრდასთან.

რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის სტრუქტურას შესაბამისი ბიუჯეტების დონეების მიხედვით, აღსანიშნავია, რომ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინფორმაცია მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტის შესახებ, რომლის დეფიციტიც 2,560.4 მლნ ლარით განისაზღვრა. ერთიანი ბიუჯეტის შემადგენელი ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების დეფიციტების შესახებ ინფორმაცია კი ბიუჯეტის პროექტის დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად, შეუძლებელია პროექტის დოკუმენტაციის მიხედვით ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის სტრუქტურის განხილვა შესაბამისი დონის ბიუჯეტების მითითებით.

რაც შეეხება სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს გასულ წლებში როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე მშპ-თან შეფარდებით, 2015-2024 წლებში ყველაზე დიდ მაჩვენებელს 2020 წლისთვის აღწევს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს ერთიანი და ნაერთი ბიუჯეტების დეფიციტები და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში.



დიაგრამა 70: საქართველოს ერთიანი და ნაერთი ბიუჯეტების დეფიციტები და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %)

როგორც დიაგრამაზე ნარმოდგენილი, 2015-2018 წლებში დაცული იყო დეფიციტის წესის იმ დროისათვის არსებული რედაქციის მიხედვით განსაზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრის ზღვარი, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-თან ფარდობა მერყეობდა 0.7%-დან 1.4%-მდე. აღნიშნული ზღვარი დაცული იყო, ასევე, 2019 წლის ფაქტიური მაჩვენებლის შემთხვევაში – საქართველოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფარდობა მშპ-თან 2.6%-ს შეადგენდა. მაკროეკონომიკური პარამეტრის ზღვრის დარღვევა ფიქსირდება 2020-2021 წლებში, კერძოდ, 2020 წელს საქართველოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფარდობა მშპ-თან 9.0%-ით განისაზღვრა, ხოლო 2021 წელს – 6.2%-ით. 2022 წლისთვის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი დაუბრუნდა ორგანული კანონით განსაზღვრულ მაკროეკონომიკური პარამეტრის ზღვარს და მისმა ფარდობამ მშპ-თან 2.1% შეადგინა. საქართველოს მთავრობის პროგნოზით, 2023 წლისთვის მოსალოდნელია, რომ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფარდობა მშპ-თან 3.0%-ს შეადგენს.

### 3.2 ვალის წესთან შესაბამისობა

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის მე-14 მუხლის მიხედვით, 2024 წლის ბოლოსთვის მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა განსაზღვრულია მშპ-ის 38.0%-ით, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებების შეფასება (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) მშპ-ის 0.1%-ით – ჯამი: **მშპ-ის 38.1%** (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%). **შესაბამისად, 2024 წლისთვის დაცულია ვალის წესით განსაზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრის ზღვარი.**

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის თანდართული დანართის – „მთავრობის ვალი“ – მიხედვით მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის განისაზღვრა 22,763.9 მლნ ლარის ოდენობით (მშპ-ის 26.5%), ხოლო მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი – 9,950.0 მლნ ლარის ოდენობით (მშპ-ის 11.6%), სულ – 32,713.9 მლნ ლარი (მშპ-ის 38.0%). გარდა ამისა, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის დანართის – „ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ“ – მიხედვით საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მოცულობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 70.2 მლნ ლარს შეადგენს (მშპ-ის 0.1%).

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით, საბოლოო ვარიანტის მიხედვით განსაზღვრული მთავრობის ვალის მოცულობა (32,713.9 მლნ ლარი) გაზრდილია 152.9 მლნ ლარით, თუმცა, შემცირებულია მთავრობის ვალის ფარდობის მაჩვენებელი მშპ-თან 38.1%-დან 38.0%-მდე (2024 წლისთვის პროგნოზირებული ნომინალური მშპ-ის 610.2 მლნ ლარით ზრდის ხარჯზე).


ამასთან, მთავრობის საგარეო ვალის საპროგნოზო ნაშთი, 22,763.9 მლნ ლარი, მთლიანი მთავრობის ვალის 69.6%-ია. 2024 წლისთვის, მთავრობის საგარეო ვალის საპროგნოზო წილი (69.6%) მთავრობის მთლიან ვალში შემცირებულია წინა წლებთან შედარებით. კერძოდ, 2023 წელს აღნიშნულის საპროგნოზო მაჩვენებელი 72.1%-ს, ხოლო 2022 წლის ფაქტობრივი მაჩვენებელი 74.8%-ს შეადგენს. მთავრობის საგარეო ვალის დიდი ნაწილი მოდის მრავალმხრივ და ორმხრივ კრედიტორებზე.

	საპროგნოზო ნაშთი 31.12.2024
<b>მთავრობის საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა</b>	<b>22,763.9</b>
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან	17,180.8
ორმხრივი კრედიტორებისაგან	4,227.0
სხვა საგარეო ვალდებულებები	1,356.1
<b>მთავრობის საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა</b>	<b>9,950.0</b>
<b>სულ მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა</b>	<b>32,713.9</b>

ცხრილი 22: მთავრობის ვალის საპროგნოზო ნაშთის სტრუქტურა 31.12.2024 მდგომარეობით (მლნ ლარი)

მთავრობის საშინაო ვალის საპროგნოზო ნაშთი, 9,950.0 მლნ ლარი, მთავრობის ვალის 30.4%-ს შეადგენს. აქედან 9,735.2 მლნ ლარი წარმოადგენს საპროგნოზო ნაშთს სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების ნაწილში, 192.8 მლნ ლარი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის ობლიგაციებს და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული საპროგნოზო ნაშთი შეადგენს 22.0 მლნ ლარს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნარმოდგენილია მთავრობის ვალი, სახელმწიფო ვალი და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში.



დიაგრამა 71: მთავრობის ვალი, სახელმწიფო ვალი და მათი შეფარდება მშპ-თან 2015-2024 წლებში (მლნ ლარი, %).

როგორც დიაგრამაზეა ნარმოდგენილი, 2015-2019 წლებში სახელმწიფო ვალისა და მთავრობის ვალის მოცულობები არ აღემატება ორგანული კანონით განსაზღვრულ ლიმიტს. 2020 წლისთვის ადგილი ქონდა ორგანული კანონით განსაზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრის ზღვრის დარღვევას. თუმცა, 2021-2022 წლებში მთავრობის ვალის მოცულობა დაუბრუნდა ვალის წესით განსაზღვრულ ლიმიტს და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ზღვარი დაცული იქნება 2023-2024 წლებშიც.

## 4. საქართველოს ბიუჯეტის ინდიკატორების ფისკალურ წესებთან შესაბამისობა საშუალოვადიან პერიოდში

აღნიშნულ თავში განხილულია საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის მხრიდან ფისკალურ წესებთან შესაბამისობის დაცვის შესაძლებლობები, მასზე მოქმედი ფაქტორები და შესაძლო სცენარები.

### 4.1 ფისკალურ წესებზე მოქმედი გარემოებები

ფისკალური წესების შესრულებაზე საშუალოვადიან პერიოდში შესაძლოა გავლენა მოახდინოს, როგორც სხვადასხვა ტიპის მაკროეკონომიკურმა შოკმა, ისე მთავრობის დისკრეციული პოლიტიკის გატარებამაც, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს: საგადასახადო რეფორმებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ საგადასახადო შემოსავლებზე, მთავრობის ხარჯვითი პრიორიტეტების ცვლილებას, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის ერთიანი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს. ყოველივე ზემოაღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ერთიანი ბიუჯეტის ბალანსის ცვლილება საშუალოვადიან პერიოდში, ან გავლენა მოახდინოს ვალის საშუალოვადიან ტრაექტორიაზე.

ფისკალურ წესებზე მოქმედი 2023-2027 წლების ფაქტორებიდან ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანია რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული მაკროეკონომიკური შოკები, მათ შორის მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებსა და სურსათზე ფასების ზრდა. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული ომის უარყოფითი გავლენა საქართველოსთვის მიმდინარე წელს საგრძნობი არ ყოფილა.

Covid-19 პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენები ასახული იქნა 2020 წლის ეკონომიკურ ზრდაზე, რასაც, შესაბამისად, მოჰყვა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებებისა და ექსპანსიონური პოლიტიკის გასატარებლად, რასაც ეკონომიკური ზრდის შემცირების ფონზე მოჰყვა ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის ზრდა და ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა 2020 და 2021 წლებში შესაბამისად შეადგინა მშპ-ის 9.3% და 6.3%, თუმცა 2021 წლიდან დაფიქსირებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური აქტივობების გამოცოცხლების ფონზე ასევე გაიზარდა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, რამაც დადებითი გავლენა იქონია ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიმართულებით. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, როგორც მიმდინარე წელს, აგრეთვე საშუალოვადიან პერიოდში ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 3.0%-იან ნიშნულზე ნაკლები იქნება.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, ვალის მოცულობის ზრდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ასევე ორმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა:

- გაცვლითი კურსის გაუფასურებამ;
- საპროცენტო განაკვეთების ზრდამ.


2020 წლის მარტში კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკის შემცირების კვალდაკვალ ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება დაიწყო და, შედეგად, 2020 წლის ბოლოსთვის, 2019 წლის დეკემბერთან შედარებით, ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებით 14.3%-ით გაუფასურდა, რაც პირდაპირ აისახა ვალის მოცულობაზე. თუმცა 2021-2022 წლებში დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად, გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების და მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი შეიძლება იყოს ასევე მთავრობის როგორც შიდა, ისე საგარეო ვალზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რაც პირდაპირ გაზრდის ვალის მომსახურების სიმძიმეს და, შესაბამისად, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტსა და მთავრობის ვალის მოცულობას.

სხვა თანაბარ პირობებში აღნიშნული შოკების არ არსებობისას ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლის კლებაა მოსალოდნელი, რადგან იზრდება ეკონომიკური აქტივობა და, შესაბამისად, ნომინალური მშპ.

## 4.2 ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი საშუალოვადიან პერიოდში

როგორც აღინიშნა, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-თან ფარდობის ზედა ზღვარი ორგანული კანონის მიხედვით 3.0%-ს წარმოადგენს, რომლის შესრულებაც ზემოთ აღწერილი მოვლენების გამო მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნისთვის.



დიაგრამა 72: ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2024-2027 წლებში

მთავრობის მიერ 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართულ საშუალოვადიან – საბაზისო სცენარში ვკითხულობთ, რომ 2024 წლიდან ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაა დაგეგმილი, რომლის მოცულობა 2027 წლისათვის 2.4 მლრდ ლარს მიაღწევს. შესაბამისად, მთავრობის პროგნოზით მოსალოდნელია, რომ 2024 წელს და შემდგომ საშუალოვადიან პერიოდში დეფიციტის წესი არ დაირღვევა და ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 3.0%-ზე ნაკლები იქნება.

საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების და მთავრობის არსებული პოლიტიკის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ 2024 წლისათვის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 3.0%-ზე ნაკლები იქნება და აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდში.

საბიუჯეტო ოფისის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშებაში გამოყენებულია:

- ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დამოუკიდებელი პროგნოზი;
- ნაერთი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დამოუკიდებელი პროგნოზი;
- ერთიანი ბიუჯეტის გრანტების მთავრობის პროგნოზი;
- ერთიანი ბიუჯეტის სხვა შემოსავლებში ასახული სახელმწიფო სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების შემოსავლის მთავრობის პროგნოზი;
- ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთავრობის პროგნოზი.

საბიუჯეტო ოფისისა და მთავრობის მიერ წარმოდგენილი ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის განსხვავებას განაპირობებს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მთავრობისაგან განსხვავებული მოცულობა, რომელიც საბიუჯეტო ოფისის მთავრობისაგან განსხვავებულ საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ სცენარს ეყრდნობა.

### 4.3. მთავრობის ვალი საშუალოვადიან პერიოდში


მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობას საშუალოვადიან პერიოდში განსაზღვრავს ვალის შესაძლო მოცულობა, გაცვლითი კურსის შესაძლო ტრაექტორია და მოსალოდნელი მშპ-ის მოცულობა.

მთავრობის პროგნოზის მიხედვით, გაცვლითი კურსი საშუალოვადიან პერიოდში დაფიქსირებულია ბიუჯეტის შედგენის მომენტში არსებული კურსის ეკვივალენტად, ხოლო საბიუჯეტო ოფისის შემთხვევაში გამოყენებულია კურსის პროგნოზი.

საბიუჯეტო ოფისის მიერ შეფასებული მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში ეყრდნობა:

- ვალის ნომინალური მოცულობის მთავრობის პროგნოზს;
- გაცვლითი კურსის საკუთარ პროგნოზს;
- ნომინალური მშპ-ის საკუთარ პროგნოზს.

ამის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის საშუალოვადიანი პროგნოზის მიხედვით, მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 2023-2027 წლებში ნარჩუნდება კანონით დადგენილი 60%-იანი ზღვრის ფარგლებში.



დიაგრამა 73: მთავრობის ვალის ფარდობა მშპ-თან 2023-2027 წლებში PPP ჩათვლით (%)

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მთავრობის ვალის ფარდობითი მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში მცირდება და 2027 წლისათვის 37.7%-ს მიუახლოვდება. მთავრობის პროგნოზების მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება და 2027 წლისათვის 37.2%-ის ფარგლებში დაფიქსირდება<sup>68</sup>. აღნიშნული სხვაობა ძირითადად განპირობებულია მთავრობისგან განსხვავებული გაცვლითი კურსისა და ეკონომიკური ზრდის პროგნოზის შედეგად.

<sup>68</sup> ბიუჯეტის თანდართულ მასალებში, მთავრობის ვალი საშუალოვადიან პერიოდში არ მოიცავდა ფისკალური წესით განსაზღვრულ PPP პროექტების სავარაუდო მოცულობებს, აღნიშნულ დოკუმენტში ფისკალური წესების მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, როგორც მთავრობის, ისე საბიუჯეტო ოფისის ვალის ინდიკატორებს საშუალოვადიან პერიოდში დამატებული აქვს PPP პროექტების სავარაუდო მოცულობა. რომელიც 2023 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 70.2 მლნ ლარს.

#### 4.4 სენსიტიურობის ანალიზი და სცენარები

როგორც მთავრობა, ისე საბიუჯეტო ოფისი სხვადასხვა მაკროეკონომიკური რისკის და დაშვების გათვალისწინებით ბიუჯეტის წარდგენის პარალელურად აკეთებს ეკონომიკის განვითარების ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს, რომელიც, ასევე, მოიცავს შესაბამის ფისკალურ სცენარებს.


საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკური სცენარები ეფუძნება დაშვებას, რომ, ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, მთლიანი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში პერმანენტულად დადებითი შოკები რეალიზდება, ხოლო უარყოფითი სცენარის დროს, ყოველ წელს საბაზისო სცენართან შედარებით, ეკონომიკური განვითარების უარყოფითი ტენდენციები მოსალოდნელია.

	2024		2025		2026		2027	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
<b>მშპ-ის ზრდა</b>								
საბაზისო	5.2%	5.6%	5.0%	5.0%	5.0%	4.9%	5.0%	5.2%
ოპტიმისტური	6.6%	6.9%	6.4%	6.5%	6.4%	6.4%	6.4%	6.7%
პესიმისტური	2.4%	3.4%	2.2%	2.8%	2.2%	2.6%	2.2%	2.8%
<b>სამომხმარებლო ფასების ზრდა</b>								
საბაზისო	2.8%	3.0%	3.0%	2.7%	3.0%	2.9%	3.0%	2.8%
ოპტიმისტური	4.0%	4.4%	4.2%	4.5%	4.2%	4.1%	4.2%	4.3%
პესიმისტური	1.6%	2.0%	1.8%	2.0%	1.8%	1.9%	1.8%	1.8%

ცხრილი 23: მთავრობის და საბიუჯეტო ოფისის საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური სცენარები.


აღნიშნულ პარამეტრებზე დაყრდნობით, მთავრობის შეფასების მიხედვით, როგორც საბაზისო სცენარის შემთხვევაში, ასევე ოპტიმისტური და პესიმისტური მაკროეკონომიკური სცენარის განვითარების შემთხვევაში ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 3.0%-იან ნიშნულს არ გადააჭარბებს. მხოლოდ 2023 წელს საბაზისო და პესიმისტური სცენარის მიხედვით, დეფიციტი გაუტოლდება 3.0%-ს, ხოლო ოპტიმისტური სცენარის მიხედვით 2.7%-ს.

საბიუჯეტო ოფისის შეფასების მიხედვით, როგორც საბაზისო სცენარის შემთხვევაში, ასევე ოპტიმისტური და პესიმისტური მაკროეკონომიკური სცენარების განვითარების შემთხვევაში ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 3.0%-იან ნიშნულზე დაბალია.



დიაგრამა 74: ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-თან საშუალოვადიან პერიოდში. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები.

რაც შეეხება ვალის მოცულობას საშუალოვადიან პერიოდში, როგორც მთავრობის ისე საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების დროს, იგი ფისკალურ ლიმიტს არ გადააჭარბებს. მთავრობის პესიმისტური სცენარის მიხედვით 2027 წლისათვის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 45.1%-ს მიაღწევს, ხოლო საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის მიხედვით 43.4%.




დიაგრამა 75: მთავრობის ვალი პროცენტულად მშპ-თან საშუალოვადიან პერიოდში. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები.

როგორც მთავრობის, ისე საბიუჯეტო ოფისის მიერ გაკეთებული ვალის მდგრადობის ანალიზიდან იკვთება, რომ მთავრობის ვალი ყველაზე მეტად მგრძობიარეა გაცვლითი კურსის შოკის მიმართ. ზემოაღნიშნული ვალის მოცულობები საბიუჯეტო ოფისის და მთავრობის მხრიდან გაცვლითი კურსის სხვადასხვა საშუალოვადიან პროგნოზს ეყრდნობა:

- მთავრობის საშუალოვადიან გეგმაში გაცვლითი კურსი მუდმივად ფიქსირებულია;
- საბიუჯეტო ოფისის საშუალოვადიან პროგნოზებში კი გაცვლითი კურსის უმნიშვნელო გაუფასურებაა მოსალოდნელი.

2023 წლისგან განსხვავებით, რომლის განმავლობაშიც საშუალოდ კურსის გამყარებაა მოსალოდნელი, ბოლო პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ვალუტის კურსის გაუფასურებას (2017-2019 წლებში საშუალოდ 6%-ით, ხოლო 2020 წლის განმავლობაში 14.3%-ით). აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნებოდა გაცვლითი კურსის გაუფასურების დაშვება მომდევნო წლებში, კერძოდ, მთავრობის და საბიუჯეტო ოფისის გაცვლითი კურსის 2024 წელს 14.3%-იანი (2020 წლის მაჩვენებლის მსგავსი), ხოლო მომდევნო წლებში ყოველწლიურად 2%-ით გაუფასურება. ამას, თავის მხრივ, გავლენა ექნება ვალის საპროცენტო ხარჯის ზრდაზე და დეფიციტზე, ასევე საგარეო სექტორის სხვა ინდიკატორებზე და ეკონომიკურ აქტივობაზე, თუმცა აღნიშნულ სცენარში დაშვებულია სხვა თანაბარ პირობებში ვალის მოცულობის ზრდაზე კურსის ეფექტი.



დიაგრამა 76: მთავრობის ვალი პროცენტულად მშპ-თან საშუალოვადიან პერიოდში. (კურსის ყოველწლიურად გაუფასურების სცენარი)

როგორც დიაგრამა 10-დან ჩანს, ვალის არსებული დონის გათვალისწინებით გაცვლითი კურსის ერთჯერადი, მნიშვნელოვანი და შემდეგ წლებში უმნიშვნელო გაუფასურება იმდენად ვერ გაზრდის მთლიანი ვალის მშპ-თან ფარდობას, რომ იგი საშუალოვადიან პერიოდში 60%-იან ზღვარს მიღმა იყოს.

## ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“;
3. საქართველოს ორგანული კანონი – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
4. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
5. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
6. „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (თავდაპირველი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტები) და მისი თანმდევი დოკუმენტაცია;
7. საქართველოს მთავრობის 2015-2022 წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები;
8. „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება;
9. „ფისკალური რისკების ანგარიშგება და მართვა: საერთაშორისო ჩარჩო და საქართველო“. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თემატური პუბლიკაცია N 02/19. 2019 წ;
10. „ფისკალური წესების შესრულების მონიტორინგი: თეორიული ასპექტები და საერთაშორისო გამოცდილება“ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თემატური პუბლიკაცია N 03/20. 2020 წ;
11. მაკროეკონომიკური პროგნოზები 2024-2027 წწ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, დეკემბერი 2023 წ;
12. Council Directive 2011/85/EU of 8 November 2011 on requirements for budgetary frameworks of the Member States. Official Journal of the European Union;
13. Hansen, T., Farrington, S., Jalles, J., Rial, I., Yläoutinen, S. (2017). Georgia. Enhancing the Fiscal Rules Framework. International Monetary Fund Washington, D.C.;
14. Sayegh, A., Harris, J., O’Mahony, R., Yläoutinen, S, Zohrab, J. (2017). Georgia. Fiscal Transparency Evaluation. International Monetary Fund Washington, D.C.;
15. Treaty on Stability, Coordination and Governance in the Economic and Monetary Union.

# დანართები

დანართი 1ა: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები<sup>69</sup> 2023-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)<sup>70</sup>

	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 PBO მოსალოდნელი	2024 PBO პროგნოზი	2025 PBO პროგნოზი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი
<b>რეალური სექტორი</b>								
%-ული მრდა								
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	-6.8%	10.5%	10.4%	6.8%	5.6%	5.0%	4.9%	5.2%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	5.2%	9.6%	11.9%	2.7%	3.0%	2.7%	2.9%	2.8%
მშპ დეფლაციონი	7.3%	10.3%	9.0%	2.9%	3.2%	3.2%	3.0%	2.8%
ნომინალური მშპ								
მილიონი ლარი	49 267	60 003	72,266	79,473	86,369	93,567	101,119	109,358
მილიონი აშშ დოლარი	15 847	18 626	24,781	29,784	31,873	34,140	36,863	40,501
მშპ ერთ სულ მოსახლეზე								
ლარი	13 234	16 179	19,466	21,407	23,264	25,203	27,237	29,457
დოლარი	4 256	5 023	6,675	8,015	8,567	9,178	9,911	10,911
%-ად მშპ-თან								
აბსორბცია	119.2	116.5	109.8	108.6	109.7	109.5	109.6	110.1
მომხმარება	95.3	97.5	85.5	83.9	83.0	83.2	84.1	84.3
კერძო	87.8	90.5	79.1	77.0	76.1	76.2	77.2	77.3
სახელმწიფო	7.6	7.0	6.4	6.9	6.9	6.9	7.0	7.0
ინვესტიციები	23.9	19.0	24.3	24.7	26.7	26.3	25.5	25.8
კერძო	15.3	11.3	16.1	18.3	18.7	19.7	19.5	20.1
სახელმწიფო	8.6	7.7	8.3	6.4	7.9	6.6	6.0	5.7
მთლიანი ეროვნული დანახოვი	11.4	8.6	19.7	18.4	18.8	18.9	19.2	19.1
კერძო	-1.1	0.6	5.2	4.9	5.1	4.8	4.3	4.2
სახელმწიფო	12.5	7.9	14.5	14.8	16.3	16.4	16.6	15.5

<sup>69</sup> 2023 წლის დეკემბერში გაკეთებული პროგნოზები.

<sup>70</sup> სარჯის, არაფინანსური აქტივების და ვალის ნომინალური მონაცემები აღებულია „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტში ნარმოდგენილი 2024-2027 წლების საპროგნოზო მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან.

**დანართი 1ბ: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები<sup>71</sup> 2023-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)**

	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 PBO მოსალოდნელი	2024 PBO პროგნოზი	2025 PBO პროგნოზი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი
<b>მონეტარული სექტორი</b>								
% -ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული								
წმინდა უცხოური აქტივები	1.9%	0.0%	4.2%	4.3%	4.2%	4.0%	3.8%	3.7%
წმინდა საშინაო აქტივები	59.8%	56.4%	47.9%	52.0%	55.5%	59.4%	63.0%	67.8%
ფართო ფული M3	61.7%	56.4%	52.2%	56.2%	59.6%	63.4%	66.8%	71.5%
ფართო ფული M2	27.7%	26.8%	27.4%	30.1%	32.3%	34.4%	36.7%	39.6%
<b>საბარგლო სექტორი</b>								
% -ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული								
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-12.5%	-10.4%	-4.5%	-5.1%	-5.4%	-5.3%	-4.8%	-4.7%
სავაჭრო ბალანსი	-19.2%	-16.5%	-9.8%	-8.7%	-9.8%	-9.7%	-9.8%	-8.8%
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3,911	4,272	4,902	5,018	5,403	5,991	6,648	7,164
იმპორტის ჯერადი	5.2	4.6	3.8	3.3	3.1	3.1	3.1	3.1
წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები (მლნ აშშ დოლარი)	988	755	1,730	1,492	1,405	1,379	1,368	1,342

<sup>71</sup> 2023 წლის დეკემბერში გაკეთებული პროგნოზები.

**დანართი 1გ: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები<sup>72</sup> 2023-2027 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)**

	2020 ფაქტი	2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 PBO მოსალოდნელი	2024 PBO პროგნოზი	2025 PBO პროგნოზი	2026 PBO პროგნოზი	2027 PBO პროგნოზი
<b>ფისკალური სექტორი<sup>73</sup></b>								
მლნ ლარი								
შემოსავლები და გრანტები	12,407	15,143	19,377	21,798	24,640	26,420	27,991	30,222
საგადასახადო შემოსავლები	10,964	13,380	17,386	19,580	22,389	24,147	25,677	27,879
პირდაპირი გადასახადები	4,433	5,395	7,797	8,915	10,687	11,604	12,216	13,337
არაპირდაპირი გადასახადები	6,531	7,985	9,589	10,665	11,701	12,543	13,461	14,543
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	17,189	19,358	21,579	24,395	27,108	28,607	30,310	32,611
მიმდინარე ხარჯები	12,960	14,767	15,611	17,916	20,201	21,927	23,690	25,671
კაპიტალური ხარჯები	4,229	4,591	5,968	6,479	6,907	6,680	6,620	6,940
საოპერაციო სალდო	-553	375	3,767	3,882	4,439	4,493	4,301	4,552
მთლიანი სალდო	-4,574	-3,794	-1,766	-2,247	-2,118	-1,887	-2,019	-2,088
მთვარობის გალი	29,654	29,812	28,587	30,609	32,514	35,371	38,848	41,199
საგარეო	23,467	23,967	21,392	22,155	22,564	23,874	25,696	26,286
საშინაო	6,186	5,845	7,195	8,454	9,950	11,497	13,152	14,913
მოდერნიზებული მთლიანი სალდო	-4,596	-3,662	-2,107	-2,117	-2,075	-2,017	-2,149	-2,223
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-4,481	-3,796	-1,601	-2,188	-1,935	-1,862	-1,964	-2,042
% მშპ-სთან								
შემოსავლები და გრანტები	25.2%	25.2%	26.8%	27.4%	28.5%	28.2%	27.7%	27.6%
საგადასახადო შემოსავლები	22.3%	22.3%	24.1%	24.6%	25.9%	25.8%	25.4%	25.5%
პირდაპირი გადასახადები	9.0%	9.0%	10.8%	11.2%	12.4%	12.4%	12.1%	12.2%
არაპირდაპირი გადასახადები	13.3%	13.3%	13.3%	13.4%	13.5%	13.4%	13.3%	13.3%
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	34.9%	32.3%	29.9%	30.7%	31.4%	30.6%	30.0%	29.8%
მიმდინარე ხარჯები	26.3%	24.6%	21.6%	22.5%	23.4%	23.4%	23.4%	23.5%
კაპიტალური ხარჯები	8.6%	7.7%	8.3%	8.2%	8.0%	7.1%	6.5%	6.3%

<sup>72</sup> 2023 წლის დეკემბერში გაკეთებული პროგნოზები.

<sup>73</sup> ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს გარდა ყველა ინდიკატორი წარმოდგენს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებელს.

საოპერაციო სალდო	-1.1%	0.6%	5.2%	4.9%	5.1%	4.8%	4.3%	4.2%
მთლიანი სალდო	-9.3%	-6.3%	-2.4%	-2.8%	-2.5%	-2.0%	-2.0%	-1.9%
მთავრობის ვალი <sup>74</sup>	60.2%	49.7%	39.6%	38.5%	37.6%	37.8%	38.4%	37.7%
საგარეო	47.6%	39.9%	29.6%	27.9%	26.1%	25.5%	25.4%	24.0%
საშინაო	12.6%	9.7%	10.0%	10.6%	11.5%	12.3%	13.0%	13.6%
მოდერნიზებული მთლიანი სალდო	-9.3%	-6.1%	-2.9%	-2.7%	-2.4%	-2.2%	-2.1%	-2.0%
ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო	-9.1%	-6.3%	-2.2%	-2.8%	-2.2%	-2.0%	-1.9%	-1.9%

**დანართი 2: მშპ-ის კომპონენტები 2020-2024 წლებში<sup>75</sup> (მლნ ლარი). წყარო: საბიუჯეტო ოფისი და საქართველოს მთავრობა**

მშპ-ს კომპონენტები	2020	2021	2022	2023		2024	
				საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა
<b>მოსმარება</b>	<b>46,967</b>	<b>58,494</b>	<b>64,482</b>	<b>66,701</b>	<b>69,473</b>	<b>71,675</b>	<b>72,972</b>
სახელმწიფო	3,732	4,187	4,594	5,490	5,490	5,975	6,093
კერძო	43,236	54,307	59,888	61,211	63,983	65,700	66,879
<b>ინვესტიციები</b>	<b>11,753</b>	<b>11,384</b>	<b>14,858</b>	<b>19,643</b>	<b>18,124</b>	<b>23,038</b>	<b>21,623</b>
სახელმწიფო	4,229	4,591	5,968	5,074	6,479	6,860	6,907
კერძო	7,524	6,793	8,889	14,569	11,645	16,178	14,716
<b>ექსპლუატაციის</b>	<b>18,426</b>	<b>26,050</b>	<b>38,609</b>	<b>41,345</b>	<b>40,335</b>	<b>47,655</b>	<b>44,853</b>
<b>იმპლურტი</b>	<b>27,880</b>	<b>35,924</b>	<b>45,683</b>	<b>48,216</b>	<b>48,582</b>	<b>55,998</b>	<b>53,466</b>

<sup>74</sup> მთავრობის ვალის ფარდობა მშპ-თან PPP-ს გარეშე.

<sup>75</sup> 2023 წლის დეკემბერში გაკეთებული პროგნოზები.

**დანართი 3: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2024 წლისთვის (საბაზისო სცენარი)<sup>76</sup>**

	2024 წელი					
	დეკემბერი 2023			ივნისი 2023		
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	5.2%	5.6%	5.0%		5.1%	
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	2.8%	3.0%	2.7%		2.8%	
მშპ დეფლატორი	3.0%	3.2%	3.2%		3.2%	
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	85,981	86,369	84,656		85,241	
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	22,053	22,389	20,700		20,893	
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	10,407	10,687	9,482		9,527	
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	11,646	11,701	11,218		11,366	
ნაერთი ბიუჯეტის მოლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,230	-2,118	-2,025		-1,680	
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-თან)	-4.7%	-5.4%	-5.1%		-4.8%	
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-თან)	-10.0%	-9.8%	-11.4%		-9.7%	
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელიდან, აშშ დოლარი)	7.9%	13.5%	8.9%		10.4%	
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელიდან, აშშ დოლარი)	6.8%	14.5%	8.4%		10.3%	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,910	5,403	5,803		6,804	
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	51,506	51,517	49,873		51,256	
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	28,527	27,890	26,970		27,659	

<sup>76</sup> 2023 წლის დეკემბერში გაკეთებული პროგნოზები.

**დანართი 4: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2025-2026 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)<sup>77</sup>**

	2025 წელი						2026 წელი					
	დეკემბერი 2023			ივნისი 2023			დეკემბერი 2023			ივნისი 2023		
	მთავრობა	საბიუჯეტო ლფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ლფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ლფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ლფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ლფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ლფისი
რეალური მშპ (%-ული მრდა)	5.0%	5.0%	5.0%	5.2%	5.0%	5.0%	5.0%	5.0%	4.9%	5.0%	5.0%	5.0%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.0%	2.7%	3.0%	2.9%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	2.9%	3.0%	3.0%	2.8%
მშპ დეფლაციური	3.0%	3.2%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	92,988	93,567	91,555	92,327	100,567	101,119	99,017	99,848	101,119	101,119	99,017	99,848
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	23,799	24,147	22,350	22,552	25,463	25,677	24,200	24,459	25,463	25,677	24,200	24,459
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	11,341	11,604	10,267	10,367	12,169	12,216	11,142	11,383	12,169	12,216	11,142	11,383
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	12,458	12,543	12,083	12,185	13,294	13,461	13,058	13,076	13,294	13,461	13,058	13,076
ნაერთი ბიუჯეტის მოლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,048	-1,887	-1,990	-1,665	-2,090	-2,019	-2,064	-1,668	-2,090	-2,019	-2,064	-1,668
მომდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-თან)	-4.6%	-5.3%	-4.8%	-4.6%	-4.3%	-4.8%	-4.4%	-4.4%	-4.3%	-4.8%	-4.4%	-4.4%
საგაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-თან)	-9.6%	-9.7%	-11.2%	-9.7%	-9.2%	-9.8%	-11.1%	-9.5%	-9.2%	-9.8%	-11.1%	-9.5%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	8.7%	11.8%	8.4%	8.5%	8.7%	14.0%	8.4%	8.3%	8.7%	14.0%	8.4%	8.3%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	7.8%	10.9%	8.0%	8.1%	7.9%	13.3%	8.1%	8.2%	7.9%	13.3%	8.1%	8.2%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	6,383	5,991	6,268	7,352	6,893	6,648	6,769	7,824	6,893	6,648	6,769	7,824
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	59,130	59,300	57,255	59,000	67,883	67,561	65,731	67,573	67,883	67,561	65,731	67,573
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	33,071	32,217	31,267	31,950	38,338	37,078	36,247	36,771	38,338	37,078	36,247	36,771

<sup>77</sup> 2023 წლის დეკემბერში გაკეთებული პროგნოზები.

**დანართი 5: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2027 წლისთვის (საბაზისო სცენარი)<sup>78</sup>**

	2027 წელი					
	დეკემბერი 2023			ივნისი 2023		
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული მრდა)	5.0%	5.2%	5.0%	5.2%	5.0%	5.3%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.0%	2.8%	3.0%	2.8%	3.0%	3.0%
მშპ დეფლატორი	3.0%	2.8%	3.0%	2.8%	3.0%	3.0%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	108763	109,358	107,087	109,358	107,087	108,298
საგადასადო შემოსავლები (მლნ ლარი)	27,538	27,879	26,200	27,879	26,200	26,359
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	13,193	13,337	12,091	13,337	12,091	12,233
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	14,345	14,543	14,109	14,543	14,109	14,125
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,292	-2,088	-2,181	-2,088	-2,181	-1,942
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-თან)	-4.0%	-4.7%	-4.1%	-4.7%	-4.1%	-4.0%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-თან)	-8.7%	-8.8%	-11.0%	-8.8%	-11.0%	-9.1%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	8.6%	10.1%	8.2%	10.1%	8.2%	8.8%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	7.8%	8.5%	8.1%	8.5%	8.1%	8.4%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	7,445	7,164	7,311	7,164	7,311	7,994
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	77,932	78,188	75,461	78,188	75,461	77,391
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	44,445	43,340	42,021	43,340	42,021	42,599

<sup>78</sup> 2023 წლის დეკემბერში გაკეთებული პროგნოზები.

**დანართი 6: მთავრობის ვალის საპროგნოზო მდგრადი მოცულობა 2024 წლის ბოლოსთვის (ათასი ლარი)<sup>79</sup>**

კრედიტორი	საპროგნოზო ნაშთი 31.12.2024
<b>სულ მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი</b>	<b>22,763,888</b>
<b>მრავალმხრივი კრედიტორებისაგან</b>	<b>17,180,785</b>
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	6,066,510
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	529,840
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	628,998
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	2,974,809
ევროგაერთიანება (EU)	381,085
მსოფლიო ბანკი (WB)	5,944,990
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	104,695
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	502,765
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	38,516
სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	8,578
<b>ორმხრივი კრედიტორებისაგან</b>	<b>4,227,003</b>
სომხეთი	2,653
აზერბაიჯანი	3,008
ავსტრია	28,284
საფრანგეთი	2,172,259
გერმანია	1,608,997
ირანი	2,194
იაპონია	336,954
ყაზახეთი	3,272
ქუვეითი	25,653
ნიდერლანდების სამეფო	65
რუსეთი	20,560
თურქეთი	5,857
თურქმენეთი	566
ამერიკის შეერთებული შტატები	16,681
<b>სხვა საგარეო ვალდებულებები</b>	<b>1,356,100</b>
ევრობონდი	1,356,100
<b>მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი</b>	<b>9,950,016</b>
ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთნაირი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	40,846
სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	152,000.0
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	337,235.0
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	9,397,919.0
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი	22,015.8
<b>სულ მთავრობის ვალის ნაშთი</b>	<b>32,713,904</b>

ცხრილში გამოყენებულია 2023 წლის 23 ნოემბრის გაცვლითი კურსი: 1 EUR = 2.9558 GEL; 1 SDR = 3.6097 GEL; 100 JPY = 1.819 GEL; 1 KWD = 8.8001 GEL; 1 USD = 2.7122 GEL.

<sup>79</sup> წყარო საქართველოს მთავრობა.

**დანართი 7: საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის თავისებურებები**

საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური წესების შეფასებისათვის საბიუჯეტო ოფისი იყენებს სხვადასხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების საკუთარ პროგნოზს;

**დეფიციტის წესისათვის ის იყენებს:**

- ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების პროგნოზს;
- სხვა შემოსავლების პროგნოზს;

სხვა ყველა ფისკალური ინდიკატორი, რომელიც საჭიროა ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის გამომანგარიშებისათვის, აღებულია მთავრობის საშუალოვადიანი პროგნოზებიდან. ეს ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ აღნიშნული ინდიკატორების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მთავრობის დისკრეციული პოლიტიკის საგანს და მხოლოდ მისი მცირე ნაწილი შეიძლება განვიხილოთ ე.წ. „მაკრომგრძობიარე“, ანუ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე დამოკიდებული. მაგრამ, რადგან წლების განმავლობაში მთავრობის მიერ წარმოდგენილი დანახარჯების ინფორმაცია სულ უფრო დეტალური ხდება, იზრდება დაგროვილი მონაცემების დროითი ჰორიზონტი და მათი ნაწილი თანდათანობით ხდება მაკრომგრძობიარე, საბიუჯეტო ოფისი გეგმავს ასევე მოიცვას დანახარჯების მუხლის ზოგიერთი ინდიკატორის პროგნოზიც.

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გაკეთებულია ე.წ. „დაბლიდან ზემოთ“ მეთოდით. საბიუჯეტო ოფისი აკეთებს თითოეული გადასახადის პროგნოზს დამოუკიდებლად, სხვადასხვა ეკონომეტრიკული განტოლებების გამოყენებით და საბოლოოდ მათი შეჯამებით იღებს მთლიან საგადასახადო შემოსავლებს.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირების მეთოდოლოგია:

Items	Forecasting Bases	Forecasting Methods
VAT	Ral consumption, CPI	Breakpoints OLS
PIT	Ral GDP, CPI	Breakpoints OLS
CIP	Ral GDP, CPI	Breakpoints OLS
EXC	Ral GDP, CPI	Breakpoints OLS
IMPD	Import in Usd, GEL/usd Exchange rate	ARDL
REST	Ral GDP, CPI	Error Corection OLS
OTHT	Ral GDP, CPI	Breakpoints OLS
OTHREV	Ral GDP, CPI	BVAR

შემოსავლის თითოეული ინდიკატორის პროგნოზი გაკეთებულია ცხრილში მოცემული მეთოდოლოგიის და საპროგნოზო ბაზების გამოყენებით, თუმცა დროთა განმავლობაში იცვლება ეკონომეტრიკული განტოლებების სტრუქტურები და სპეციფიკაციები. ამაზე გავლენას ახდენს ახალი ხელმისაწვდომი ინფორმაცია და ეკონომიკაში მომხდარი სხვადასხვა სტრუქტურული ცვლილებები.

**ვალის წესისათვის ის იყენებს:**

- დამოუკიდებელ გაცვლითი კურსის პროგნოზს;
- დამოუკიდებელ ნომინალური მშპ-ის პროგნოზს.

GEL/USD ნომინალური გაცვლითი კურსის პროგნოზი გაკეთებულია ყოველთვიური ბეიზიანური VAR მოდელით, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების გარდა იყენებს 2 ე.წ. ძირითად კომპონენტს (principal component), რომლებიც მოპოვებულია 35 ქვეყნის ადგილობრივი ვალუტა/აშშ დოლარი გაცვლითი კურსებიდან. მათ გარდა VAR მოდელი ასევე იყენებს:

- საქართველოს რეალური მშპ-ის შეფასებას;
- საქართველოს სამომხმარებლო ფასების ინფლაციას;
- საქართველოს სავაჭრო ბალანსს;
- ნავთობის საერთაშორისო ფასებს (ბრენტი, brent);
- საქართველოს M3 ფულის მასის აგრეგატს.

ნომინალური მშპ-ის პროგნოზისათვის გამოყენებულია რეალური მშპ-ის და მშპ-ის დეფლატორის დამოუკიდებელი პროგნოზები. რეალური მშპ-ის პროგნოზი წარმოადგენს 3 სხვადასხვა მოდელის შედეგის საშუალო შეფასებას.

- პირველია VAR მოდელი, რომელიც მოიცავს მშპ-ს და მის კომპონენტებს დანახარჯების მიხედვით;
- მეორეა VAR მოდელი, რომელიც მოიცავს მშპ-ს და მის კომპონენტებს შემოსავლების მიხედვით;
- მესამე მოდელი წარმოადგენს Ms Excel-ის საშუალებით გაკეთებულ შეფასებას, თუ როგორ ახდენს გავლენას საქართველოს ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდები საქართველოს მშპ-ის ზრდის ტემპზე. მეზობელი ქვეყნების ეკონომიკის ზრდის ტემპის პროგნოზები აღებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვიდან (IMF WEO).

მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი გაკეთებულია ვექტორული ცდომილების შესწორების მოდელით (VECM), რომელიც იყენებს მშპ-ის გაპს, GEL/USD რეალურ გაცვლით კურსს და ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს.







საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

---

2023

დეკემბერი